ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი

8 ლარი

27 ივნისიდან 11 ივლისამდე




ოროშაბათი, 4 ივლისი, 2011 №156 (5537) ფასი: 30 თეთრი

# ციხეებიდან პატიმრების გვამები ყოველდღე გამოაქვთ

„ახალმა მემარჯვენეებმა“ ლეღვის ფოთლის ფუნქცია შეასრულეს



გვ.2

## კოკოითი პირადი დაცვის გარეშე დარჩა

გვ.4





## ბალათურია არჩევნების ნისიად ჩატარებას ეწინააღმდეგება

გვ.8

## აქციაზე ჟურნალისტებს კანონი დაიცავს

გვ.9



გვ.3

## რატომ არ აპროტესტებს ოპოზიცია ქართული პარტიის დევნას



## საააკაშვილი მემარჯვენეებსა და ქრისტიან-დემოკრატებს გადააგდებს

გვ.6



გვ.5

## საქართველოს კოალიციური მთავრობა სჭირდება

რა შანსი გაუშვეს ხელიდან ნაციონალებმა

## რუსეთის მოქალაქეები საქართველოში უპრობლემოდ შემოვლენ




გვ.7

რა თამაშს ეთამაშება საქართველოს ხელისუფლება რუსეთს

## ილია მეორე: ქართველების, ოსებისა და აფხაზების მტრობა ალარ უნდა გამეორდეს!

გვ.3



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**9** თბილისი შეიძლება ბაქოს დაუპირისპირდეს

რისი ეშინია ალი ბაბაევს

**10** რუსეთთან ეკონომიკა დაგვაახლოებს

**3** უკანონო ფორმირების შექმნისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება

**2** ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღიარების საიდუმლოება შეიქმნა

# ციხეებიდან პატიმრების გვამები ყოველდღე გამოაქვთ

## „ახალმა მემარჯვენეებმა“ ლეღვის ფოთლის ფუნქცია შეასრულეს

შორენა კოწოწაშვილი



**უფლებადამცველი და სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი სტაჟიანი ოპონენტი გელა ნიკოლაიშვილი „პოლიტიკური კიკუს“ რანგში განიხილავს იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლების ინტერესებს ახორციელებენ ვითომ ოპოზიციონერის იმიჯით და ამით პირად კეთილდღეობას იწყობენ.**

**ნიკოლაიშვილის თქმით, სააკაშვილი მართალი იყო, როცა თქვა, ოპოზიციური პარტიები სუსტიაო. თუმცა, ამის მიუხედავად, უფლებადამცველი მაინც ფიქრობს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური ძალების კოორდინირებული და ეროვნული ინტერესების საკეთილდღეოდ გატარებული ნაბიჯების შედეგად სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება შესაძლებელია.**

— ახალი მემარჯვენეები თავისთავად აღმოჩნდნენ ლეღვის ფოთლის მდგომარეობაში. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ამბობს, რომ მეფე შიშველია და ამ დროს შენ მეფეს სიშიშვლეს უფარავ და ფაქტიურად ამბობ, რომ არა, შიშველი არ არის და ისინი გიფარებენ წინ ფასადად, ლეღვის ფოთოლს დაარქმევ თუ შელამაზებულ ფასადს დაარქმევ, აქ შინაარსი არის ერთი: ეს არის ხელისუფლების დემოკრატიულობის იმიჯის გადარჩენა, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი.

გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **გელა ნიკოლაიშვილთან:**

*— ბატონო გელა, ფაქტია, ვითარებამ, რომელიც რვიანთან მიმართებაში შეიქმნა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას საკმაოდ არაერთგვაროვანი ფონი მისცა. იგრძნობოდა, რომ რვიანს ასეთი განვითარება ექნებოდა?*

— ზუსტად ასეთი თუ არა, დაახლოებით ასეთი განვითარება რომ ექნებოდა ამ ყველაფერს, ხელისუფლებასთან კურკურს და ხელისუფლებასთან ფლირტს, ამას, რა თქმა უნდა, მარტო მე არ ვფიქრობდი. ამიტომ, მაინცდამაინც მოულოდნელი არაფერი ყოფილა. მოულოდნელი იყო ახალი მემარჯვენეების ასეთი არაადეკვატური და რბილად რომ ვთქვათ, სრულიად გაუგებარი პოზიცია. ხელისუფლების პოზიცია არის სავსებით ნათელი. მას უნდა, რომ ადგილების მინიმუმ ორი მესამედი ჰქონდეს პარლამენტში. დაახლოებით 20-30% შეიყვანოს პარლამენტში სიმბოლურად სხვა პარტიებიდან, რომ არ თქვას მთელმა მსოფლიომ, რომ ეს არის ერთპარტიული ბოლშევიკური პარლამენტი. ამიტომ ის, ვინც თანხმდება ასეთ საარჩევნო გარემოში არჩევნებში მონაწილეობაზე, ეს ნიშნავს, რომ ის იბრძვის ამ 20-30%-ისთვის. არ მეგონა, რომ მას შემდეგ, რაც თავის დროზე მემარჯვენეების ინიციატივით მანდატები იქნა დახეული, ასეთ სამარცხვინო პარლამენტის და სამარცხვინო არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციაში მონაწილეობა მათ არ მიიღეს, რომ ისინი უფრო მეტად აქტიურობდნენ ხელისუფლების წინადადებებისთვის მხარი დაეჭირათ, ვიდრე ქრისტიან-დემოკრატები. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს პროცესი ფაქტობრივად ჩიხშია შესული. ის ფაქტი, რომ დანარჩენი ექვსი პარტია დარჩა თავის აზრზე, არა მგონია, რაიმე შედეგს მოიტანს. იმიტომ, რომ ის მოძრაობა, რასაც ერქვა ქუჩის აქციები, ხელისუფლებაზე ზეწოლა შიდა და გარე ძალების მხრიდან ერთობლივად, ეს უნდა ყოფილიყო კოორდინირებული. თავიდანვე ვამბობდი, რომ თუ სახალხო კრების იდეა და წინააღმდეგობის მოძრაობა დამარცხდა, რომელიც საერთო-სახალხო მოძრაობის ფორმატში უნდა გადაზრდილიყო და ეს იყო გეგმა, დამარცხდებოდა არა მხოლოდ ოპოზიციის ეს ნაწილი, რომელიც ამას ქადაგებს, არამედ პირველ რიგში, უფრო დიდი დარტყმას მიიღებენ ე.წ. რვიანის წარმომადგენლები, ისინი, ვინც ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და იმედი აქვს, რომ რაღაცას შეაცვლევინებს. ვინაიდან ხელისუფლება დაინახავს, რომ ზეწოლის აღარანაირი ბერკეტი არ დარჩა და აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა მოთხოვნები დააყენონ, ხელისუფლება დადებითად არ უპასუხებს, ვინაიდან უკვე გადაწყვეტილი ექნება მთავარი საკითხი, რომ ქვეყნის შიგნით მასობრივი, მასშტაბური აქციები უკვე ველარ განხორციელდება. რაც შეეხება დასავლეთის მითითებებს და ნელ-თბილ კომენტარებს შეშფოთების შესახებ, ამის მიმართ ხელისუფლებამ უკვე იმუნიტეტი გამოიმუშავა. აქედან გამომდინარე უკვე მივიღეთ სიტუაცია, როდესაც სახალხო კრების მომხრე ორგანიზაციები მართალია ფიზიკურად დამარცხდნენ, მაგრამ მორალურად გაიმარჯვეს, იმიტომ, რომ მათ უკან არ დაუხევიათ. ხოლო რაც შეეხება რვიანს, ამ 26 მაისის შექმნილ სიტუაციას და განსაკუთრებით რვიანის დაშლის შემდეგ, იგი დამარცხდა როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად. მოახერხებენ კი ისინი ამის რეაბილიტაციას? მე ეს ძნელად წარმომიდგენია.

*— ექვსეულსაც შანსი არ აქვს? მათ განცხადებებში საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა ისმის და ფიქრობენ, რომ მათ ეს ორი ძალა უშლიდა ხელს: ახლები და ქრისტიან-დემოკრატები.*

— ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე იყოს. მე მხოლოდ გულშემატკივარი ვარ მათი ამ შემთხვევაში. მაგრამ მე ვერ ვხედავ იმ ძალას, რომელიც მათ ზურგს გაუმაგრებს იმისათვის, რომ მათ ხელისუფლებას უკან დაახევინონ. იმიტომ, რომ ასეთი ძალის ფაქტიურად რეპრესირება და თითქმის განადგურება მოახდინა ხელისუფლებამ 26 მაისის შემდეგ. განადგურებაში ვგულისხმობ იმას, რომ ძალიან დიდი ნაწილი ამ საპროტესტო საზოგადოებისა, ციხეებშია გამომწყდებული, ასობით არის მათი რიცხვი. იმაზე მეტი ადამიანი დააპატიმრა საქართველოს ხელისუფლებამ, ვიდრე ლუკაშენკომ არჩევნების შემდეგ. გარდა ამისა, მათი ოჯახის წევრებზე რომ არ ვთქვათ, დანარჩენი ვინც არ არის დაპატიმრებული, არიან დაშინებული. მათი ოჯახები არიან დატერორებული იმით, რომ დღეს თუ ხვალ დააპატიმრებენ. მართალია, საპროტესტო მუხტი არ არის ჩამკვდარი, მაგრამ არის სადღაც სოროში შედევნილი. დიდი კედელი ამოუშენეს და ამ კედელს რამდენად გამოანგრევენ და რამდენად ძლიერი იქნება განწყობა და ძალისხმევა საზოგადოების, რომ ეს შიშის და ტერორის სინდრომი დაძლიონ. ვეჭვობ, ეს მოკლე ხანში მოხდეს. იმიტომ, რომ ამას სჭირდება ძალების აღდგენა, მობილიზაცია და ამას ყველაფერს კი სჭირდება გარკვეული დრო.

*— ექვსიანმა გამოსავალი ნახა სამოქალაქო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობაში და კოორდინაციაში. რამდენად შედეგიანი შეიძლება აღმოჩნდეს ამ ექვსეულის სამოქალაქო სექტორთან და სხვა პარტიებთან აქტიური მუშაობა?*

— სავსებით სწორი პოლიტიკაა, მაგრამ რამდენად ძლიერი ზეწოლის მექანიზმები ექნებათ, თუნდაც ამ ორივე გაერთიანებულ ძალას, ვერ გეტყვით. მე ვერ წარმომიდგენია, იმდენად ძლიერი იყოს ეს გაერთიანებული ქმედებები, რომ ხელისუფლებას უკან დაახევინოს იმ მიზეზების გამო, რაც ზემოთ ვთქვი. კერძოდ, იმ ტერორის და დაშინების კამპანიის, უმძიმესი ტერორის განხორციელების გამო. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს სჭირდება დრო, ხელახალი მობილიზაცია. რა თქმა უნდა, საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა. ღმერთმა ქნას, ეს შედეგიანი აღმოჩნდეს მოკლე ვადაში. მაგრამ ისევ ვიმეორებ, რომ ხელისუფლება უკან დაიხევს ერთადერთ შემთხვევაში — თუ იქნება მასშტაბური საყოველთაო გამოსვლები, რომელიც გადაიზრდება, ან გადაზრდის საფრთხე იქნება ეროვნულ დაუმორჩილებლობაში, რომელსაც ხელისუფლება ველარ აკონტროლებს. დღესდღეობით ამის ნიშნები არ ჩანს იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში არის გამეფებული ტერორი. საშინელ დღეში არიან ის დაპატიმრებული ადამიანები, არა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, ნებისმიერი ნიშნით, რომლებიც უნდა გატეხონ, დათრგუნონ, დააბეჩავონ, საერთოდ ადამიანობა დაუკარგონ. აი, ასეთი პოლიტიკაა აღებული პენიტენციალურ სისტემაში. იქ მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანი ამ ხორცსაკეპ მანქანაში გადის. ვისაც ადამიანად დარჩენა უნდა, ის ძალიან დიდი დოზით რისკავს საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. იმიტომ, რომ ის უნდა იყოს მზად ყოველდღიური წამებისთვის. როდესაც რეპრესიებს ასეთი მასშტაბები აქვს მიღებული, დაახლოებით ისეთი, როგორც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჰქონდა და გვიკვირდა, როგორ ხდებოდა, რომ თითქმის ყველა რეპრესირებული იბრალდებდა დანაშაულს და ერთმანეთს აბრალებდნენ ყველა რაღაცას, ოღონდ რაიმე შეღავათი მიეღოთ. ეს ჩვენ გვიკვირდა და მერე ათეული წლების შემდეგ გამომჟღავნდა ეს სტალინური და ბერიას ჯურღმულების საშინელებები. მერე მოხდა ამ ხალხის რეაბილიტაცია. დღეს რატომღაც არ გვიკვირს, რომ როგორ ხდება, რომ ყველა პატიმარი იხვეწება საპროცესო შეთანხმება გამიფორმეთ, კი ბატონო, დავაშავეო. დაუშავებიათ თუ არ დაუშავებიათ, მზად არიან საკუთარი თავზე დაიბრალონ, აღიარონ დანაშაული და სხვასაც დააბრალონ. რატომ? იმიტომ, რომ იქ არის ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთში ხვდებიან ადამიანები, სადაც არა მხოლოდ თითქმის 100%-ით ჯანმრთელობის დაზიანება აქვთ გარანტირებული, არამედ ძალიან დიდი პროცენტით არის საფრთხე პირდაპირ სიცოცხლის დაკარგვის. შემთხვევითი არ არის, რომ ციხეებში ათეულობით ადამიანი იღუპება. ეს ის მონაცემებია, რაც ლეგალურად არის და რაც არალეგალურად ხდება, ციფრები არ ვიცით. პატიმრების თქმით, დღე არ გავა ისე, რომ გვამი არ გამოიტანონ საპყრობილეებიდან. ეს ყველაფერი, ეს საშინელი ხორცის საკეპი მანქანა არის ამუშავებული. ის მუშაობს იმისათვის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა იმუშაოს და შენარჩუნებულ იქნეს.

*— ბატონო გელა, მოდით, ვისაუბროთ ირაკლი ოქრუაშვილზე და მისი თანაპარტიელების დაპატიმრებაზე, რასაც სწორედ ოქრუაშვილის ფაქტორს უკავშირებენ.*

— სიმართლე გითხრათ, ოქრუაშვილის მიმართ სიმპათიები არასდროს მქონია და ახლაც არა მაქვს. თავისი ქმედებებით ადრეც და ამ ბოლო ხანებშიც, ყოველდღე იმის საფუძველს მიქმნის, რომ არ ვიყო მის მიმართ სიმპათიით განწყობილი. თუმცა, ის ადამიანები, პარტიის რიგითი წევრები, რომლებსაც აპატიმრებენ, რა თქმა უნდა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი არიან. ბევრი შეიძლება ისეთი იყოს, როგორც თავის დროზე ტროცკისტებს აპატიმრებდნენ, ტროცკი ვინ იყო, ადამიანებმა არც კი იცოდნენ, ადამიანი იყო, თუ საჭმელი იყო, თუ რაღაცა მოძრაობა, საერთოდ არ იცოდნენ. დღესაც შეიძლება ბევრია ისეთი, რომელსაც შეიძლება ოქრუშვილის გვარი კი აქვს გაგონილი, მაგრამ მასთან არანაირი შეხება არ აქვს. უბრალოდ არის პატრიოტი, სწორად თუ არასწორად დაუკავშირა თავისი იმედები ამ ხელისუფლების შეცვლის ოქრუაშვილის ამ გზას. მე ვფიქრობ, რომ არასწორად, მაგრამ ეს ამ ადამიანის უფლებაა. მაგრამ ამის გამო ისინი გამოცხადდნენ დამნაშავეებად და ჩვეული მეთოდებით, იარაღის, ნარკოტიკის ჩადებით, პოლიციისთვის წინაღმდეგობის გაწევის დაბრალდებით, თუ რა ვიცი, ათასი მეთოდი არსებობს, რომელსაც ნებისმიერ დროს „დაამტკიცებს“ ხელისუფლება.

*— ოქრუაშვილისთვის ბრალის წარდგენა და დაპატიმრების სანქციის გაცემა პოლიტიკური რეპრესიების გადასაფარად გაკეთდა თუ რეალურად დასავლეთისთვის თვალის ახვევის მიზნით? ამით სააკაშვილი დასავლეთს უმტკიცებს, რომ მართლაც რუსული ინტერესების გატარების მცდელობას ჰქონდა ადგილი მაისის აქციების დროს?*

— ეს ბუნებრივი იყო, რადგან თავისთავად ჩნდებოდა კითხვა: თუკი ოქრუაშვილის დავალებით ხდებოდა ასეთი დანაშაულები, მაშინ ხელმძღვანელის მიმართ რატომ არ უნდა იყოს აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნა. ასეთი შეცდომა მათ ადრე უკვე ჰქონდათ ჩადენილი და ეტყობა, ამჯერად აღარ გაიმეორეს. იმიტომ, რომ სრულიად აბსურდულ სიტუაციაში იყვნენ. როდესაც იგორ გიორგაძის მომხრეებს ვიცავდი 2006 წელს და პროცესები მიმდინარეობდა, ელემენტარული კითხვა ჩნდებოდა, რომ თუკი გიორგაძემ შექმნა დამნაშავეთა ჯგუფი, პარტია, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა და ის იყო ხელმძღვანელი, ელემენტარულად ბრალი ხომ მაინც უნდა ჰქონოდა ამ ადამიანს წაყენებული? არათუ 2006-2007 წლებში, დღემდე იმ საქმეში, რომლისთვისაც 12 ადამიანი გასამართლდა და რვამ უკვე მოიხადა სასჯელი და გარეთაც არის გამოსული, იგორ გიორგაძეს ბრალი დღემდე არ აქვს წაყენებული, რაც არის სრული აბსურდი. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ ეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღიარების საშიშროება შეიქმნა

ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საშიშროება კვლავ ძალაშია პარლამენტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრად კვლავ აფხაზეთის ამღიარებელი სატო კილმანი აირჩია.

კილმანმა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მსურველ ედვარდ ნატაპეის საპარლამენტო კენჭისყრაზე ექვსი ხმით აჯობა. ამ ეტაპზე უცნობია, ისევ აღიარებს თუ არა კილმანი აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

როგორც ცნობილია, სატო კილმანის ხელისუფლებამ აფხაზეთთან დიპლომატიური ურთიერთობები 23 მაისს პორტ ვილაში დაამყარა.

ამის შემდეგ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ოპოზიციონერი ედვარდ ნატაპეი დანიშნა. ამ უკანასკნელმა ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება გაუაზრებლად მიიჩნია და გააუქმა. მანვე, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სურვილიც გამოთქვა. ცოტა ხნის წინ გაეროში მიღებულ რეზოლუციას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დევნილების დაბრუნების შესახებ, მხარი ვანუტუმაც დაუჭირა, რომლის პრემიერის მოვალეობებსაც იმ დროს ედვარდ ნატაპეი ასრულებდა.

ახლახან ჩატარებული საპარლამენტო კენჭისყრის შედეგად კი ნატაპეიმ ძალაუფლება დაკარგა და ქვეყნის სათავეში კვლავ სატო კილმანი მოვიდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ არ აპროტესტებს ოპოზიცია ქართული პარტიის დევნას

## ხელისუფლება ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს აპატიმრებს

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საგამოძიებო ჯგუფის შექმნას ითხოვს საზოგადოება, მაგრამ ამ ხელისუფლების პირობებში ეს რამდენად შესაძლებელი იქნება?***

— თქვენ გახსოვთ, როდესაც 9 აპრილი მოხდა, 89 წელს შეიქმნა სახელმწიფო საგამოძიებო კომისია, თუმცა, მას არაფერი არ გამოუძიებია, მაგრამ შემდეგ შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სობჩაკი, ასევე ელდარ შენგელაია იყო ამ კომისიაში და კიდევ სხვები, რომლებმაც რეალურად გამოიძიეს ეს საქმე და როგორც საზოგადოებას, ისე მთელ მსოფლიოს ამცნეს, თუ რა მოხდა მაშინ. აქ მთავარია მსოფლიო საზოგადოებას დაედოს დასკვნა, თუ რა მოხდა რეალურად და ღვთის წყალობით დღეს საბჭოთა კავშირი არ არის და არსებობს უამრავი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე და უფრო მეტიც, ბევრი დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობებზე. ამიტომ, რა თქმა უნდა, მივესალმები ამ კომისიის შექმნას. ბუნებრივია, მე მასში ვერ მივიღებ მონაწილეობას, რადგან თავად დაზარალებული ვიყავი. მოგროვდება ყველანაირი ინფორმაცია, დაიდება ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალები, დაიკითხებიან დაზარალებული მოწმეები და ამის შემდეგ დაიდება დასკვნა, რომელიც გაჟღერდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღეს ბრძოლის მექანიზმები უამრავია. მთავარია ტირანიას ნიღაბი ჩამოეხსნას მათ დასანახად, ვინც არ იცის ამათი ნამდვილი სახე, თორემ ჩემთვის და კიდევ ბევრისთვის გინდა გამოძიებულა და გინდა არა, ხომ ვიცით, ვინც არიან ესენი და რაზე წამსვლელებიც არიან. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასთან დაკავშირებითაც, რომ იცით, 2012-13 წლებში არჩევნებია. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს საშინელებები, რაც ჩაიდინა, რამენაირად მიჩქმალოს და ამაზე მუშაობს მთელი სახელისუფლო მასმედია. თქვენ იცით, საზღვარგარეთ კი არა, რაიონებშიც არ იცის ძალიან ბევრმა, თუ რა მოხდა 26 მაისს. ყველას ჰგონია, რომ იყო ჩვეულებრივი მიტინგი და ხელისუფლებამ ეს მიტინგი კი არ დაარბია, არამედ დაშალა. ამიტომ აქ უნდა გაირკვეს, რა და როგორ იყო, რა მოხდა სინამდვილეში. იყო აქციის ჩატარების ნებართვა, არ იყო. რომელ აქციის დაშლაზეა ლაპარაკი, როცა მკვლელობებზე წავიდა ხელისუფლება. ჩვენ არაადამიანურ ქმედებებს ვუწოდებთ ამ ყველაფერს, თორემ მამას სამართლებრივად სისხლის სამართლის კოდექსი სჯის. სპეცმუხლიც კი არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც პოლიციელს სჯის და ავალდებულებს პოლიციელს, რომ მან ასეთი ქმედებები არ ჩაიდინოს. ხომ უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ვინ არიან ეს ხალხი. არის ხმები და ინფორმაციები, რომ ამ აქციაში ყველაზე აგრესიულად მოქმედებდნენ ცხინვალიდან დევნილი ზონდერ ბრიგადები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი უნდა გაირკვეს. ხვალ და ზეგაც რომ გაიმართოს აქციები, ასე ხომ არ უნდა ვაკვლევინოთ ამათ თავი. კიდევ ჩვენ გვეძახიან რუსეთის აგენტებს, მაშინ, როდესაც უკანონოს და არასამართლიანს არაფერს ვითხოვდით. რეებს არ გვაბრალებენ, იარაღი, კოქტეილები და ათას ჯანდაბას იგონებენ. შევხედოთ ერთი, რა ხდება საბერძნეთში, მოლოტოვის კოქტეილებსაც იყენებენ ყოველდღიურად, შენობებსაც ამტვრევენ და პარლამენტის შენობაშიც შევარდნენ. ეს ხალხი არავის დაუხოცავს, აკავებენ და ერთ საათში უშვებენ გარეთ, რადგან მასობრივ არეულობებს ეს ყველაფერი თან ახლავს და მერე ამ ყველაფრის მონათვლა, რომ ეს რუსეთის აგენტების გაკეთებულია და რუსეთის ხელისუფლება არის ამ ყველაფერში ჩართულიო, ცოტა არასერიოზულია.

***— რუსეთთან ასეთი ურთიერთობა აწყობს ჩვენს ხელისუფლებას, რომ ყველაფერი მათ გადააბრალონ...***

— გეთანხმებით. თან ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ითხოვს. გუშინ კალანდაძე აცხადებს — ჩვენო გვიკვირსო, რუსეთი ნაცვლად იმისა, მოლაპარაკებებზე წამოვიდესო, იგნორირებას გვიკეთებსო. თუ შენ დამტკიცებული ფაქტები გაქვს, რომ რუსეთის ხელისუფლება გიწყობდა ამ ყველაფერს, მაშინ შენ უნდა უგზავნიდე დიპლომატიურ ნოტას რუსეთს და გარდა ამისა, მსოფლიო საზოგადოებას უნდა აყენებდე საქმის ყურში, რომ რუსეთის ხელისუფლებაა ის ძალა, ის სახელმწიფო, რომელიც არ გაძლევს ქვეყნის ნორმალურად განვითარების საშუალებას. საერთოდ, ალოგიკურ ქმედებებთანა გვაქვს საქმე. ამიტომ გამოძიება უნდა ჩატარდეს და უნდა გაირკვეს, იყო რუსეთის აგენტი, არ იყო, იყო მოლოტოვის კოქტეილები, არ იყო. თუ კოქტეილი იყო, როგორ არ წაუცდა ერთი ვინმეს ხელი და არ ისროლა.

***— რუსეთის აგენტობა ძალიან მოდაშია ჩვენს ხელისუფლებაში. ბოლო პერიოდში ამ ბრალდებით უკვე ქართულ პარტიას შეუტია ხელისუფლებამ, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე, რატომ აკავებს ხელისუფლება ამდენ ხალხს?***

— აქ არის ერთი მომენტი, ფაქტია, რომ ქართულ პარტიას ამ აქციებში მონაწილეობა არ მიუღია. ახლა პიროვნულად თუ მიიღო ვინმე ადამიანმა მონაწილეობა, ეგ არ ვიცი. შემდეგ ჩვენ ვნახეთ კადრები, რომ თურმე ოქრუაშვილი შემოსვლას აპირებდა და შევარქვით ამას ზილების რევოლუცია. გუშინ სოზარ სუბარის განცხადება მოვისმინე, არც ერთი პარტია ხმას არ იღებსო. მე პირიქით მახსენდება, თემურ ჟორჟოლიანი, მაია თოფურია და ეს ხალხი რომ დაიჭირეს, მაშინ ადვოკატი გახლდით და მივდიოდი პარტიებთან და ვეუბნეოდი — პოლიტიკოსები ხართ და ხმა ამოიღეთ და რაღაც მხარდაჭერა გააკეთეთ-მეთქი. ადამიანი რუსეთის მომხრეა, სომხეთის თუ საფრანგეთის, პოლიტიკური ნიშნით როცა იდევნება ადამიანი, პოლიტიკოსი ვალდებული ხარ, პირველ საკითხად დააყენო პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების გამო ამოიღო ხმა. ამ შემთხვევაში მე მხარს ვუჭერ ამ ხალხს და პროტესტს ვაცხადებ იმასთან დაკავშირებით, რასაც ქართული პარტიის წევრებს უკეთებენ, ანუ ხდება ამ ადამიანების დაკავება პოლიტიკური ნიშნით, რაც ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. ფაქტი ერთია, ქართული პარტია აანონსებს რევოლუციის მსგავს ქმედებებს და აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს ამ ყველაფრის განეიტრალებას. თუმცა, ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— დღეს საზოგადოება უფრო მხარს უჭერს არა პარტიების პროგრამებს, უფრო მხარს უჭერს საპროტესტო მუხტს, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ არის ქართული პარტიის წევრი თუ არაა, უშიშროების სამსახურების წევრებს გადაცემული აქვთ სიები, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, თუ ვინ არის რაიონში აქტიური, ეს ხალხი რომელიმე პარტიის წევრები კი არ არიან, არამედ საპროტესტო მუხტის მატარებლები და ვინც გააქტიურდება, რომელი პარტიაც, სწორედ მათ გაჰყვებიან. დღეს სწორედ ასეთი ადამიანების დაპატიმრება ხდება, რომლებიც ყოველგვარი ანგარების გარეშე გამოვლენ და დადგებიან ამა თუ იმ პარტიის გვერდით და იბრძოლებენ ტირანიის წინააღმდეგ. რეალურად ამ ადამიანების განეიტრალება ხდება. ამ შემთხვევაში კი ქართული პარტია დააყენეს სერიოზული დარტყმის ქვეშ. დღეს ამაზე ხმას არავინ იღებს და ეს იმის მიმანიშნებელია, რომ თუ რამდენიმე პარტიას არ ჩავთვლით დღეს პრაქტიკულად არ არსებობს სერიოზული პოლიტიკური პარტიები საქართველოში. დააპატიმრეს პოლიტიკური ნიშნით? შენ ვალდებული ხართ, ხმა ამოიღო. ეს არის შენი პირველი მოვალეობა. თუ ამას არ აკეთებ, მაშინ შენ არ ხარ პოლიტიკური პარტია. დროა ეს აგენტურა მაგენტურის ამბავი დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ. დროა ამ იარლიყების მიწებებას თავი დავანებოთ სანამ ამას თავს არ დავანებებთ, რეალურ პოლიტიკას ვერ გავაკეთებთ. ვიქნებით ასეთ სიბინძურეში და ერთმანეთის მოტყუებაში და ვინც გაუხარდება ჩვენს ხელისუფლებას, იმას დააპატიმრებს.

***— ასევე მინდა გკითხოთ ყოფილ რვიანზე და ამჟამინდელ ექვსიანზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბებას აპირებენ და არც დანარჩენ ოპოზიციასთან საქმიანობას გამორიცხავენ. თქვენი აზრით, რამდენად წარმატებული იქნება მათი საქმიანობა?***

— დღეს ჩვენს ქვეყანაში გაუგონარი მდგომარეობაა, ვერ გაიგებ, ვის რა უნდა. ჩვენ როდესაც ჰააგაში სარჩელი შევიტანეთ, მაშინ შევთავაზეთ რვიანში შემავალ პარტიებს, რომ ხელი მოეწერათ, თუმცა ხელი არ მოგვიწერეს. ამის შემდეგ დაიწყეს მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან. ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამ რვიანს გამოეყოფოდა რამდენიმე პარტია, ეს მე დასაწყისშივე ვიცოდი, არა იმიტომ, რომ რაიმე ინფორმაცია გამაჩნდა, თავისი ბუნებიდან, არსიდან, პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე რომ გამოეთიშებოდნენ ქრისტიან-დემოკრატები და გამოეთიშებოდნენ მემარჯვენეები. ეს მათი საქმეა, მათი პოლიტიკური ხედვაა, ისინი ასეთ გზას ირჩევენ ტირანიასთან საბრძოლველად და კი ბატონო, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ახლაც ზუსტად ვიცი, რომ ამ ექვსიანს გამოეთიშებიან რესპუბლიკელები, შეიძლება დღეს და ხვალ არა, მაგრამ ნახავთ, რომ რესპუბლიკელებიც გამოეთიშებიან და კიდევ ერთი ძალა, უბრალოდ ამ ეტაპზე თავს შევიკავებ ამ ძალის დასახელებისაგან. ცუდი არაფერია იმაში, რომ ისინი ერთ ბლოკად ჩამოყალიბებას აპირებენ, ყველაზე კარგი მომენტი ის არის, რომ საზოგადოება იწყებს ამ პროცესებში ჩართულობას და იქნებ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში შედგეს საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი აქტივობა, რაც ამ 22 წლის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოხერხდა.

***— თქვენს პარტიაზე რას იტყვით?***

— რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ გადასულები ვართ პარტიული სტრუქტურების გაძლიერებაზე. ჩვენ ვთვლით, რომ არც რევოლუცია არის გამოსავალი, ყოველ შემთხვევაში, იმ ფორმებით, რა ფორმებითაც ანონსდება და არც არჩევნები ასეთი ფორმით, რა არჩევნებსაც ახლა ხელისუფლება გვთავაზობს. ჩვენ ვთვლით, რომ გამოსავალი არის ევოლუციაში. ეს არის ეროვნული და რელიგიური იდეოლოგია სწორედ ამაზე დაყრდნობილი იდეოლოგია იქნება ჩვენ მიერ შეთავაზებული საზოგადოებისათვის. ჩვენ გვინდა ნებისმიერმა მთავრობამ გააკეთოს ის, რაც ერის გადარჩენის და აყვავებისათვის არის საჭირო. სამწუხაროდ, ქართველმა ერმა ვერ შექმნა იმის დოკუმენტი, თუ რა უნდა ქართველ ერს. რა გვინდა, როგორი ტიპის სახელმწიფო გვინდა, რომ ავაშენოთ, ეს ჯერჯერობით ნათქვამი არ არის. ჩვენ საქართველოს მოსახლეობას გვინდა შევთავაზოთ ის გზა, რა გზითაც ქვეყანა უნდა გამოვიდეს ამ მრავალწლიანი უბედურებიდან.

## უკანონო ფორმირების შექმნისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება

უკანონო ფორმირების შექმნისა და დაფინანსებისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრებული ნორმები უკვე დამტკიცებულია.

პარლამენტის მიერ „სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების მიხედვით, უკანონო ფორმირების (ლაშქრის, გაერთიანების, რაზმის ან სხვა ჯგუფის) შექმნა ან ხელმძღვანელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსიდან 12 წლამდე. ასევე, უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

ასევე, უკანონო ფორმირების დაფინანსება ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება ან მიწოდება ამ ფორმირების გამოყენების მზინით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

კანონში დეტალურად გაიწერა, თუ რას გულისხმობს უკანონო ფორმირება - ლაშქარი, გაერთიანება, რაზმი ან სხვა ჯგუფი. კერძოდ, ასეთი გაერთიანება გულისხმობს ნებისმიერ ფორმირებას, რომელიც შეიარაღებულია ცეცხლსასროლი იარაღით, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ან ადვილად აალებადი ნივთიერებით, ასაფეთქებელი მოწყობილობით, ცრემლსადენი, რადიოაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერებებით, ცივი იარაღით ან ნებისმიერი მოწყობილობით ან საგნით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან გასანადგურებლად.

ის, ვინც ნებაყოფლობით შეწყვეტს უკანონო ფორმირებაში მონაწილეობას და ჩააბარებს ჩამოთვლილ საგნებს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები 21-26 მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ მომზადდა. თუმცა, კანონმდებლები აცხადებენ, რომ გამკაცრებული ნორმები უკვე შემდგარ დანაშაულზე არ გავრცელდება.

**ინტერპრესნიუსი**

## დიდუბის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

სარემონტო სამუშაოების გამო დღეს 10 საათიდან 16 საათამდე დიდუბის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება.

შეზღუდვა შეეხება წერეთლის გამზირის (ნაწილობრივ), კედიას, ევდოშვილის, თევდორე მღვდლის, ვანის და ცემის ქუჩების მცხოვრებლებს.

ხოლო 5 ივლისს 10 საათიდან 16 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება წერეთლის გამზირის და სტანისლავსკის ქუჩების მცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**მედიანიუსი**

## ილია მეორე: ქართველების, ოსებისა და აფხაზების მტრობა აღარ უნდა გამეორდეს!



გუშინ სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ტრადიციული საკვირაო ქადაგება ჩაატარა.

წირვა ლოცვის დასრულების შემდეგ, უწმინდესმა საქართველოს გამთლიანებაზე ისაუბრა და ბრძანა, რომ ქართველები, აფხაზები და ოსები აუცილებლად ერთად იქნებიან.

პატრიარქმა ქადაგებისას ბავშვების აღზრდაზე და ახალგაზრდების ეკლესიისკენ შემობრუნებაზეც გაამახვილა ყურადღება.

— ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი არ დაუშვებს იმას, რომ საქართველო გაიყოს. ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. საქართველოს ღვთისმადლით და წყალობით გამთლიანდება და საქართველო იქნება აყვავებული. ბედნიერი იქნებიან ჩვენთან ერთად აფხაზებიც და ოსებიც. აქ არიან აფხაზეთის ომის ვეტერანები, რომლებმაც რთული გზა გამოიარეს. არასდროს აღარ უნდა განმეორდეს ოსების, ქართველებისა და აფხაზების ერთმანეთთან მტრობა. ჩვენ ვადექით იმ გზას, რომელიც აფხაზების წინააღმდეგაც არის, და ქართველების წინააღმდეგაც, — ბრძანა ქადაგებისას ილია მეორემ.

ქადაგების ბოლოს პატრიარქმა აფხაზეთის ომის ვეტერანები და რამდენიმე ქართული გვარი დალოცა.

**მედიანიუსი**

## ქართული ენისა და ლიტერატურის ნაშრომების გასწორება დაიწყეს

გუშინ გამოცდების ეროვნულ ცენტრში ქართული ენისა და ლიტერატურის ნაშრომების გასწორება დაიწყეს.

აბიტურიენტები კი ხვალიდან კიდევ ერთ სავალდებულო გამოცდას — ზოგად უნარ-ჩვევებს ჩააბარებენ.

საქართველოს ყველა რეგიონში უნარ-ჩვევების გამოცდა ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება და ოთხ ეტაპად ჩატარდება.

როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების რესურს-ცენტრში აცხადებენ, ზოგად უნარ-ჩვევებში ტესტირება სირთულის მიხედვით წინა წლებთან შედარებით გაცილებით ადვილი იქნება.

— პარასკევს დამთავრდა პირველი გამოცდა. გუშინ დაიწყო ამ ნამუშევრების შესწორება. რაც შეეხება მეორე სავალდებულო გამოცდას, ის დაიწყება დღეს და გასტანს ორ დღეს, — განაცხადა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე სოსო გოგოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველ სავალდებულო საგანში ქართული ენა და ლიტერატურა 15787-მა აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია.

**მედიანიუსი**

# კოკოითი პირადი დაცვის გარეშე დარჩა

## რატომ იჩენს უნდობლობას სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი

თეა მარხვაი ე



**რუსეთის კატეგორიული მოთხოვნით ედუარდ კოკოითი პრეზიდენტად მესამე ვადით აღარ იყრის კენჭს. არადა, ამ მიზნის მისაღწევად მისმა გარემოცვამ რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერებიც კი შეაგროვა. რეფერენდუმის ჩატარებას წინ თითქოს არაფერი ედგა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა.**

უზენაესმა სასამართლომ საქმე განიხილა და გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი რეფერენდუმზე არ გავიდოდა. ამან კოკოითის მომხრეების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ და დეპუტატებს კატეგორიულად მოსთხოვეს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა. დღეს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ერთი და იგივე ადამიანს არა აქვს უფლება, მესამე ვადით იყაროს პრეზიდენტად კენჭი.

პარლამენტში შეიარაღებული ხალხის „ვიზიტი“ მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად დასრულდა. რამდენიმე დეპუტატმა უარი თქვა თავის უფლებამოსილებაზე. კონსტიტუციაში ცვლილება არავის შეუტანა. შეიარაღებული ვიზიტორები, როგორც ამბობენ, კოკოითიმ გამოიხმო უკან.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, პარლამენტის შენობაში თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები და კოკოითის პირადი დაცვის წევრები შევიდნენ. კოკოითიმ ამ ინციდენტს გაუგებრობა უწოდა და გენპროკურატურას საქმის გამოძიება დაავალა.

ვინ და როგორ გამოიძიებს საქმეს, ჯერ ცნობილი არ არის. თუ კოკოითის გარემოცვიდან გახდა ვინმე პრეზიდენტი, ეს ამბავი გამოუძიებელი დარჩება. აი, თუ სხვამ გაიმარჯვა, მერე ნახეთ ხალისობა.

ხალისობა პრინციპში ცხინვალში უკვე დაწყებულია და კოკოითის ერთ-ერთი გადაწყვეტილება შესაძლოა სწორედ პარლამენტში შეჭრას უკავშირდებოდეს. ოსური საინფორმაციო სააგენტო „რესის“ ცნობით, კოკოითიმ თანამდებობიდან გაათავისუფლა დაცვის სამსახურისა და პირადი დაცვის უფროსები.

ეს გადაწყვეტილება კოკოითიმ ძალოვნებთან გამართულ შეხვედრაზე გაახმოვანა. ამ უკანასკნელმა ძალოვანებთან შეხვედრას მოუხშირა. ეს გასაკვირი არ არის, წინ საპრეზიდენტო არჩენებია.

არჩევნებისთვის კოკოითი თავის სამფლობელოში განსაკუთრებული წესრიგის დამყარებას აპირებს. თანაც ისეთის, რომ ლამის არის ცხინვალში „მშრალი კანონი“ შემოიღოს.

საგანგებო შეხვედრაზე პირველმა მოხსენება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვალერი ვალიევმა გააკეთა. რაკი ძალოვნებს კოკოითი კვირაში ერთხელ ხვდება, ვალიევს სულ ერთი კვირის დარღვევებზე ჰქონდა საჭორაო.

როგორც მინისტრი ამბობს, სამხრეთ ოსეთის შსს რეგულარულად ატარებს რეიდებს დამნაშავეთა გამოსავლენად. ამ ერთი კვირის განმავლობაში 4 ადამიანი დაიჭირეს იმის გამო, რომ მანქანას მთვრალები მართავდნენ.

ვალიევის განცხადებით, ამ კვირის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტებსაც.

— აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს უკანონო იარაღის ამოსაღებად, — განაცხადა მინისტრმა.

მოსახლეობიდან იარაღის ამოღება ცხინვალის რეგიონში უკვე მეორე წელია, რაც დაიწყო, თუმცა ამან დიდი შედეგი ვერ გამოიღო. რამდენიმე ექსპერტმა კოკოითის ურჩია მოსახლეობას იარაღის სანაცვლოდ ფული შესთავაზეთო, მაგრამ ეს მეთოდი არ გამოიყენეს.

მთვრალ მძღოლებზე კოკოითისთან უზენაესი სასამართლოს თავკაცმა აცამაზ ბიჩენოვმაც დაიჩივლა. მისი თქმით, ერთი კვირის განმავლობაში სასამართლომ 5 ადამიანს დააკისრა ჯარიმა ნასვამ მდგომარეობაში ავტოტრანსპორტის მართვის გამო.

ამან კოკოითი ძალიან გაამწარა. ის შს მინისტრს ჩაეძია, იშოვა თუ არა მან სპეციალური მოწყობილობა. საუბარია სიმთვრალის და ნარკოტიკების დასადგენ მოწყობილობაზე. როგორც მინისტრმა თქვა, მოწყობილობა ჩამოტანილია, მაგრამ მას რაღაცა პრობლემები შეექმნა.

ამ პასუხმა კოკოითი საერთოდ გადარია. მან შსს და გენპროკურატურა გვარიანად გამოლანძღა. მისი თქმით, ამ აპარატურის ჩამოტანის განკარგულება ბევრად ადრე იყო გაცემული და ის ექსპლოატაციაში ერთი წლის წინ უნდა შესულიყო.

— ჩვენ ტოტალური კონტროლი უნდა დავაწესოთ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებზე. ის პირები, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ, ჩვენს სტრუქტურებში არ უნდა მუშაობდნენ, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ძალოვნებთან გამართული თათბირის დროს რესპუბლიკის აღმშენებლობაზეც იყო საუბარი. კოკოითის აინტერესებდა, რომელი რაიონისთვის რამდენი მილიონი რუბლია გამოყოფილი. ამის შესახებ პრეზიდენტს ინფორმაცია პრემიერმა ვადიმ ბროვცევმა მიაწოდა.

ამ უკანასკნელს თავის პრეზიდენტთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს. ჩვენმა ხელისუფლებამ რამდენჯერმა გვამცნო, რომ კოკოითიმ ის მოხსნა. არადა, ბროვცევი ისევ თავის ადგილზე მუშაობს. ის ამ თანამდებობას დიდი ხნის წინ დაკარგავდა, მაგრამ მოსკოვში სერიოზული მფარველები ჰყავს. ცხინვალში კი მოსკოვის აზრს ანგარიშს უწევენ.

ბროვცევისგან განსხვავებით მოსკოვში სერიოზული მფარველები არ ჰყავს კოკოითის დაცვას. ამიტომაც პრეზიდენტმა ისინი სამსახურიდან დაითხოვა.

როგორც სააგენტო „რესი“ იუწყება, პრეზიდენტმა ძალოვნებს ამცნო, რომ თათბირის შემდეგ ხელს მოაწერდა განკარგულებას, რომლის თანახმადაც თანამდებობას დატოვებენ სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი გენადი კოკოევი და პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი ლუდვიგ კოკოევი.

კოკოითის თქმით, დაცვის სამსახური საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებს და ხელმძღვანელი პირების დისკრედიტაციას ეწევა.

პრეზიდენტმა ახალი დაცვის სამსახურის ჩამოყალიბება საკუთარი ადმინისტრაციის უფროსს არსენ გაგლოევს დაავალა. გაგლოევმა ეს საქმე ძალიან მალე უნდა მოაგვაროს. აბა, კოკოითი დაცვის გარეშე ხომ არ იქნება.

ქართველი ექსპერტების განმარტებით კოკოთის ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ის პირად დაცვას აღარ ენდობა.

— კოკოითის პირად დაცვაში ძირითადად მისი ნათესავები შედიოდნენ. ხელშეუხებლობით გათამამებული დაცვის წევრები გავლენიან პირებად ითვლებოდნენ და ყველა სფეროში საკუთარი მოთხოვნები ჰქონდათ. ბოლოს ისინი პოლიტიკაშიც ჩაერთვნენ და სხვა ძალოვნებთან ერთად პარლამენტში კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტების მოთხოვნით შეიჭრნენ. გარდა ამისა, კოკოითის დაცვის წევრებზე ვრცელდებოდა ხმა, რომ ისინი ნარკორეალიზატორებს მფარველობდნენ და ამით დიდ შემოსავლებს იღებდნენ, — ფიქრობენ ექსპერტთა კლუბში.

კოკოითი არ უარყოფს, რომ ცხინვალის რეგიონში ნარკოტიკებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია. ამ პრობლემის მოგვარება მან არაერთხელ მოსთხოვა ძალოვანებს. ნარკოტიკების გამო ის გასულ წელს რუსულ სამშენებლო კომპანიებსაც დაუპირისპირდა.

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე კოკოითიმ განაცხადა, რომ რუსულ სამშენებლო კომპანიებს რეგიონში ნარკოტიკული ნივთიერებები შემოაქვთ. პრეზიდენტმა თქვა, რომ გაარკვევს, რომელი კომპანია იქცევა ასე და მას კონტრაქტი შეუჩერდება.

აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა ცხინვალის აღსადგენად სერიოზული თანხა გამოყო. სამუშაოების შესრულება რუსულ სამშენებლო კომპანიებს დაევალა. აღდგენითი სამუშაოები დათქმულ ვადებში ვერ შესრულდა. თან გამოყოფილი თანხაც სადღაც გაუჩინარდა. ეს რუსულმა კომპანიებმა კოკოითის დააბრალეს. მან კი საპასუხოდ მშენებლებს რეგიონში ნარკოტიკების შეტანა დაავალა.

ნარკოტიკების შეტანის გამო არც ერთი რუსული კომპანია არ დაუსჯიათ. ისე არც ფულის გაქრობის გამო დასჯილა ვინმე. არადა, რუსეთიც აღიარებს, რომ ცხინვალში სერიოზული ფული „მოტეხეს“. ამაში კოკოითი და კონკრეტულად მისი ძმა რობერტი ადგილობრივმა ოპოზიციამაც დაადანაშაულმა.

რობერტ კოკოევმა ამის გამო ოპოზიციონერ ალბერტ ჯუსოევს სასამართლოშიც კი უჩივლა ცილისწამებისათვის. საქმე ვლადიკავკაზის საქალაქო სასამართლოს აქვს წარმოებაში. მათ რამდენჯერმე გაუგზავნეს უწყება ჯუსოევს, მაგრამ ცნობილმა ოლიგარქმა თავი არ შეიწუხა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩვენმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინ საინტერესო სქემა გამოაქვეყნა. ჩვენებურმა მტკიცებით, ნარკოტიკებით ვაჭრობაში კოკოითის ძმა იყო ჩართული. ამ სქემის გამოქვეყნებას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. ეს თემა ჩვენმა ხელისუფლებამაც მალე მიივიწყა.

რაც შეეხება კოკოითის პირად დაცვას, ამ მიმართულებით მოვლენები საინტერესოდ ვითარდება. რამდენიმე თვის წინ ვლადიკავკაზში კოკოითის პირადი დაცვის წევრი საკუთარი იარაღით მოკლეს. თავიდან ამ საქმეს პოლიტიკური ელფერი მისცეს. მერე ყველამ აღიარა, რომ მას პოლიტიკასთან და კოკოითისთან საერთო არაფერი ჰქონდა. სხვათა შორის, ის მოკლული მცველიც პრეზიდენტის ნათესავი იყო.

კოკოითის დაცვაში მართლაც უახლოესი ნათესავები ჰყავს. ადრე ის დიდი სიფრთხილით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა შეიცვალა. და რაკი პირად დაცვას დაერია, გამოდის, რომ ახლო ნათესავებსა და მეგობრებსაც აღარ ენდობა. მეგობრებს თავადაც ბევრჯერ ულალატა და ალბათ ამიტომ.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე საკმაოდ ცოტა დრო არის დარჩენილი. ამის მიუხედავად საკუთარი კანდიდატურა არავის წარუდგენია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მოქმედი პრეზიდენტი კენჭს აღარ იყრის.

როგორც ამბობენ, კოკოითის გარემოცვაში კანდიდატურის შერჩევა მიმდინარეობს. ეს ყველაფერი რუსეთთან შეთანხმებით კეთდება. სიფრთხილეს იჩენენ ოპოზიციურ ბანაკში.

არსებული ვარაუდით საკუთარ კანდიდატურას დააყენებს აქაური ოპოზიციის ლიდერი ძამბოლატ თედეევი, თუმცა მას ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. მართალია ის ცხინვალელია, მაგრამ არც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეა და არც ბოლო ათი წელი უცხოვრია აქ. კონსტიტუცია კი პრეზიდენტობის მსურველს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას სთხოვს. თუ რუსეთისგან თანხმობა იქნა, ეს უკანასკნელი მოქალაქეობის გარეშეც იყრის კენჭს. ისე, პრეზიდენტად პირველი კენჭისყრის დროს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა არც კოკოითის ჰქონდა. მას ეს პრობლემა მაშინდელმა პრემიერმა დიმა სანაკოევმა მოუგვარა. ასე რომ, გასაკვირი არ არის, კოკოითი გარემოცვას ბოლომდე რომ არ ენდობა.

# ციხეებიდან პატიმრების გვამები ყოველდღე გამოაქვთ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სწორედ კიდევ ერთი პოლიტიკური პიარ-კამპანიისთვის სჭირდებოდათ. ასეთი აბსურდი რომ კიდევ არ გაემეორებინათ, როგორც ჩანს, სამართლებრივად ეს გამართეს და ოქრუაშვილსაც წაუყენეს ბრალი.

*— დღეს რეალურად „ახალი მემარჯვენეები“ დავით ბაქრაძესთან იწყებენ კონსულტაციებს. თქვენი აზრით, ხელისუფლების ნაბიჯები როგორი იქნება იმ ფონზე, როცა რვიანს და სხვა პოლიტიკურ ძალებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ „ახლები“ შეიძლება გადააგდოს კიდეც, ანუ, ვთქვათ, ვერ გადაალახვინონ ბარიერი, ან ის დაპირებული მილიონი ლარი საოცნებოდ დარჩეს.*

— სამოქალაქო საზოგადოების ერთმა ნაწილმა გააკეთა განცხადება, სადაც „პოლიტიკური კიკუები“ უწოდა იმ ადამიანებს, ვინც ერთ მილიონ ლარზე გაიყიდა. მაგრამ მე არ მგონია, რომ ხელისუფლებამ გადააგდოს ისინი. ხელისუფლებას სჭირდება ასეთი პარტია და პირიქით, მათ მოეფერებიან. შეიძლება მათ 10%-ის ნაცვლად 15 და 20% დაუწერონ და აჩვენონ სხვებს, აი, ჩვენ როგორები ვართ კოლაბორაციონისტების მიმართ, როგორი შემწყნარებლები ვართ და როგორ ვასრულებთ ჩვენს დაპირებებს. მაგრამ ვიმეორებ, ეს არ გაცდება 20-25%-ს, მაქსიმუმ 30%-ს. თვითონ ხელისუფლებას სჭირდება, რომ შექმნას დემოკრატიულობის და მრავალპარტიულობის იმიჯი. რა თქმა უნდა, ისინი ამ შემთხვევაში პარტნიორები არიან „ახალი მემარჯვენეების“ და ქრისტიან-დემოკრატების, თორთლაძის და კიდევ სხვების, ვინც არიან ე.წ. ოპოზიცონერები პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ. მათ ყველანაირად შეუქმნიან სასათბურე პირობებს და მიეხმარებიან, რომ მათ გადალახონ ბარიერი და ისინი დანიშნონ ოპოზიციად.

*— თქვენი აზრით, რატომ წავიდნენ ახლები ასეთ ნაბიჯზე? იგივე მამუკა კაციტაძე არაერთხელ ირწმუნებოდა, რომ უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერის ფონზე ხელისუფლებას მოუწევდა დათმობა და რომ რვიანი სერიოზული ძალა იყო.*

— აი, ეს ჩემშიც ძალიან დიდ გაკვირვებას იწვევს. მე გაოცებული ვიყავი, როცა მათი პოზიცია მოვისმინე. იყო განმარტება საკუთარი საქციელის, უზნეო საქციელისა, მე პირდაპირ ვიტყვი. ასე ამართლებენ თავის უზნეო საქციელს ყველა ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, რომ სხვა შემთხვევაში უარესი მოხდებოდა, ანუ მაშინ ამასაც არ დათმობდა ხელისუფლება და უბრალოდ, რა აზრი აქვს ამ დათმობას, თუ პირიქით. თუ არ დათმობდა ამას ხელისუფლება და ხელისუფლება ერთპარტიული იქნებოდა, ეს კიდევ უკეთესი იქნებოდა მსოფლიოს თვალში. ნახავდნენ, რომ საქართველოში არსებობს ერთპარტიული ბოლშევიკური პარლამენტი. ამაში პირიქით ყველას ხელი უნდა შეეწყო, ყველა ჭეშმარიტ ოპოზიციას. ისე კი არ უნდა მოქცეულიყო, რომ ფასადად ქცეულიყო და ლეღვის ფოთლად აფარებოდა ხელისუფლებას, დაეფარა მისი რეალური სახე. ნამდვილად არ მეგონა, რომ ამაში წამყვანი ძალა გახდებოდნენ ახალი მემარჯვენეები. არ ვიცი, შეიძლება ისინი შემდეგ ნანობდნენ, რომ თავის დროზე პარლამენტში არ შევიდნენ და დაკარგეს ბევრი პრივილეგია, ბევრი საშუალება ცხოვრების და პოლიტიკური მოღვაწეობის. რა თქმა უნდა, პარლამენტი უფრო მეტ საშუალებას იძლევა მოღვაწეობისა კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის. მაგრამ მთელი ქვეყნისთვის როდესაც ეს არის წამგებიანი და დამღუპველი და მხოლოდ ფასადის შემქმნელი, როდესაც ფასადად და ლეღვის ფოთლად გიყენებენ, შენ არ უნდა დათანხმდე, თუ ზნეობრივი ადამიანი ხარ და ზნეობრივი პარტია ხარ. მე ამ ფაქტს ვერაფრით ვერ ვხსნი, უბრალოდ ასეთ შეფასებას ვაკეთებ. ალბათ ფულის სიყვარულმა და კომფორტული ცხოვრების, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ პოლიტიკურ ცხოვრებას, ამისკენ მისწრაფებამ განაპირობა ეს ყოველივე და გადასძალა მემარჯვენეების პოზიციას.

*— ანუ ახალი მემარჯვენეები ლეღვის ფოთლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ?*

— კი, ახალი მემარჯვენეები თავისთავად აღმოჩნდნენ ლეღვის ფოთლის მდგომარეობაში. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ამბობს, რომ მეფე შიშველია და ამ დროს შენ მეფეს სიშიშვლეს უფარავ და ფაქტიურად ამბობ, რომ არა, შიშველი არ არის და ისინი გიფარებენ წინ ფასადად, ლეღვის ფოთოლს დაარქმევ თუ შელამაზებულ ფასადს დაარქმევ, აქ შინაარსი არის ერთი: ეს არის ხელისუფლების დემოკრატიულობის იმიჯის გადარჩენა.

*— რვიანის ნაწილობრივ დაშლით ხელისუფლებამ საკუთარი სიძლიერე დაამტკიცა? საავაშვილმა დიდი ხნის წინ უწოდა ოპოზიციას სუსტი. ასეა?*

— მე ასე ვიტყვიდი: ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები სამწუხაროდ, არიან სუსტები. მაგრამ ზოგადად ოპოზიცია, ამ შემთხვევაში მე ოპოზიციაში ვგულისხმობ მთელ საზოგადოებას, რომლის 70-80% განწყობილია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, არის ძლიერი. იმიტომ, რომ ოპოზიციური მუხტი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ არის ძალიან ძლიერი. აქ შედის სამოქალაქო საზოგადოებაც, ჟურნალისტები იქნებიან ესენი, პროფკავშირები თუ სამოქალაქო საზოგადოების სხვა სეგმენტები. მაგრამ მათ აკლიათ მაორგანიზებელი ძალა. ეს ერთი. მეორეც, ეს პოლიტიკური პარტიები რომ იყიდებიან და ნდობას არ იმსახურებენ, სამწუხაროდ, ეს ხშირად მთელ ოპოზიციაზე გადადის ხოლმე. ამიტომაც მე შემიძლია ვთქვა, რომ ოპოზიციური განწყობა საქართველოში სუსტი არ არის. პირიქით, ბევრად ძლიერია. მაგრამ ოპოზიციური პარტიები არიან სუსტი და ბევრი მათგანი არა მხოლოდ სუსტი, არამედ ანგარებიანი და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მზრუნავი. ამას საზოგადოება, რა თქმა უნდა, ხედავს. ამ თვალსაზრისით საააკაშვილი სწორია.

*— დაბოლოს, რას იტყვით თავად ხელისუფლების წინადადებებზე და რეფერენდუმის გადაწყვეტილების იგნორირებაზე ხელისუფლების მხრიდან?*

— ეს ძალიან კარგად შეაფასა თუ არ ვცდები ვახტანგ ხმალაძემ და მე მას ვეთანხმები: ეს იყო უზნეო მორალის თვალსაზრისით და უკანონო სამართლის თვალსაზრისით. რეფერენდუმის შედეგები მხოლოდ რეფერენდუმით შეიძლება შეიცვალოს. რაც შეეხება მორალურ მხარეს, უკვე ვთქვით, რომ აქ ლაპარაკია 1 მლნ ლარზე, რომელსაც საკენკის სახით სთავაზობს ხელისუფლება. ეს საკენკი ახლებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა აკრიფეს სხვა პარტიებთან ერთად.

# ნარკომანების მიმართ კანონი შემრიგებლური უნდა იყოს

**ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულისათვის ბრალდებული პირების მიმართ მიდგომის შეცვლას მოითხოვს. გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ საჭიროა შეწყდეს ნარკომომხმარებლების მიმართ სამართლებრივი დევნა. მისი თქმით, ნარკომომხმარებლები დამნაშავეები კი არა, ავადმყოფები არიან და მათ მკურნალობა სჭირდებათ.**

გულიკო ბალა ე

— ნარკომომხმარებლები ავადმყოფები არიან და მათ მიმართ კანონი შემრიგებლური უნდა იყოს. მათ მკურნალობა სჭირდებათ. ნარკოგამსაღებლები კი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძე პოლიციის უფლებების გაზრდასა და ამასთან დაკავშირებით ახალი კანონპროექტის მიღებას აპროტესტებს, რომელიც პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ადამიანების მიმართ უვადო სანქციას აწესებს.

ადამიანის უფლებათა დამცველს კანონის ასეთი ნორმის შემოღება ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

***— ბატონო გიორგი, ქართული ციხეები სავსეა ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაპატიმრებული პირებით. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ კატეგორიის პატიმართა მიმართ, რამდენად სამართლიანად არიან ისინი დაპატიმრებული?***

— პატიმრობაში მყოფ პირთა დიდი უმრავლესობა ნარკოტიკული დანაშაულის ბრალდებით იხდის სასჯელს. მიმაჩნია, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელთა მიმართ ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს მიდგომა. ისინი არა დამნაშავეებად, არამედ დაავადებულ პირებად უნდა იქნენ მიჩნეულნი. ისინი საჭიროებენ არა დასჯას, არამედ — მკურნალობას, რასაც საერთაშორისო ინსტიტუტებიც აღნიშნავენ. ნარკოგამსაღებლების მიმართ კი საზოგადოება და ხელისუფლება დაუნდობელი უნდა იყოს, რადგან მათ სინდისზეა ჩვენი შთამომავლობისა და გენოფონდის რისკის ქვეშ დაყენება.

***— პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკების ჩადების ფაქტები რამდენად ხშირია?***

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დაკავებული პირები აღნიშნავენ, რომ მათ დაკავების დროს ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება, ასევე სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება მთელი რიგი პროცესუალური დარღვევები, მაგალითად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ პირ გიორგი სანაძეს ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება. სანაძე აღნიშნავდა, რომ მას ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება და ამის გამო მის მიმართ წარდგენილი ბრალი უსაფუძვლოა. სასამართლო პროცესზე პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ფაქტები თითქმის ვერ აღიდგინეს. ასეთი ფაქტები სხვადასხვა ადვოკატის პრაქტიკაში ხშირია.

***— გამოდის, რომ პირს პოლიციამ შესაძლებელია ნარკოტიკი ჩაუდოს და ამის საფუძველზე მოახდინოს პირის იზოლაცია?***

— როგორც ჩანს, ამ ხერხს იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეულ პირზე აქვთ რაიმე ინფორმაციები, მაგრამ მისი იზოლაცია ფაქტებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ამ ე.წ. ჩადების მეთოდს, რაც თავისთავად დანაშაულია.

***— ბატონო გიორგი, რა ინფორმაციები გაქვთ ციხეებიდან, ისევ ხშირია პატიმრების ცემის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები?***

— საქართველოს ციხეებში პატიმართა მიმართ კვლავ აქვს ადგილი არაადამიანურ მოპყრობას, რაც გამოიხატება მათი ფიზიკური შეურაცხყოფითა და შესაბამისი პირობების არქონით. ამის ფაქტი უამრავია. ინფორმაციები, რა თქმა უნდა, უფლებადამცველებს გაგვაჩნია მათი ოჯახის წევრების მეშვეობით. არის ფაქტები, როდესაც ინფორმაცია შეესაბამება რეალობას, მაგრამ გარკვეული შიშის გამო პატიმრობაში მყოფი პირები არ ადასტურებენ, რადგან ადვოკატები ციხიდან გამოვდივართ, ისინი კი რჩებიან ციხეში და შესაძლებელია, ამ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის უფრო სასტიკად დასაჯონ. მაგალითისთვის მოგიყვანთ ტარიელ საყვარელიძის ფაქტს, რომელზეც განხორციელდა ზეწოლა, ხოლო მის ადვოკატ ვალოდია ტაბაღუას ადმინისტრაციამ რამდენიმე საათით უკანონოდ თავისუფლება აღუკვეთა, რაზეც ტაბაღუამ განცხადებით მიმართა პროკურატურას, მე ვარ ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. ამ კონკრეტულ ფაქტზე კომისია იმსჯელებს. ასევე განვიხილავთ ყველა ადვოკატის უფლებების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს და დასკვნას ვაცნობებთ საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, რომლებმაც თავიანთი პოზიცია არაერთხელ დააფიქსირეს ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის შესახებ.

***— ბოლო დროს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც პირის მიერ პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. რამდენად სამართლიანია ასეთი კანონის მიღება?***

— ეს კანონპროექტი თავისი არსითა და შინაარსით მიუღებელია როგორც უფლებადამცველების, ასევე საზოგადოების ნებისმიერი ფენისათვის. ამით საზოგადოებაში დამკვიდრდება პოლიციის მხრიდან დაუსჯელობის სინდრომი, რასაც ხელს შეუწყობს ე.წ. გონივრული ეჭვიც. ვფიქრობ, ხელისუფლების ასეთი მიდგომა შეაფერხებს ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის წადილს. პოლიციისთვის უკიდეგანოდ უფლებების გაზრდა მოქალაქეთა უფლებების შელახვის საწინდარი გახდება. უფრო სწორად, დაუშვებელია ადამიანის უფლებების დაკნინების ხარჯზე პოლიციისთვის უფლებების გაზრდა და დამცავი მექანიზმების გაძლიერება, რაც წარმოადგენს ქვეყანაში პოლიციური სახელმწიფოს დამკვიდრების საწინდარს და რასაც უფლებადამცველი ორგანიზაციები ვაპროტესტებთ.

***— შესაძლებელია, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პოლიციის მხრიდან კიდევ უფრო შეილახოს ადამიანის უფლებები?***

— რა თქმა უნდა, განუსაზღვრელი ძალაუფლება ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის ხელში შესაძლებელია გადაიქცეს დანაშაულის ჩადენის იარაღად, ანუ საზოგადოება პოლიციელის კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული. სამწუხაროდ, შესაძლებელია, უდანაშაულო პირი გახდეს ზოგიერთი თავგასული პოლიციელის მსხვერპლი და მოახდინოს დანაშაულის პროვოცირება, რაც თავისთავად შეიძლება გამოიყენოს ბრალდების წასაყენებლად. ამიტომაც კანონი უნდა ასრულებდეს ფილტრაციის ფუნქციას და არ ვიყოთ დაყრდნობილი მავანი პოლიციელის პიროვნულად ნებაზე.

***— ასეთ შემთხვევებში რამდენად იქნება სასამართლო მიუკერძოებელი?***

— სამწუხაროდ, სანამ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპები არ ჩამოყალიბდება და სასამართლო დამოკიდებული იქნება პროკურატურისა და პოლიტიკურ ნებაზე, მანამდე სამართლიანი სასამართლოს არსებობა ქვეყანაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თავისთავად, სასამართლო კვლავ გააგრძელებს ნოტარიუსის ფუნქციას. თუმცა, ნოტარიუსი ფაქტს მხოლოდ ადასტურებს. დღევანდელი გადასახედიდან საზოგადოება მიიჩნევს, რომ სასამართლო მხოლოდ პროკურატურის დანამატია.

***— ბოლო დროს მომხდარი პატიმრის წამების კონკრეტული ფაქტი თუ შეგიძლიათ დაასახელოთ?***

— რამდენიმე დღის წინ გლდანის მე-8 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის მალხაზ არქანიას ადვოკატმა ლექსო არქანიამ მოგვმართა და ითხოვა მისი, როგორც ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მალხაზ არქანიას უფლებების დაცვა, რომელიც, მისი განმარტებით, გაუსაძლის პირობებშია და მასზე მიმდინარეობს ზეწოლა, რომ ჩამოიცილოს ადვოკატი, რომელიც უკომპრომისოდ იცავს მის ინტერესებს.

# საქართველოს კოალიციური მთავრობა სჭირდება

## რა შანსი გაუშვეს ხელიდან ნაციონალებმა

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციური ექვსიანი უახლოეს მომავალში შეიძლება პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბდეს. ამბობენ, რომ ამ იდეას ყველაზე მეტად ირაკლი ალასანია ლობირებს. რვიანიდან ახალი მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატების გასვლამ, შეიძლება ითქვას, რომ დისონანსი შეიტანა იმ ოპოზიციურ ფრთაში, რომელიც არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლების შეცვლას.**

**რა ფორმას მიიღებს უკვე ექვსიანად გადაკეთებული ოპოზიციური დაჯგუფება, რთული სათქმელია. ასევე რთული სათქმელია, რა დოზით მიიღებს მთელ ამ პროცესში მონაწილეობას საზოგადოება. რა ფორმით ჩაერთვება საზოგადოება საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების საქმეში.**

ოპოზიციური ექვსიანისთვის საზოგადოების მეშვიდედ დამატება უკვე გააპროტესტეს.

„შესანიშნავი შვიდეულის" იდეა ირაკლი ალასანიას ეკუთვნოდა. თუმცა, მოგვიანებით ექვსიანის წარმომადგენლებს განმარტებები მოუწიათ, რომ ისინი საზოგადოების დამატებას, როგორც პოლიტიკური ერთეულისა, არ აპირებდნენ.

საზოგადოება უნდა დარჩეს თავისი სტატუსით და ის უნდა იყოს ერთგვარი მაკონტროლებელი, კრიტიკოსი როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის, ასეთია იმ ადამიანების პოზიცია, რომლებმაც გააკრიტიკეს „შესანიშნავი შვიდეულის" იდეა.

საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ექვსიანი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა.

დიპლომატებს ოპოზიციის ლიდერებმა აუხსნეს, რა მოხდა და დასრულდა თუ არა მოლაპარაკების პროცესი მათი მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესი ოპოზიციასთან დასრულებულად გამოაცხადა, ექვსიანი არსებულ რეალობას არ ეგუება.

8 ივლისს ოპოზიციური ექვსიანი კიდევ ერთ შეხვედრას გამართავს კალათბურთის დარბაზში საზოგადოების წარმომადგენლებთან. ლიდერების განცხადებით, 8 ივლისს უფრო მეტი დაკონკრეტება იქნება ექვსიანის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

რვიანს თავის დროზე საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა. ამ პროცესს ღიად უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებული შტატები, რაც ჰილარი კლინტონმა თავისი განცხადებით დაადასტურა.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ასევე მხარს უჭერდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი.

ხელისუფლების შემოთავაზებამ და რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ხელმოწერებმა შეიძლება ეს პროცესი საერთაშორისო დონეზე ერთგვარად დასრულებულად გამოაცხადოს. ამიტომ ექვსიანი იძულებულია, თავისი პოზიცია გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას.



**დავით უსუფაშვილის** განცხადებით თავისუფლებსითვის ბრძოლა ქვეყანაში გრძელდება და მათ ეს უთხრეს დიპლომატებს.

— სამოქალაქო მოძრაობა თავისუფალი არჩევანისთვის ნელ-ნელა ძალას იკრებას. ამაზე უკვე ვისაუბრეთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ჩვენ მივმართეთ მხარდაჭერისთვის დიპლომატიურ კორპუსს. თავისუფლებისთვის ბრძოლა ქვეყანაში გრძელდება და დემოკრატიული სამყარო ასევე უნდა იყოს მონდომებული და მობილიზებული ამ პროცესის მხარდაჭერისთვის.

***— ბრძოლას რა ფორმით გააგრძელებთ, შეიძლება პოლიტიკურ ბლოკად გადაკეთდეს ექვსიანი?***

— ამ თემაზე არაერთხელ გავკეთეთ განმარტებები. დიპლომატებსაც ავუხსენით, რომ საარჩევნო ბლოკის საკითხზე საუბარი ნაადრევია. ეს საკითხი დღის წესრიგში არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დადგება, მაგრამ მანამდე ჩვენი საქმიანობა მეტი ინტენსივობით არის აუცილებელი, ამიტომ 8 ივლისს ამ თემაზე მეტი დაკონკრეტება იქნება რა პერიოდში, რა ფორმატით, უფრო მეტი ინტეგრირებით ვიქნებით თუ არა, ვიდრე ვიყავით. მჭიდრო ინტეგრაციისთვის ფორმები ბევრია და გადაწყვეტილებას მიმდინარე კვირას მივიღებთ.

***— თუ დაფიქსირდა დიპლომატების მხრიდან განწყობა?***

— მათ ძალიან კარგად ესმით, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გადასაწყვეტია ცენტრალური საკითხი, ქვეყანაში რჩება ერთმმართველი ავტორიტარული რეჟიმი თუ ქვეყანაში მკვიდრდება მრავალ პარტიული დემოკრატია. ძალიან კარგად ესმით, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. დღემდე ყველაფერს აკეთებდნენ, რაც შეეძლოთ. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც გაგრძელდება. — განაცხადა დავით უსუფაშვილმა, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ.

ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შანსი გაუშვა. ამის შესახებ ალასანიამ დიპლომატებს თავად უთხრა.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ამბობს, რომ ენა, რომლითაც საუბრობს სააკაშვილი და ხელისუფლება, დემოკრატიის ენა არ არის, არამედ ლუკაშენკოს ენაა.

**ირაკლი ალასანია:**



— დიპლომატიურ კოპუსთან რეგულარული შეხვედრები გვქონდა მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში. აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რომ გავაცანით დიპლომატებს, თუ რა შანსი გაუშვა ხელიდან ამ ეტაპზე ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ მომხდარიყო ძირითად საკითხებზე შეთანხმება პოლიტიკურ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ენა, რომლითაც საუბრობს ნაციონალური მოძრაობა და პირადად სააკაშვილი, ეს არ არის დემოკრატიის ენა. ეს არის ლუკაშენკოს ენა, ეს არის ავტორიტარიზმის ენა. ამიტომ ეს უნდა შეიცვალოს. ჩვენ მივიღეთ შეფასებები დიპლომატიური კორპუსისგან, რომ პროცესი უნდა იყოს აუცილებლად ისეთი, რომელიც გაითვალისწინებს ძირითადი პოლიტიკური ძალების მოსაზრებებს და წინადადებებს. ამას უნდა დაეფუძნოს კომპრომისული გამოსავალი.

***— ექვს პარტიას შორის თანამშრომლობა რა ფორმით გაგრძელდება?***

— არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგ როგორი ინტეგრაციის რეჟიმში ვიმუშავებთ, რა თქმა უნდა, არის განხილვის საგანი, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ჯერ ნაადრევია. უნდა გაირკვეს და დადგინდეს, რა საარჩევნო სისტემა იქნება. როდის იქნება არჩევნები ჩატარებული. არ ვჩქარობთ, მაგრამ აშკარად უფრო ინტეგრაციისკენ მიდის ლოგიკა ჩვენი ურთიერთობის.

**კახა შარტავა, ეროვნული ფორუმის ლიდერი:**



— მე ვფიქრობ, სავსებით გაგებით მოეკიდნენ იმ ახსნა-განმარტებას, რაც ჩვენ მივეცით. დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას განაპირობებს ის, თუ ჩვენ ამ ეტაპიდან მოვახერხებთ პროცესის კვლავ სწორად გაგრძელებას, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებას იმ ძირითადი ამოცანის ირგვლივ, რასაც ჰქვია სამართლიანი საარჩევნო გარემო და სამართლიანი არჩევნები. თუ მოვახერხეთ სხვა პოლიტიკური პარტიების დაინტერესება ამ საკითხით, რომლებიც თავიდან ამ პროცესს გულაცრუებით უყურებდნენ, მაშინ საერთაშორისო მხარდაჭერას შევინარჩუნებთ. რა და როგორ იქნება, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სამსჯელოა.

***— რამდენად რეალურია საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბება?***

— ამ შემთხვევაში ბლოკზე საუბარი იმდენად ნაადრევია, რომ არანაირ რეალობასთან კავშირში არ არის. საუბარი იმაზე, რომ მეტი ინტეგრაცია არის შესაძლებელი ამ პარტიებს შორის, ასევე თემატური მუშაობის გაგრძელება არის შესაძლებელი არა მხოლოდ საარჩევნო გარემოზე, არამედ კიდევ რამდენიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემაზე, ეს, რა თქმა უნდა, უფრო ახლოს არის რეალობასთან. ასევე ისიც, თუ ჩვენი წინადადებები ვერ შევასრულებინეთ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, მაშინ ჩვენ უნდა ავიღოთ მის ასრულებაზე პასუხისმგებლობა. თუ ავიღებთ ამაზე პასუხისმგებლობას, რომ ამ კანონპროექტს გავიტანთ პარლამენტში, ამას კოალიციური ძალისხმევა დასჭირდება. თუ მოვახერხებთ ისეთი ძალის ჩვენებას, რომ კოალიციის ჩამოყალიბების საშუალება გვექნება. 8 ივლისს ამ კითხვებზე უფრო გამოკვეთილი პასუხი გვექნება.

**კობა დავითაშვილის** განცხადებით, ექვსიანი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების იდეასაც განიხილავს. მრავალპარტიული კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების იდეა, დავითაშვილის თქმით, არა მხოლოდ ექვსიანში განიხილება, არამედ ბევრი პოლიტიკური ძალა აფიქსირებს კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობას.

— სააკაშვილის ხელისუფლება უნდა შეიცავლოს, არა სააკაშვილი ორით, არამედ კოალიციური მთავრობით. კოალიციური მთავრობა ჯობია ხალხისთვის, იმიტომ, რომ ხელისუფლების გადანაწილების დროს პოლიტიკური ავტორიტარიზმის და დიქტატურის ჩამოყალიბების შანსი ნულის ტოლფასია. ჩვენ გვჭირდება ფართო კოალიცია, სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად. არ ვჩქარობთ წინასაარჩევნო ბლოკებზე საუბარს. ამ საკითხზე 8 ივლისს მეტი დაკონკრეტება იქნება, — განაცხადა კობა დავითაშვილმა, ხალხის პარტიის ლიდერმა.

# სააკაშვილი მემარჯვენეებსა და ქრისტიან-დემოკრატებს გადააგდებს

ნონა ცაბა ე



## ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, მოდით, რვიანში განვითარებული პროცესები შევაფასოთ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ რვიანი ორმა პარტიამ დატოვა და ხელისუფლების შემოთავაზება მიიღო, როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?*

— სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამ ორმა პარტიამ ხელი მოაწერა ხელისუფლების წინადადებებს, ჩვენ ამაზე განცხადებაც გავაკეთეთ და შეფასებაც ამისი. ფაქტია, რომ ეს ორი პარტია წავიდა იმაზე, რომ ნებისმიერი საშუალებით მოიპოვონ ადგილები პარლამენტში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა საკუთარი სავარძლების მოსაპოვებლად. ბუნებრივია, ეს არის გარიგება ხელისუფლებასთან, იმიტომ, რომ ჩათვალეს, რომ ისინი ხელისუფლებასთან გარიგების გარეშე პარლამენტში ვერ შევლენ. ყველა ის დანარჩენი სუბიექტი, ყველა დანარჩენი პარტია, ვინც იბრძოდა საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, აღმოჩნდა მარტო, მათ გარეშე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ანუ ბრძოლაში საარჩევნო გარემოს შესაცვლელად. საერთოდ, ისმის კითხვა, თუკი ისინი უპირობოდ თანახმა იყვნენ, ხელისუფლების ნებისმიერი შეთავაზება მიეღოთ და ნებისმიერ სიტუაციაში მიდიოდნენ არჩევნებზე, მაშინ რიღასთვის ერთიანდებოდნენ ამ რვიანში?!

*— გაჩნდა ასეთი მოსაზრებებიც, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ წინასწარ იყო დადგმული და მოვლენებიც მათი სცენარით განვითარდაო...*

— წინასწარ დადგმული იყო თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა, რომ ისინი უპირობოდ და ყოყმანის გარეშე დათანხმდნენ იმ შეთავაზებას, რაც ხელისუფლებამ გაუკეთა.

*— როგორ ფიქრობთ, მილიონმა ლარმა სძლია ამ პარტიებს?*

— ბუნებრივია, დაფინანსებასაც, კეთილდღეობას, სამომავლოდ ადგილებს პარლამენტში.

*— თუმცა, სააკაშვილს სჩვევია გადაგდებები...*

— რა თქმა უნდა, არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ აირჩიეს ასეთი გზა.

*— როგორც ითქვა, დარჩენილი ექვსიანი ერთ პოლიტიკურ ბლოკად აპირებს ჩამოყალიბებას, როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებული იქნება მათი საქმიანობა?*

— ვერ გეტყვით, რამდენად წარმატებული იქნება, თუმცა, ერთ ბლოკად ჩამოყალიბება ცუდი ნამდვილად არ იქნება.

*— ექვსიანი აცხადებს, რომ სამოქალაქო კუთხით გააქტიურდებიან და არც აქციებს გამორიცხავენ, რამდენად მისცემს ხელისუფლება აქციების გამართვის საშუალებას, როდესაც მან ასე გაამკაცრა კანონი?*

— რა თქმა უნდა, თვითონ თავისთავად სურვილი ხელისუფლების არის ის, რომ ამ ყველაფერს ხელი შეუშალოს, მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ ბოლომდე არ უთქვამს სააკაშვილს, რომ ამ ქვეყანაში არის დიქტატურა, ძალიან ძნელია, მიტინგების ჩატარების საშუალება არ მისცე ხალხს. ანუ თუ ეს იქნება სწორად გათვლილი, სწორად დაგეგმილი და მართლაც ადამიანები უფლებებზე და ღირებულებებზე ორიენტირებული, ამ შემთხვევაში ხელისუფლების ჩარევა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების საზიანოდ იმოქმედებს და ბუნებრივია, ყოველი მიტინგის დარბევას სააკაშვილი ვერ შეძლებს. მთავარი ის არის, რომ იყოს სწორად დაგეგმილი და განსაზღვრული მიტინგები, რაც გამოიწვევს ხალხის გამრავლებას, კიდევ უფრო გააქტიურებას და არა ნიჰილიზმს და პესიმიზმს. უნდა იყოს მოთხოვნები, რომლებიც მოთხოვნადია და კონკრეტულია და გათვლილია შედეგზე. სწორედ ასეთი აქციებით უნდა მოხდეს ხელისუფლებაზე ზეწოლა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, მიტინგების ორგანიზება მაქვს მხედველობაში, მთავარია სწორი მოთხოვნები, სწორი სტრატეგია, სწორი მიზნების განსაზღვრა და სწორი მოთხოვნების დაყენება.

*— თუმცა, დიდია იმის შანსი, რომ ხელისუფლებამ რა პაკეტიც წარმოადგინა, სწორედ იმ კანონით ჩაატაროს მომავალი არჩევნები...*

— კი გეთანხმებით, თუმცა, ის პაკეტი არის აბსოლუტურად მიუღებელი საზოგადოებისთვის, ასეთი არადემოკრატიული კანონით ჩატარებული არჩევნების შედეგიც ისეთივე იქნება. აქედან გამომდინარე, ან ეს პარტიები უნდა წავიდნენ ბოიკოტზე არჩევნების დროს და არ მიიღონ მონაწილეობა, ან უნდა შეაცვლევინონ. ამიტომ სანამ არჩევნების ვადა მოსულა, ბრძოლა იმისთვის, რომ საარჩევნო კოდექსი შეიცვალოს, ეს არის აუცილებელი. ხოლო ასეთი კოდექსით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აზრი არა აქვს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების გაპრავებას შეუწყობს ხელს.

*— ითქვა, რომ დეპუტატების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით რეფერენდუმია საჭირო, თუმცა, ახალი მემარჯვენეები აცხადებენ, რომ 2003 წელს რეფერენდუმს არ გადაუწყვეტია დეპუტატთა რაოდენობაო, ეს რამდენად შეეფერება სინამდვილეს?*

— ახალმა მემარჯვენეებმა თუ ეგეც არ იციან, რამ გადაწყვიტა დეპუტატთა რიცხვი, თუ ისიც არ იციან, რეფერენდუმი რომ ჩატარდა და არჩევნებშიც თუ არ მიუღიათ მონაწილეობა, არ ვიცი... ვინც მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ყველამ იცის, რომ იქ არსებობდა ბიულეტინი, რომელსაც ხალხი ავსებდა და აგდებდა ურნაში სავალდებულო წესით. ამომრჩეველს ეძლეოდა სამი ბიულეტინი, აქედან ერთი იყო რეფერენდუმის. თუ ახალ მემარჯვენეებს არ მიუღიათ მონაწილეობა, არ წაუკითხავთ პრესა, არ უყურებიათ ტელევიზორისთის, არ იციან საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ამ მიმართულებით, ეს არ ვიცი. თუმცა, ის, რომ რეფერენდუმი ჩატარდა, ეს ნამდვილად ასეა. ვენეციის კომისიის დასკვნაც არსებობდა ამასთან დაკავშირებით, რეკომენდაციაც იყო, რომ სასწრაფოდ სავალდებულოა შესასრულებლად რეფერენდუმის შედეგების მიხედვით შედეგების კანონმდებლობაში მოყვანა. ასე რომ, ყველანაირი პროცედურები გაიარა ჩვენმა ქვეყანამ და პარლამენტმა და იქნა მიღებული ის არა უმეტეს, 150-ისა, როგორც ეს იყო დაფიქსირებული რეფერენდუმის კითხვაში.

*— ეს ხელისუფლება რამდენად არის რეფერენდუმზე წამსვლელი?*

— ძალიან წამგებიანი იქნება, არა იმის მხრივ, რომ გაყალბება გაუჭირდებათ, არამედ ისე გამართლება, რომ ხალხმა 150-ის ნაცვლად 190 აირჩიოს. ამისი დამაჯერებლობა არის ძალიან სუსტი და არადოკუმენტირებული და ამას ვერ შეძლებს. ამის პოლიტიკურ მხარეს ვერაფრით ვერ დაასაბუთებს ხელისუფლება და ვერაფრით ვერ გაამართლებს საერთაშორისო დონეზე და ამიტომ მას ეს არ აწყობს. არც არავინ დაიჯერებს იმას, რომ მოსახლეობას უნდა 190 150-ის ნაცვლად. ასე რომ მათ მოუწევთ დასჯერდნენ იმ რაოდენობას, რა რაოდენობაც არის დადგენილი.

*— როგორი იქნება ამ ყველაფერზე საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია?*

— საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია იქნება ისეთი, როგორიც იქნება აქტივობა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების.

*— ასევე ქართული პარტიის შესახებ მინდა, რომ გკითხოთ, ბოლო დღეებში ხელისუფლებამ ქართული პარტიის არაერთი წევრი დააკავა. გამოითქვა ეჭვები, რომ ქართული პარტია ამით რეანიმაციას ცდილობს და ხელისუფლება ამაში ეხმარებაო...*

— იცით, ასეთი დაჭერები, თან იმ დროს, როდესაც ქართული პარტია, მართლაც ამ მომენტში არ იყო ისეთი რეიტინგული, როგორც, დავუშვათ, 26 მაისამდე იყო, სანამ ოქრუაშვილის ჩამოსვლას ელოდებოდა საზოგადოება, ასეთი დაჭერების წარმოება მართლაც ბადებს ეჭვს. ან ეს ხელისუფლება მართლაც გაგიჟდა და მისდა უნებურად უწევს რეკლამირებას ქართულ პარტიას, ან შეგნებულად უწევს. თუმცა, რა თქმა უნდა, ის ადამიანები, ვინც ამ ყველაფრის გამო აღმოჩნდნენ ციხეებში, ისინი, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად დევნილები არიან. რის გამოც არ უნდა იყვნენ ის ადამიანები ციხეში აღმოჩენილი, ისინი მსხვერპლები არიან, ეს არის ხელისუფლების თამაში, თუ ეს არის რეალობა.

*— ე.ი. ამ ეჭვებს და ვარაუდს არც თქვენ არ გამორიცხავთ?*

— იცით რა, აბსოლუტურად გაუგებარი და წამგებიანიც კია ხელისუფლებისთვის ის რეპრესიები, რაც მან ქართული პარტიის წინააღმდეგ განახორციელა.

*— პროცესების რა განვითარებას ელით უახლოეს პერიოდში?*

— მიუხედავად ამ ტერორისა, მე იმედი მაქვს, რომ საზოგადოება თავის ღირსების და თავის უფლებების დასაცავად იბრძოლებს. მთავარი არის, რომ ამ ბრძოლას მიეცეს სწორი მიმართულება. რა თქმა უნდა, უნდა გაგრძელდეს ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც დღეს დამყარდა ქვეყანაში და უნდა შეიქმნას ერთი დიდი გაერთიანება, რომელიც ღიად განაცხადებს, რომ ეს გაერთიანება იბრძვის იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლებამ დაამყარა. უნდა აღმოჩნდეს ერთ მხარეზე ეს ერთი მუჭა დიქტატორები და მეორე მხარეზე საზოგადოება. თუ ასეთი ბრძოლა გამოუცხადდება ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, ხალხი გაიმარჯვებს.

*— ითქვა, რომ შესაძლოა ექვსიანმა და ე.წ. რადიკალურმა ოპოზიციამ ითანამშრომლოსო, თქვენ თუ ხედავთ ამის შანსს?*

— უნდა გაერთიანდნენ ყველა ის ძალები, რომლებიც არ არიან ხელისუფლებასთან. უნდა გაერთიანდეს ყველა ერთად. ერთ მხარეს უნდა იდგეს ხელისუფლება და აქეთა მხარეს უნდა იდგეს ხალხი.

## უცხოურ ინვესტიციებში დასავლური კაპიტალი ძალიან მცირე რაოდენობითაა

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტ მერაბ ჯანიაშვილის განცხადებით, ქვეყანაში 2011 წლის პირველ კვარტალში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში დასავლური კაპიტალი ძალიან მცირე რაოდენობით აღირიცხება. როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, ინვესტიციებში დიდი წილი ოფშორულ ზონებიდან — კვიპროსიდან და ვირჯინიის კუნძულებიდან შემოსულ სახსრებს უჭირავს. მას რუსეთი და აზიის ქვეყნები მოსდევს.

— ჩემი აზრით, თუ დასავლეთისაკენ ვისწრაფვით, უფრო მისაღები იქნება, დასავლური ინვესტიციები შემოვიდეს და არა აზიური ან ოფშორული ზონების კაპიტალი, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა. მან ხაზი იმ გარემოებასაც გაუსვა, რომ აღნიშნული ინვესტიცია ძირითადად საფინანსო სექტორსა და უძრავი ქონების ბაზარზე შევიდა.

— სამწუხაროდ, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში ინვესტიციის რაოდენობა მცირე კი არა, ძალიან მცირეა. მაშინ, როცა მთავრობას ეს სფეროები პრიორიტეტულად აქვს დასახელებული, ასეთი მინიმალური რაოდენობის ინვესტიციის განხორციელება ქვეყნისათვის კარგი არ არის, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

რაც შეეხება უშუალოდ პირველ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციის წინასწარ მაჩვენებელს — 174 მილიონ აშშ დოლარს ექსპერტის თქმით, 2010 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს გაცილებით მაღალი მაჩვენებელია, ამიტომ მართლაც წარმატებულად უნდა იყოს მიჩნეული.

— თუმცა საქართველოს წარმატებული ეკონომიკური ზრდისთვის მეტი სჭირდება, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
**ბებნისის დედათა მონასტრის**
მშენებლობას
**მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605**
ღმერთმა შეგიწიროთ!
**ზარის ღირებულებაა 1 ლარი**

## ხელისუფლებასთან შეთანხმებას „მრეწველებმა“ ხელი მოაწერეს

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე შეთანხმებას „მრეწველებმა„ ხელი მოაწერეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“„მრეწველების“ ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა, ხელისუფლების შეთავაზებები მართალია სრულყოფილად არ ასახავს ოპოზიციის მოთხოვნებს, მაგრამ ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია.

ზურაბ ტყემალაძისთვის ასევე მიუღებელია რეფერენდუმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი 150-მდე არა რეფერენდუმის, არამედ მოგვიანებით, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემცირდა. დეპუტატების რაოდენობის გაზრდა კი, ისევე, როგორც სხვა შეთავაზებული საკითხებიც, ტყემალაძის თქმით, „რვიანის“ ფორმატშიც განიხილებოდა და ეს საკითხები, ოპოზიციის მიერაც იყო დასმული.

რაც შეეხება ოპოზიციის მთავარ მოთხოვნას, კერძოდ, ბიომეტრიული პასპორტებით არჩევნების ჩატარებას, ამ იდეისადმი ტყემალაძე სკეპტიკურად იყო განწყობილი, თუმცა, მასზე შეთანხმების შემთხვევაში, მას მხარს აუცილებლად დაუჭერდა.

**ინტერპრესნიუსი**

## სოჭში ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა გაიმართება

სოჭში დღეს ნატო-რუსეთის საბჭოს გასვლითი სხდომა გაიმართება.

„ვესტის“ ინფორმაციით, მუდმივი წარმომადგენლების დონეზე გამართულ შეხვედრაში მონაწილეობას ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი და რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც მიიღებენ. სხდომის ფარგლებში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში ნატო-რუსეთის შესაძლო თანამშრომლობა განიხილება.

რუსული მედიის ინფორმაციით, მხარეები ლიბიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებაც იმსჯელებენ. იგეგმება მთელი რიგი საკითხების განხილვა, რომლებთან დაკავშირებითაც ნატოსა და რუსეთის პოზიცია ობიექტური მიზეზების გამო ემთხვევა. ეს საკითხებია — ტერორიზმთან ბრძოლა, მეკობრეობა, ავღანეთიდან მომავალი ნარკოსაფრთხეები, რეაგირება ბუნებრივ და ტექნოლოგიურ კატასტროფებზე„, - აცხადებენ კრემლში.

**ინტერპრესნიუსი**

## აუქციონზე ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი გაიტანეს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ კიდევ ერთი სამედიდცინო ობიექტი გაიტანა.

სამინისტროს ცნობით, ეს არის სააქციო საზოგადოება „კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1-ლარიანი ნომინალური ღირებულების 768 985 ცალი აქცია. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 1 100 000 ლარი.

ობიექტი თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №5-ში მდებარეობს. კლინიკის დებიტორული დავალიანება 414 648, ხოლო კრედიტორული 280 497 ლარია. ელექტრონული აუქციონი 14 ივლისისთვის არის დანიშნული.

**მედიანიუსი**

## ბელორუსში სოციალურ ქსელებთან წვდომა აკრძალეს

ბელორუსის ხელისუფლებამ ქვეყანაში სოციალურ ქსელებთან წვდომა დაბლოკა, - ამის შესახებ ტელეკომპანია ბი-ბი-სი„ უფლებადამცველ ორგანიზაციებზე დაყრდნობით იუწყება.

როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმის გახსნისას პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, ინტერნეტის მეშვეობით მასობრივი პროტესტის ორგანიზება ხელისუფლებიდან მის ჩამოშორებას ისახავს მიზნად. ამის უფლებას კი ვერავის ვერასოდეს მივცემ.

**ინტერპრესნიუსი**

## 2001 წლიდან ანტიტერორისტულ საბრძოლო მოქმედებებს 225 ათასი ადამიანი ემსხვერპლა

2001 წლის 11 სექტემბრიდან მოყოლებული აშშ-ს და ნატოს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად, ჯამში 225 ათასი ადამიანი დაიღუპა და 365 ათასი დაშავდა. აშშ-ს ერაყში, ავღანეთსა და პაკისტანში საბრძოლო ოპერაციების წარმოება ჯამში 3,7 ტრილიონი აშშ დოლარი დაუჯდა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესი" იუწყება.

სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ხსენებული ომების შედეგად სამხედრო მომსახურეებზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე (172 ათასი) დაიღუპა. სამოქალაქო სექტორიდან 125 ათასი დაღუპული ერაყელია, 56 ათასი პაკისტანელი, ხოლო 12 ათასი - ავღანელი. განადგურებული ბოევიკების რიცხვი 20 ათასიდან 51 ათასამდე მერყეობს.

„ფრანს-პრესის" ინფორმაციით, აშშ-მა ხსენებულ საბრძოლო მოქმედებებში ექვსი ათასი ჯარისკაცი დაკარგა, 1,2 ჯარისკაცი დაკარგეს აშშ-ს მოკავშირეებმა, ერაყმა 9,9 ათასი, პაკისტანმა 3,5 ათასი, ხოლო ავღანეთმა 8,8 ათასი.

აშშ-ს და ნატოს მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედბებში 168 ჟურნალისტი და 266 საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენელი დაიღუპა. „ტერორიზმის წინააღმდეგ" წარმოებული ბრძოლების შედეგად ჯამში 7,8 მილიონი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთი და დნესტრისპირეთი თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმსა და დნესტრისპირეთს შორის თანამშრომლობაზე სპეციალური შეთანხმება გაფორმდა, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ოსინფორმი".

წყაროს ცნობით, დნესტრისპირეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა იგორ სმირნოვმა აფხაზეთის რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო, რომლის შემადგენლობაშიც შინაგან საქმეთა მინისტრი ლეონიდ ძიაპშბა, მისი თანაშემწე თემურ ძიაპშბა და მილიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთის გმირი ჭიჭიკო მარახოლია იმყოფებოდნენ. მათ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მხარეებმა თანამშრომლობაზე სპეციალურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

დოკუმენტის თანახმად, მხარეები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ. კერძოდ, აფხაზებს ტირასპოლის იურიდიული ინსტიტუტის საქმიანობა აინტერესებთ, რომლის ანალოგის შექმნასაც სწორედ დნესტრისპირეთის გამოცდილების გაზიარებით აპირებენ.

იგორ სმირნოვმა მათ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში საერთაშორისო სტუდენტური ბაზების შექმნა შესთავაზა, სადაც სხვადასხვა ფესტივალი ჩატარდება.

— ამით ახალგაზრდობა მოძმე ხალხებთან მეგობრობას განიმტკიცებს, — იუწყება „ოსინფორმი". **მედიანიუსი**

## „ბრიტანიკას" ვებ-გვერდზე ქართული ანბანის შემქმნელად მესროპ მაშტოცია მოხსენიებული

ინტერნეტ-ენციკლოპედია „ბრიტანიკას" ვებ-გვერდზე ქართული ანბანის შემქმნელად სომეხი მოღვაწე (სომხური სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული) მესროპ მაშტოცია მოხსენიებული.

ამის შესახებ ინფორმაცია პირველად სოციალური ქსელებით გავრცელდა.

— ქართული და სომხური დამწერლობა მეხუთე საუკუნეში სომეხმა წმინდანმა მესროპ მაშტოცმა შექმნა. ქართული დამწერლობა არამეულ დამწერლობას ეფუძნება, — ვკითხულობთ ინტერნეტ-ენციკლოპედიის ვებგვერდზე. **მედიანიუსი**

## საფრანგეთის ატომურ ელექტროსადგურზე ტრანსფორმატორი აფეთქდა

საფრანგეთში, ქალაქ ტრიკასტენთან ახლოს მდებარე ატომურ ელექტროსადგურში, გაჩერებული ბლოკის ტრანსფორმატორი აფეთქდა, - ამის შესახებ „გაზეტა.რუ" იუწყება.

თვითმხილველთა განცხადებით, აფეთქების შედეგად წარმოქმნილი კვამლი საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ავიდა. ტრანსფორმატორი ბირთვულად არასაშიშ ზონაში მდებარეობდა. მისი აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. ხანძრის ჩასაქრობად მეხანძრეთა დიდი ჯგუფი გავიდა.

**ინტერპრესნიუსი**

# რა თამაშს ეთამაშება საქართველოს ხელისუფლება რუსეთს

თეა მარხვაი ე

**ნაციონალური ხელისუფლება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ცუდად ეთამაშება. ჩვენებურები ყველა უბედურებას მოსკოვს აბრალებენ. გულხელდაკრეფილნი არც მათი სპეცსამსახურები სხედან. ამის მიუხედავად, ეს სიტუაცია ძალიან კომიკურ სახეს იღებს და, რაც დრო გადის, ამ დაპირისპირების გარშემო სულ მეტი კითხვის ნიშანი ჩნდება.**

**თვეში ერთხელ — არა, მაგრამ კვარტალში ერთხელ ხელისუფლება თითო ტერორისტულ ჯგუფს აკავებს. ეს ტერორისტები, ჩვენი ძალოვნების მტკიცებით, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებენ. მოსკოვი ამაზე, ტრადიციულად, ირონიულ კომენტარებს აკეთებს.**




ასევე ირონიით პასუხობს ჩვენი ხელისუფლება რუსეთის ბრალდებებსაც. რუსეთიც ტერორისტების მფარველობას გვდებს ბრალად. თუმცა, ჩვენგან განსხვავებით, რუსები მოგვიანებით ხანდახან უარყოფენ ხოლმე მათ მიერვე გავრცელებულ ინფორმაციას.

ასე მოხდა ამ დღეებში. რუსულმა მედიამ ერთი ამბავი ატეხა, არიქა, საქართველოდან რამდენიმე ათეული ტერორისტი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზეო. ეს ინფორმაცია სააგენტო „ლაიფნიუსმა" გაავრცელა. გამოცემა ამტკიცებს, რომ ეს ცნობა მათ სანდო წყარომ მიაწოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს ინფორმაცია თვით რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა უარყო. ეს ინფორმაცია უკვე მეორე ინტერნეტ-გამოცემამ, „გაზეტა.რუ"-მ გაავრცელა.

— ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა ადგილი ჰქონდა პანკისის ხეობიდან რუსეთში შეიარაღებული ჯგუფის გადმოსვლას, არ დასტურდება, — განაცხადა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა.

მისი თქმით, მესაზღვრეები მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

ბოლო წლების განმავლობაში მოსკოვი თბილისს გამუდმებით ადანაშაულებდა, რომ პანკისის ხეობა ჩეჩნეთიდან გადასული ამბოხებულების თავშესაფარი გახდა. რუსები იმასაც ამტკიცებენ, რომ პანკისში სპეციალური ჰოსპიტალი არსებობს, სადაც დაჭრილი ბოევიკები მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსს გადიან. ფეესბეს ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს ამ ჰოსპიტალში იმკურნალა დოკუ უმაროვმა, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენმა საყვარელმა ამერიკამ 5 მილიონ დოლარად შეაფასა.

საქართველოს ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ აღნიშნული პრობლემა პანკისის რეგიონში აღარ არსებობს.

ოფიციალურმა თბილისმა პანკისიდან რუსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული პირების გადასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ბოდვა უწოდა.

ასეთი ბოდვა მომავალში, ალბათ, კიდევ ბევრი იქნება. ასევე ბევრჯერ დასდებს თბილისი მოსკოვს რაღაცებს ბრალად. გამონაკლისი არც ახალი „ზილიანობა" იქნება. რომელიმე ოპოზიციური პარტია თუ გარადიკალდა, მის უკანაც კრემლს დაინახავენ, ისევე, როგორც სახალხო კრებისა და ქართული პარტიის უკან დაინახეს.

ამ ფონზე ყველაზე უცნაურია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება. ექსპერტები ფიქრობენ, რომ საქართველო რუსეთს საეჭვო თამაშს ეთამაშება. ამ დღეებში საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის მოქალაქეებს დიდი საჩუქარი გაუკეთა. ამიერიდან მათ ვიზის მიღება საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ლარსში შეუძლიათ.

გასულ წელს თბილისმა ასეთი საჩუქარი ჩრდილოეთ კავკასიის მოქალაქეებს გაუკეთა. მათ ჩვენებურებმა უვიზო მიმოსვლა დაუწესეს. ჩვენს ხელისუფლებას თუ დაეჯერება, ამის შემდეგ საქართველოს ათასობით კავკასიელი მოაწყდა.

ეს გადაწყვეტილება უცხოელებმაც დაიწუნეს. ზოგიერთმა მოგვიწონა კიდეც. თუმცა, ეს ჩვენს ხელისუფლებას არ ადარდებს. ჩვენებურები არც რუსეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს შეუშინდნენ და გადაწყვიტეს, საქართველოს კარი ყველა რუსისთვის გაეღოთ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა განუცხადა, მანამდე მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს შეეძლოთ ზემო ლარსის საზღვარზე ვიზის აღება. აღნიშნული სავიზო რეჟიმი რუსეთის სხვა მოქალაქეებზე არ ვრცელდებოდა.

ხიზანიშვილის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეს შეზღუდვა მოიხსნა და კანონის ფარგლებში ნებისმიერი რუსეთის მოქალაქე შეძლებს ლარსის საზღვარზე ვიზის მიღებას.

საინტერესოა, რამდენი რუსეთის მოქალაქე მოაწყდება საქართველოს კარიბჭეს. იმედია, ჩვენი მესაზღვრეები „ზილის პასაჟირებსა" და შურდულიანებს არ შემოუშვებს.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებს აქტიურად ეხმიანება ცნობილი ექსპერტი ტომას დე ვაალი. ამ უკანასკნელმა ბოლო ათი დღის განმავლობაში ჩვენი ნაციონალური ხელისუფლება რამდენჯერმე გააკრიტიკა. თუ ასე გააგრძელა, შეიძლება, ნაციონალებმა თქვან, რომ მას „გაზპრომი" აფინანსებს. მავანი ამაზე არ შეჩერდება და იტყვის, რომ ოქრუაშვილის ცნობილი „ზილის" კაბინაში მისთვისაც იყო ადგილი განკუთვნილი.

ტომას დე ვაალმა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა გამოცემაში „ერუ ტფ-ეშნტფდ შტეუკუთე". ამ მასალის თარგამანს საიტი „ფორეიგნპრესი" გვთავაზობს.

— ახლა საქართველოში ვარ იმისთვის, რომ ვისაუბრო საკითხებზე, რომლებიც ქართველებს ძალიან აწუხებთ (ან უნდა აწუხებდეთ): ქვეყნის გრძელვადიანი განვითარება, ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკური ევოლუცია, მაგრამ ბევრ პოლიტიკოსს, განსაკუთრებით კი მთავრობაში, სურს, საუბრის მთავარ თემას გარე მტერი წარმოადგენდეს. ეს ხომ არ ხდება იმიტომ, რომ ქართველები პარანოიით არიან შეპყრობილები და რუსი დათვის გამოყენება მხოლოდ საკუთარი პრობლემებისგან თავის არიდების მიზნით სურთ? ან იქნებ რუსეთი მართლაც საფრთხეს უქმნის მათ? თუ ყველაფერი ერთად?

მთავარი ამბავი სამხედრო კონფლიქტების სერიაა სასაზღვრო პერიმეტრზე აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და მეზობელ ქართულ რეგიონებს შორის. საქართველოს მთავრობამ ივნისის დასაწყისში ყველას გასაგონად განაცხადა, რომ აღკვეთა და გამოიძია რუსეთის მიერ ორგანიზებული და დაგეგმილი ორი ტერაქტი. აფხაზეთის ხელისუფლებამ ქართველები მათ ტერიტორიაზე მთელი რიგი რეიდების მოწყობაში დაადანაშაულა, — წერს ტომას დე ვაალი.

დე ვაალი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან დაპირისპირება არ უნდა აწყობდეთ. ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თემასაც ეხმიანება. ამ თემაზე მან რადიო „თავისუფლებასთანაც" ისაუბრა.

— რაციონალურად თუ ვიმსჯელებთ, არც ქართველებს და არც რუსებს ერთმანეთთან ომი არ სჭირდებათ. საქართველოს მთავრობამ კონცენტრირება უნდა მოახდინოს საკუთარი ქვეყნის მშენებლობასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, რომლის მოცულობაც ბოლო ორი წლის განმავლობაში შემცირდა. რუსეთს სჭირდება საქართველოსთან თანამშრომლობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და 2014 წელს სოჭში, საქართველოს მეზობლად, ოლიმპიური თამაშების მშვიდად ჩატარებისთვის. ბოლო დრომდე ურთიერთობების განვითარებას პოზიტიური ელფერი დაჰკრავდა. 2008 წლის აგვისტოს ომს ერთი წლის შემდეგ 2009 წლის შთამბეჭდავი ზაფხული მოჰყვა, როდესაც თეთრი სახლი სიტუაციის სტაბილიზაციაში აქტიურ როლს თამაშობდა. მოსკოვი და თბილისი მეტი პასუხისმგებლობით მოქმედებდნენ. ობამას ადმინისტრაციის გადატვირთვის პოლიტიკის წყალობით რუსეთი — უფრო პროგნოზირებადი, საქართველო კი ნაკლებად სახიფათო გახდა, — წერს დე ვაალი.

ექსპერტი ახალი ბრალდებების უკან საინტერესო ვერსიებს ხედავს. ეს ვერსიები მას კავკასიის გათვალისწინებით აქვს შემუშავებული.

**ტომას დე ვაალი:**

— მაშინ რა დგას ტერაქტების მომზადებასთან დაკავშირებული ახალი ბრალდებების უკან? იმის გათვალისწინებით, რომ ეს კავკასიაა, შესაძლო ვერსიები შემდეგია:

1. ამ ყველაფრის უკან რუსეთის მთავრობა დგას. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რისი გათვალისწინებაც სამყაროს ამ ნაწილთან მიმართებით არ ხდება ხოლმე — იმის შანსი, რომ ბრალდებები შეიძლება სამართლიანი იყოს. ქართველების ანგარიშში გარკვეული მტკიცებულებებია. მაგალითად, ევროპის სადამკვირვებლო მისიამ არაერთხელ მიიღო შეტყობინება ოქტომბერში სარკინიგზო ხაზზე აფეთქების შესახებ. აფეთქება არ მოხდა, მაგრამ რამდენიმე დღეში მოწყობილობა, რომელიც არ აფეთქდა, გზაზე მართლაც იპოვეს. რაში სჭირდებათ რუსებს ამის გაკეთება? რუსეთის ოფიციალურმა პირებმა გადაწყვიტეს საქართველოს დესტაბილიზაცია და არეულობების დაწყება. თუკი ასეა, მათ მთავარი არ ესმით, რომ მსგავსი რამ მხოლოდ აძლიერებს მათ მოსისხლე მტერ მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ, როდის იყო, რომ რუსულ პოლიტიკაში რაციონალიზმის სტრატეგია სჭარბობდა?

2. ტერაქტები საქართველოს მთავრობამ დადგა. თბილისის პირველი რეაქცია სკეფსისით იყო სავსე. სამთავრობო მედია ბოლო ორი წლის განმავლობაში უამრავ ისტორიას ყვება „რუს აგენტებზე", რომელთაგან ბევრი ნამდვილად პროდასავლელი ქართველი ოპოზიციონერია. შემდეგ იყო „სამყაროთა ომი", როდესაც ტელეკომპანია „იმედმა" მაყურებელს რუსეთის ინტერვენციის შესახებ აცნობა და რაც უპასუხისმგებლო ხუმრობა აღმოჩნდა. ამ მხრივ ყველაზე გამომწვევ ეპიზოდად 2008 წლის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის დროს სოფელ ხურჩაში მომხდარი ინციდენტი იქცა. პროსამთავრობო ტელეკომპანიამ აფხაზები და რუსები თავდასხმაში დაადანაშაულა. მოგვიანებით მოკვლევით და გაეროს წარმომადგენლის ინფორმაციით გაირკვა, რომ სროლები საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებმა მოაწყვეს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ალმოკიდებული იარაღი შოკოლადის გარეკანი იყო: გაეროს წარმომადგენელმა აღმოაჩინა, რომ სერიული ნომრები შოკოლადზე, რომელიც მას ადგილობრივმა პოლიციელმა მისცა, თითქმის სრულად ემთხვეოდა იმ ადგილზე აღმოჩენილი შოკოლადის გარეკანის ნომრებს, სადაც ინციდენტი მოხდა.

3. ამ ყველაფრის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან. ეფესბეს სამხრეთ ოსეთში — შეუზღუდავი, ხოლო აფხაზეთში ძლიერი გავლენა აქვს. შესაძლოა, ადგილობრივ საიდუმლო სამსახურებთან ერთობლივმა მუშაობამ მათ საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობის შესაძლებლობა მისცა.

ექსპერტს ყველაზე რეალურად ბოლო ვერსია მიაჩნია.

— ჩემი აზრით, მესამე ვერსია ყველაზე რეალურია. თუკი ტერაქტები რუსეთმა მართლაც ჩაიფიქრა, მაშინ საქართველოს მთავრობის მხრიდან ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა, საერთოდ არაფერი ეთქვათ მათზე, მშვიდად საქმის კურსში ჩაეყენებინათ დასავლური ქვეყნები და მოეცადათ. როგორც წესი, უცხოელები შერეულ სიგნალებს იღებენ ხოლმე: ერთი მხრივ, „ჩვენს ქვეყანას საფრთხე ემუქრება" და, მეორე მხრივ, „გთხოვთ, სტაბილურ საქართველოში ინვესტიცია განახორციელოთ". ამავდროულად, ინვესტიციის ბოლოდროინდელი მოცულობა სამწუხაროა. 2011 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებელი შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ ინვესტიციის წყაროები — კვიპროსი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, დიდი ბრიტანეთი (დიდწილად, მათი ოფშორული ნაწილები) დღეს საუკეთესო ფორმაში არ არის, — აღნიშნავს თავის წერილში დე ვაალი.

მისი აზრით, უკეთესი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მეტ ძალისხმევას დაუთმობს.

— საქართველომ ყურადღება ქვეყნის ეკონომიკის მოწესრიგებას უნდა მიაპყროს და ნაკლები დრო ხარჯოს ყველაფრის მტრისთვის გადაბრალებაზე, — ასეთია ექსპერტის მოსაზრება, რომელსაც, საეჭვოა, ჩვენი ხელისუფლება დაეთანხმოს. ჩვენს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ რუსეთიდან საფრთხე ყოველთვის მოსალოდნელი იქნება.

ამ ფონზე კი საქართველო ძალიან მამაც გადაწყვეტილებას იღებს. ჩვენი კარი რუსეთის ყველა მოქალაქისთვის იღება. ეს, გარდა იმისა, რომ უცნაურია, ცოტა საეჭვოც არის.

# ბაღათურია არჩევნების ნისიად ჩატარებას ეწინააღმდეგება



ნანა მიშელაშვილი

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ხალხის მოთხოვნა არც დეპუტატების რაოდენობის გაზრდა იყო და არც არჩევნების ნისიაზე ჩატარება. ბაღათურიას შეფასებით, არჩევნების ნისიად ჩატარება მენტალური ჩამორჩენილობის მაჩვენებელია, სადაც ზოგიერთი ოპოზიციონერი ჩარჩა.**

**„ქართული დაისის“ ლიდერი იმასაც ამტკიცებს, რომ არჩევნების ნისიად ჩატარება „რვიანის“ მოთხოვნა იყო. „ახალი თაობა“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა.**

*— პარლამენტის წევრების რიცხვი 150-დან 190-მდე იზრდება. ამას ეთანხმებით თუ არა?*

— დეპუტატების რაოდენობის გაზრდა ვინ მოითხოვა და რატომ დადაგა დღის წესრიგში, მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

*— მოსახლეობის მოთხოვნა იყო, რომ დეპუტატების რაოდენობა გაზრდილიყო?*

— არც ეს იყო ხალხის მოთხოვნა და არც ის, რომ არჩევნები ნისიაზე ჩაგვეტარებინა. არის საკითხების ნაწილი, რასაც პარტიები აყენებდნენ ვიწრო პარტიული ინტერესიდან, ეგოიზმიდან, გამომდინარე.

*— რას გულისხმობთ?*

— ეს დიალოგი კარგა ხანია დაემსგავსა კინკლაობას იმის შესახებ, ვის რა აწყობს.

*— ოპოზიციურ „რვიანსა“ და ხელისუფლებას შორის დიალოგზე საუბრობთ?*

— მოდით, ასე ვთქვათ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე პროცესი კარგა ხანია გადაიქცა კინკლაობად, რომელ პარტიას რა აწყობს. ის, რაც წარადგინა „რვიანმა“, არ იყო სისტემური რეფორმის მაჩვენებელი, არამედ, ეს არის, ვის რა აწყობს, ამის ნაკრები. რაც წარადგინა „ქართულმა დასმა“, ეს არის, როგორ უნდა გაუმჯობესდეს და გათანაბრდეს მდგომარეობა წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას. „ქართულმა დასმა“ წარადგინა 4 ძირითადი ვექტორი. კერძოდ, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მდგომარეობის გათანაბრება, ხელისუფლებისთვის მილიარდების დახარჯვის აკრძალვა, ანუ ლიმიტის დაწესება. მდგომარეობის გათანაბრება საინფორმაციო ველში, სარეკლამო რგოლების განთავსების დროს, საარჩევნო ადმინისტრაციებში მდგომარეობის გათანაბრება, რათა ოპოზიცია და ხელისუფლება ერთნაირად იყოს წარმოდგენილი და ყველა პარტიის ჩამოშორება სახელმწიფო ანუ ადმინისტრაციული რესურსებისგან. ვინც არჩევნების ანბანი იცის, მიხვდება, რომ ეს 4 საკითხი წყვეტს არჩევნების ბედს. ასევე მნიშვნელოვანია, მეხუთე საკითხი, როგორ უნდა მოხდეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. ეს უნდა მოხდეს კარდაკარის პრინციპით.

*— თქვენ მიერ დასმული 5 საკითხიდან რომელიმე თუ აისახა იმ შეთანხმებაში, რომელსაც ოპოზიციის ნაწილმა და მმართველმა პარტიამ მოაწერა ხელი?*

— კარდაკარის პრინციპი არის, მაგრამ იმდენად ზოგადია, რომ შემდეგში როგორ განვითარდება, ვერ გეტყვით. ნაწილობრივ არის გათვალისწინებული საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული მდგომარეობა. მაგრამ, ეს უფრო „რვიანის“ შეთავაზება იყო, რომ პარტიის მიერ წარდგენილ დამკვირვებელს დააფინანსებენ. ჩვენ წარვადგინეთ სისტემური რეფორმა, რომ საერთოდ არავის არ ჰყავდეს კომისიის წევრი, კომისია იყოს პროფესიული, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი კი არ დააკომპლექტებს, არამედ, საკონსტიტუციო სასამართლო. თუმცა, სუფთა პოლიტიკური ინსტრუმენტები, ამომრჩეველთა ხმების დათვლა, ეს ჩვენი ვარიანტით, პარტიების დამკვირვებელთა ფუნქციაში შედიოდა.

*— თქვენთვის პრინციპულად მიუღებელი რა არის?*

— პრინციპულად მიუღებელია ნისიად არჩევნების ჩატარება, რომელიც ზოგიერთი ჩვენი კოლეგის მენტალურ ჩამორჩენილობას აჩვენებს.

*— არჩევნების ნისიად ჩატარებაში გულისხმობთ იმას, რომ 5%-იან ბარიერს ვინც გადალახავს, არჩევნების შემდეგ 1 მილიონ ლარს მიიღებს?*

— კი. როდესაც პურის საყიდლად მაღაზიაში შედიხართ, პურს ყიდულობთ და ფულს მაშინ იხდით.

*— ხელისუფლებამ ამაზე შეიძლება გითხრათ, რომ წინასწარ ხომ არ დაურიგებს პარტიებს 1 მილიონ ლარს?*

— დღეს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა არის ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა. საერთაშორისო ორგანიზაციამ წარმოადგინა კვლევა, რომლის მიხედვითაც, ბიზნესმა დააფინანსა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. ნაციონალურ მოძრაობას აფინანსებს ბიზნესმენთა კრებული, ქრისტიან-დემოკრატებს — შინხოფერი, აირზენა და ასეთი კომპანიები. ბიზნესი სხვა ვერც ერთი პარტიის დაფინანსებას ვერ ბედავს.

*— რატომ? ბიზნესი დაშინებულია?*

— იმიტომ, რომ აკრძალული აქვთ. შესაბამისად, ერთი მარტივი შეკითხვა ჩნდება: რა სახსრებით უნდა დაბეჭდონ პარტიებმა ბუკლეტები, ჩაასხან საწვავი და განათავსონ სარეკლამო რგოლები? რით უნდა ებრძოლონ ხელისუფლებას, რა ბერკეტებით? როგორც ყანაში წასული გლეხისთვის თოხი არის ინსტრუმენტი, ისე ფინანსური რესურსები არის ჩვენთვის წინასაარჩევნო კამპანიაში ბრძოლის რესურსი.

*— თქვენ ამბობთ, რომ პარტიებმა დაფინანსება წინასწარ უნდა მიიღონ?*

— ჩვენ იმას ვიძახით, რომ დღეს ოპოზიციურ სპექტრში მომრავლდა ხელისუფლებიდან წამოსული პოლიტიკოსების მიერ შექმნილი პარტიები, რომელთა ჯიბეები გავსებულია კორუმპირებული, ხალხისგან ნაქურდალი ფულით. სხვადასხვა დროს, ზოგმა იძულებითი „ტეხასმოტრებით“, კახა თარგამაძესთან ერთად, ზოგმა სხვადასხვა ფინასნური მაქინაციებითა თუ ხალხის ძარცვით კაპიტალი დააგროვა. თავისი მენტალობით წარსულში ჩარჩენილი, კორუმპირებული მენტალიტეტის პოლიტიკოსები გრძნობენ, რომ მათი დრო წავიდა, ქვეყანას დღეს განვითარება სჭირდება, ახალი პოლიტიკური ძალები. ამ ახალ პოლიტიკურ ძალებს ხედავენ და ჩვენს უპირატესობას გრძნობენ. შესაბამისად, ისინი აშკარად ცდილობენ ჩვენზე უპირატესობა მოიპოვონ სწორედ წარსულში კორუფციის გზით ნაშოვნი ფულით.

*— „ტეხასმოტრებს“ როდესაც ახსენებთ და ხელისუფლებიდან წამოსულ ადამიანებს, რომლებმაც პარტია შექმნეს, ამ შემთხვევაში „ახალ მემარჯვენეებს“ ხომ არ გულისხმობთ?*

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი არის იმ პარტიებისთვის, რომელსაც წარსულში კორუფციული გზით აქვთ ნაშოვნი ფული, ან ხელისუფლება აფინანსებს. ფაქტია, რომ დღეს ყველა წყარო გადაკეტილია, ფინანსური რესურსების წყარო არის ერთი მხრივ, თავად ხელისუფლება, მეორე მხრივ, წარსულში კორუფციული გზით ნაშოვნი ფული. მესამე გზაც არის, რომელიც პირდაპირ დანაშაულია, უცხო ქვეყნიდან, ძირითადად რუსეთიდან დაფინანსების მიღება, რაც სამარცხვინოა.

*— კითხვაზე არ მიპასუხეთ, „ტეხასმოტრებთან“ დაკავშირებით როდესაც საუბრობთ, „ახალ მემარჯვენეებს“ გულისხმობთ თუ თავს არიდებთ ამ შეკითხვას?*

— რატომ სვამთ შეკითხვას ისე, რომ ჩვენი ინტერვიუ პარტიულ კინკლაობას დაემსგავსოს? ჩვენ არ უნდა დავწვრილმანდეთ რომელიმე ერთი პარტიის თემის განხილვით.

*— „ტეხასმოტრები“ რატომ გაგახსენდათ?*

— „ტეხასმოტრები“ ერთ-ერთი ის თემაა, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილია და ნათელი ილუსტრაციაა, როგორი მეთოდებით აკეთებდნენ ფულს ზოგიერთი პოლიტიკოსები. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ სხვა თემებიც, მაგალითებიც მონოპოლიზებული ბიზნესი. ვის ხელშია დღეს მთლიანად ხორცის ბიზნესი, ყველამ კარგად იცის.

*— ვის ხელშია?*

— ხელისუფლების, მთლიანად ხელისუფლება აკონტროლებს. როდესაც ხედავ, რომ სხვა რესურსი არ არსებობს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების, ცხადია, გაჩნდა საჭიროება, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა დაფინანსება მიიღიონ კანონით დადგენილი გზით და დაწესდეს ერთგვარი შეზღუდვა ფინანსური რესურსების ხარჯვაზე. მოდით, ნუ ვილაპარაკებთ ოპოზიციის იმ ნაწილზე, რომელსაც თავისი თავი გასჭირვებია, ხელისუფლებაზე ვისაუბროთ. ამ კვლევებმა, სადაც ჩანს, რომ ბიზნესის მიერ მარტო ნაციონალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატები ფინანსდება, ისიც აჩვენა, რომ ჯამში ნაციონალური მოძრაობა ხარჯავს 20%-ჯერ მეტს, ვიდრე ყველა ოპოზიციური პარტია ერთად.

*— რაც შეეხება „რვიანის“ ექვსიანად გადაქცევას, როგორ ფიქრობთ, ოპოზიციური ექვსიანი საარჩევნო ბლოკად გადაიქცევა?*

— ოპოზიციურ „რვიანთან“ „ქართული დასის“ შეუთანხმებლობა იმ განსხვავებებმა გამოიწვია, რაზეც აქამდე ვისაუბრე. „რვიანი“ წარდგა იმ საკითხთა ნაკრებით, რომელიც ვის რა აწყობს, ამას ჰგავდა. „რვიანის“ მოთხოვნა იყო ნისიად არჩევნების ჩატარება.

*— მართლა?*

— რა თქმა უნდა. ჩახედეთ მათ მოთხოვნებში და ნახავთ. რაც შეეხება „რვიანის“ დაშლას, ეს სამწუხარო ფაქტია.

*— თუმცა, „რვიანის“ დაშლა ზოგიერთს გაუხარდა.*

— არ არის კარგი „რვიანის“ დაშლა, ეს სამწუხარო ფაქტია. კიდევ უფრო სამწუხაროა, რა ფორმითაც ეს მოხდა. ამან სრული დისკრედიტაცია გამოიწვია მასში მონაწილე პოლიტიკური პარიტიების. რაც შეეხება ექვსიანს, იმედს ვიტოვებ, რომ ექვსიანი მაინც შეინარჩუნებს ერთობას, არჩევნებამდე ერთ წელზე ცოტა მეტია დარჩენილი და ერთად გამოვლენ. ეს ჩემი სურვილია.

*— ექვსიანში არიან ისეთი პარტიები, რომლებსაც მენტალურად შეუთანხმებლობა არა აქვთ?*

— ეს მათ უნდა ჰკითხოთ, როგორ აქვთ ერთმანეთთან შეთანხმებები. ჩვენი სურვილები არის მხოლოდ კეთილი სურვილები ექვსიანის მიმართაც და დანარჩენი პარტიების მიმართ, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე არიან წარმოდგენილი. ჩვენ პრინციპულად ან საერთოდ არ ვსაუბრობთ კოლეგებზე, ან თუ ვსაუბრობთ, მხოლოდ კარგს. ახლაც კეთილ სურვილებს ვუსურვებ. მათ შორის რა განსხვავებებია, ექვსიანის წევრებს ჰკითხეთ.

*— „რვიანიდან“ ახალი მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატების წასვლის შემდეგ, ირაკლი ალასანია ჩამოყალიბდა თუ არა ექვსიანის ერთპიროვნულ ლიდერად?*

— არ ვიცი. მე მინდა კეთილი სურვილი ვუსურვო მიტოვებულებსაც და იმათაც, ვინც მიატოვა. „ქართული დასი“ მზად არის თემატურად ითანამშრომლოს კოლეგებთან. მზად ვართ, შეხვედრები ვაწარმოოთ ექვსიანთანაც, ერთიანთანაც, ორიანთანაც, თუკი ეს შეხვედრები რაიმე ელემენტარული შედეგით დასრულდება.

*— თქვენ ხელი არ მოგიწერიათ საარჩევნო გარემოს რეფოორმასთან დაკავშირებულ იმ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელი მოაწერა ნაციონალურმა მოძრაობამ და რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ. ამ ხელმოწერას არ შეუერთდებით?*

— შეთანხმებაში მოყვანილი ფაქტების ნაწილს ჩვენ ვეთანხმებით, მათ შორის მთავარია ამომრჩეველთა სიების გადამოწმების მიზნით პარტიების ჩართულობა. ამას ჩვენ ვეთანხმებით და რამდენიმე დღის წინ ცესკოს თავმჯდომარეს წერილი გავუგზავნეთ, სადაც აღვნიშნეთ, რომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაში მონაწილეობას ვიღებთ. წინააღმდეგობას გავუწევთ ორ უხერხულ მუხლს — არჩევნების ნისიაზე ჩატარებას და კონსტიტუციის და ხალხის ნების უგულებელყოფას. ამ ორი მუხლის გარდა, შეთანხმებაში რაც წერია, ცუდი არ არის, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი საკითხებია. ჩვენ, საპარლამენტო ფორმატში გავაგრძელებთ მუშაობას, რომ გათანაბრდეს პარტიებისთვის მდგომარეობა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ტელევიზიებში გაშუქებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების თვალსაზრისით. პრინციპულად ვითხოვთ, აეკრძალოს ყველა პარტიას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რასაც ერთი პარტია ან ხანდახან ორი იყენებს.

*— რაც შეეხება პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნას, მართალია თუ არა, რომ თქვენ ფრაქციის შესაქმნელად ერთი დეპუტატიღა გაკლიათ?*

— ამ ფრაქციაზე დიდი ინტერესია, მესმის საზოგადოებისა და ჟურნალისტების დიდი ინტერესი. ერთი მთავარი რამ უნდა ვთქვა, ფრაქცია თუ შეიქმნება, უნდა შეიქმნას როგორც ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, მიზიდულობის ცენტრი არ მხოლოდ ამ პარლამენტში. პრინციპულად მიუღებელია ფრაქცია იმისათვის შეიქმნას, რომ ვიღაცამ კაბინეტი მოიწყოს და რიგ-რიგობით მანქანით ისეირნოს. პარტიაში მანქანები ბევრი გვყავს და თუკი ვინმეს მანქანით სეირნობა უნდა, ვათხოვებ.

*— შანსი არის, რომ ფრაქცია შეიქმნას?*

— რაც საჭირო იქნება, ამას გავაკეთებ.

*— 5 დეპუტატი უკვე თანახმაა ფრაქციაში გასაწევრიანებლად?*

— ასეთ თემებზე მე წინასწარ არ ვსაუბრობ.

*— თავს რატომ იკავებთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან?*

— არის თემები, რომლებზეც რაღაც ვარაუდი შეიძლება გამოთქვა, კეთილი სურვილები, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც როგორც შემდგარ ფაქტზე უნდა ისაუბრო.

*— კონსულტაციებს აწარმოებთ ახლა დეპუტატებთან ფრაქციის შესაქმნელად?*

— ამაზე ვერანაირ პასუხს ვერ გაგცემთ. ფრაქციის შექმნის პრინციპია მხოლოდ ერთიანი, მონოლითური, ალტერნატიული მიზიდულობის ცენტრი, რისი დეფიციტით ამ პარლამენტს აქვს. მანქანით სეიორნობისა და კაბინეტების მოწყობის დეფიციტი ამ პარლამენტს არა აქვს. ამ პრინციპით ფრაქციას ჩვენ არ შევქმნით!

## საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი თავისუფალ დროს სახლში ატარებს

მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია „ეი სი თი“-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის სახლში ყოფნა ჩვეული ქცევაა. კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი თავისუფალ დროს სახლში ატარებს.

თავისუფალ დროს სტუმრად მხოლოდ 13% დადის, რესტორნებში, კაფეებსა და კონცერტებზე კი მხოლოდ 2% დადის.

კვლევის ავტორების განცხადებით, რთული სათქმელია ეს მაჩვენებელი ეკონომიკური ფაქტორებითაა გამოწვეული თუ სხვა მიზეზებით, მაგრამ მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, ამაში საოცარი არაფერია.

განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაიწყეს კიდეც ზრუნვა იმაზე, როგორ მოაშორონ ადამიანები ტელევიზორებსა და კომპიუტერებს, როგორ მოწყვიტონ ელექტრონულ სამყაროს. მათი თქმით, იმედია საქართველოშიც გააქტიურდებიან გასართობი დაწესებულებები და მოქალაქეებს სახლიდან გასვლის სურვილს გაუჩენენ

**მედიანიუსი**

## მექსიკაში ძლიერმა შტორმმა 11 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

ძლიერმა ტროპიკულმა შტორმმა ,,არლინმა“ და მის შედეგად გამოწვეულმა წყალდიდობამ, მექსიკის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში 11 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, საცხოვრებლის გარეშე 278 ათასი ადამიანი დარჩა. დაღუპულთა უმრავლესობა საკუთარი საცხოვრებელი სახლების ნანგრევებში მოჰყვა.

წყალდიდობამ, რომელიც შტორმს მოჰყვა, მექსიკის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილებში მდინაარეების ადიდება გამოიწვია.

მეტეოროლოგების განცხადებით, მართალია სტიქია ძალებს კარგავს, მაგრამ უახლოეს დღეებში შესაძლოა ქვეყანას კოკისპირული წვიმები კვლავ დაატყდეს თავს.

**მედიანიუსი**

## ავღანეთში ერთდროულად სამი აფეთქება მოხდა

ავღანეთში ერთდროულად სამი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 17 ადამიანი დაიღუპა.

პირველი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ავღანეთში შამულაზაის პროვინციისკენ მიმავალ გზაზე იყო დამონტაჟებული, მაშინ ამოქმედდა, როდესაც მაგისტრალზე ფურგუნი გადაადგილდებოდა, რომელშიც ადგილობრივი მაცხოვრებლები ისხდნენ. აღნიშნულის შესახებ „ლაიფნიუსი“ იუწყება.

ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, 13 ადამიანისაგან შემდგარი ოჯახი ადგილზევე დაიღუპა. მათ შორის ქალები და ბავშვები.

კიდევ ერთი აფეთქება მეზობელ ყანდაარის პროვინციაში მოხდა. გზაზე დამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე ორი ადგილობრივი მცხოვრები აფეთქდა. შემთხვევის ადგილზე ხმაურის გამო მეზობელი სოფლის მაცხოვრებლები მივიდნენ, როდესაც მესამე აფეთქების ხმა გაისმა, რის შედეგადაც კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა.

ქვეყნის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის განცხადებით, მსგავსი ქმედებები, რომლის შედეგადაც მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, იმ ადამიანების მოქმედების შედეგია, რომლებსაც არ სურთ, რომ ქვეყანამ მშვიდობიანად იცხოვროს.

**მედიანიუსი**

# რუმინეთის პრეზიდენტმა რუსეთი გაანაწყენა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „უსირცხვილო ბაქიბუქი" უწოდა რუმინეთის პრეზიდენტ ტრაიან ბასესკუს სიტყვებს, რომელმაც განაცხადა, 1941 წელს ის რომ ყოფილიყო რუმინეთის ხელმძღვანელი, დიქტატორ იონ ანტონესკუს მსგავსად, თავის ჯარისკაცებს საბჭოთა კავშირის




წინააღმდეგ გერმანიის ჯარებთან ერთად ისიც უყოყმანოდ გაგზავნიდა.

მოსკოვი აღშფოთებული დარჩა როგორც განცხადების შინაარსით, აგრეთვე იმით, რომ რუმინეთის პრეზიდენტი ამ განცხადებით 22 ივნისს გამოვიდა, დღეს, როდესაც რუსეთი ხსოვნისა და მწუხარების დღედ მიიჩნევს.

ბასესკუ ამ სიტყვებით რუმინული ტელეარხის „ბ1 თივის" ინტერვიუში გამოვიდა. შეკითხვას, გასცემდა თუ არა რუმინეთის ჯარების მიერ მდინარე პრუტის გადაკვეთისა და საბჭოთა კავშირზე იერიშის დაწყების ბრძანებას, როგორც ეს 70 წლის წინ იონ ანტონესკუმ განაცხადა, რუმინეთის პრეზიდენტმა დადებითი პასუხი გასცა.

„დიახ, რადგან გერმანია ჩვენი მოკავშირე იყო და ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება გვჭირდებოდა", — განაცხადა რუმინეთის პრეზიდენტმა.

ბასესკუ ბესარაბიას გულისხმობდა, რომელიც საბჭოთა ჯარებმა 1918 წლის შემდეგ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საბაბით 1940 წელს დაიკავეს.

თავის ტელეინტერვიუში ტრაიან ბასესკუმ რუმინეთის მეფე მიხაი I გააკრიტიკა. მიხაი I ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გადატრიალებას, რის შედეგადაც იონ ანტონესკუ ჩამოაგდეს და მოგვიანებით სიკვდილით დასაჯეს.

1947 წელს მიხაი I-მა ტახტზე უარი თქვა და რუმინეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მის გადაწყვეტილებას „ღალატის აქტი" უწოდა.

„მას მხოლოდ იმიტომ უნდა ვაპატიოთ, რომ რუსეთის ლაქია იყო, ტახტი მიატოვა და ქვეყანა დატოვა?" — განაცხადა მან.

რუმინეთის პრეზიდენტის სიტყვებმა ბევრი გააკვირვა, რადგან მიხაი I-ს მრავალი რუმინელი პატივისცემით ეკიდება და ქვეყნის ისტორიაში მის წვლილს დადებითად აფასებს.

თავად მეფე ამჟამად 90 წლისაა და მისი გარემოცვის წევრებმა კომენტარისაგან თავი შეიკავეს.

**გ. თ.**

# ისრაელ-საქართველოს ურთიერთობა რუსულ მედიაში

რუსული ინტერნეტგამოცემა „აკსაკალი", სათაურით „როგორ დაუმეგობრდეს საქართველო ისრაელს", საქართველო-ისრაელის ურთიერთობის შესახებ სტატიას აქვეყნებს.



— საქართველომ, მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ საკუთარი შეცდომა აღიარა, როდესაც ორი ებრაელი ბიზნესმენი რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი გაასამართლა. იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც 20 წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდნენ საქართველოში ინვესტირებას, განაჩენის გამოტანამ დარტყმა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მიაყენა, — ნათქვამია სტატიაში.

მასალის თანახმად, ისრაელს, საქართველოს ბრძოლა მექრთამეობასთან, არც თუ ძალიან მოეწონა. ბიზნესმენებისთვის განაჩენის გამოტანა სულაც არ ჰგავდა ისრაელიდან ინვესტიციებსი შემოდინებისთვის მადლიერების გამოხატვას.

— საინტერესოა, რომ ვიდრე ქართული ეკონომიკის ინვესტორები სასჯელს იხდიან, საქართველო ისრაელს მეგობრულად განწყობილ ქვეყნად მიიჩნევს... ამის მიუხედავად, ისრაელმა საქართველოში გაურკვეველი ვადით დახურა საკუთარი საელჩო საქართველოში. ორ ქვეყანას შორის ბიზნეს და სამხედრო თანამშრომლობას ობობის ქსელით დაფარვა დაემუქრა, მაგრამ ქართველმა პოლიტიკოსებმა მაინც იპოვეს მცირე წერტილი თბილისისა და თელ-ავივის ურთიერთობების გამოსასწორებლად... ისრაელს ნებისმიერი მხარდაჭერა სჭირდება პალესტინის ავტონომიის სუვერენიტეტის საკითხში და ამ მხრივ, საქართველომ, შესაძლოა, გარკვეული ნაბიჯი გადადგას. თუმცა, მანამდე, კარგი იქნებოდა, ქართულ მხარეს ებრაელი ბიზნესმენები გაეთავისუფლებინა, — ნათქვამია სტატიაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტი შემოდის

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტი შემოდის.

„საქმის მორიგებით დასრულების სტიმულირებას" „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" ახალი პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში საკმაოდ დიდი ხანია შესულია, თუმცა, მისი ოფიციალური განხილვა ახლა დაიწყო და საკანონმდებლო ორგანომ ის პირველი მოსმენითაც მიიღო.

კანონპროექტით, ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღიარება და შეთანხმება ადმინისტრაციულ სახდელზე ან მისი აღსრულების წესზე.

პროექტის მიხედვითვე, ადმინისტრაციული შეთანხმებით სახდელად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ჯარიმა და ადმინისტრაციული შეთანხმებით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იქნება ნებისმიერი ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმით შეცვალოს.

კანონპროექტით დადგენილია ის გარემოებაც, რომ თუ ადმინისტრაციული შეთანხმება არ იქნა დადებული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი ადმინისტრაციული შეთანხმების შეთავაზებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღიარებას არ ჩაითვლება.

**ინტერპრესნიუსი**

# აქციაზე ჟურნალისტებს კანონი დაიცავს

## საკონსტიტუციო ცვლილებები სხვისი პულტების გამოყენებით მიიღეს

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტმა კიდევ ერთი ხმაურიანი კანონი მიიღო. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში ცვლილებები მმართველმა პარტიამ უპრობლემოდ გაიტანა. არადა, ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო ოპოზიციამ წინასწარ დიდი აჟიოტაჟი ატეხა, თუმცა, კენჭისყრაზე დასასწრებად თავი არ შეიწუხა.**



ამ საკითხის განხილვის დროს, სხდომათა დარბაზში ერთი-ორი ოპოზიციონერი დეპუტატი იჯდა, თუმცა, მათ რაიმე პრინციპული პოზიცია ახალ ცვლილებებთან დაკავშირებით არ დაუფიქსირებიათ.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში ახალი ჩანაწერიც გაჩნდა. ეს ჩანაწერი ჟურნალისტებს უკავშირდება. კერძოდ, შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულები არიან ხელი არ შეუშალონ მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალიტებს პროფესიულ საქმიანობაში, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას. პასუხისმგებლობა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

კანონმდებლობით კი, კერძოდ, „სისხლის სამართლის კოდექსის" 154-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი, მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკაოს მისი გავრცელებისაგან, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით 120-დან 140 საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაო ვადით 2 წლამდე. ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

ამდენად, აქციების დროს, ჟურნალისტებისთვის ხელის შეწყობა ევალებათ როგორც აქციის ორგანიზატორებს, ასევე სამართლადამცავებს. თუმცა, რამდენად დაიცავენ კანონს ორივე მხარის წარმომადგენლები, ამას პირველივე მიტინგი აჩვენებს.

კანონში დარჩა იმ ნივთების ჩამონათვალი, რომლის ქონის უფლება აქციის მონაწილეებს არ აქვთ. კერძოდ, მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ: იქონიონ ცეცხლსასროლი იარღი, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, რადიოაქტიური ან ცივი იარაღი. ასევე ეკრძალებათ, იქონიონ ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზიანის მიყენების მიზნით. აქციის მონაწილეებს ასევე ეკრძალებათ: ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებების და ალკოჰოლიანი სასმელების ქონა.

რაც შეეხება იმ შენობებს, სადაც 20 მეტრის რადიუსში აქციების ჩატარება იკრძალება, ეს აკრძალვა რამდენიმე შენობასთან დარჩა. კერძოდ, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მიმდებარე ტერიორიაზე: პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების და სამართალდამცავი ორგანოები,რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები. აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან 100 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. ასევე აკრძალულია აქციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალების და რკინიგზის ბლოკირება.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საპარლამენტო ოპოზიცია თავიდან აქტიურობდა, შემდეგ კი სხდომაზე მისვლითაც კი არ შეიწუხა თავი კონსტიტუციაში ცვლილებებს უკავშირდება. ეს საკითხი პარლამენტის ქუთაისში გადატანას შეეხება.

მართალია საპარლამენტო უმცირესობამ ამ საკითხზე თავდაპირველად იბობოქრა, თუმცა, შემდეგ ბედს შეეგუა და სხდომაზე დასწრება საჭიროდ აღარც კი ჩათვალა. გასულ კვირას, უმცირესობაში შემავალი ორი ფრაქციიდან რიგგარეშე სხდომაზე მხოლოდ ორი დეპუტატი მივიდა. უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ამერიკაში იმყოფება, „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე კი ტრადიციულად ერთ-ერთი მწვერვალის დასალაშქრად არის წასული. უმცირესობის რამდენიმე წევრმა, ეტყობა, დრო იხელთა და „შატალოზე" წავიდა.

დეპუტატებმა პარლამენტის ქუთაისში გადატანის საკითხს გასულ კვირას საბოლოოდ უყარეს კენჭი, თუმცა, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სხვისი პულტების (ბარათების) გამოყენებით მოხდა. კენჭისყრის პროცედურის დროს, სხდომათა დარბაზში 87 დეპუტატი იჯდა, არადა, ტაბლოზე 106 დეპუტატი დაფიქსირდა. გამოდის, რომ სხვისი პულტების გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად დეპუტატების სიმცირისა, საკონსტიტუციო ცვლილება 103 ხმით ერთის წინააღმდეგ პარლამენტმა მაინც დაამტკიცა.

ამ დროს, სხდომათა დარბაზში ოპოზიცია არ იმყოფებოდა. ამდენად, საპარლამენტო ოპოზიციიდან არავის არ გაუპროტესტებია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება რეგლამენტის დარღვევით მოხდა. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის საკითხი მმართველმა პარტიამ უპრობლემოდ გადაწყვიტა.

# თბილისი შეიძლება ბაქოს დაუპირისპირდეს

ქეთი ხომერიკი

**რა აწუხებთ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს და რას ითხოვენ ისინი ხელისუფლებისგან? „ახალი თაობა" ამ საკითხზე საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის ან უკვე ყოფილ თავჯდომარეს, ახლა კი „საქართველო ჩემი სამშობლოას" თავჯდომარე ალი ბაბაევს ესაუბრა.**

## რისი ეშინია ალი ბაბაევს

ალი ბაბაევი:

— ბოლო პერიოდია, აზერბაიჯანულ საზოგადოებაზე საუბარი საკმაოდ აქტუალური გახდა. ჯერ იყო და პრეზიდენტის გამოსვლამ მიწებთან დაკავშირებით ხალხს დიდი იმედი გაუჩინა იმისა, რომ მისივე განკარგულების საფუძველზე მონოპოლისტებს ქვემო ქართლში მიწები ჩამოერთმეოდათ და ხალხს დაურიგდებოდათ, თუმცა ეს საკითხი ძალიან მიჩუმათდა. დღეს, ამაზე აღარავინ ლაპარაკობს. ასევე აქტიურად საუბრობდნენ მარნეულის რაიონში 15 სოფლისთვის სახელის გამოცვლაზე, რამაც დიდი ხმაური და უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში და ამ დროს ამასაც ეშველა, ანუ გამოვიდა რეესტრის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ თურმე სოფლებს ისევ შერჩა ის ისტორიული სახელწოდებები, რომლებიც ჰქონდათ. და რა თქმა უნდა, ყველაზე აქტუალური თემა იყო 2008 წელს ჩემი თავჯდომარეობით შექმნილი საქართველო□აზერბაიჯანთა კონგრესი, რომელმაც თავისი როლი ითამაშა საქართველოსა და მსოფლიო აზერბაიჯანელთა ცხოვრებაში, როგორც ერთ□ერთმა აქტიურმა ორგანიზაციამ. და ამ დროს გაჩნდა აზრი, რომ ეს ორგანიზაცია უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურა და ჩვენი არ ყოფნის დროს პრივატიზებულ იქნა სახელმწიფო ორგანიზაციად. ამით კანონი იქნა დარღვეული. წარმოიდგინეთ, 11 დამფუძნებლიდან 4 ესწრებოდა იმ ყრილობას და 4 კაცმა გარიცხა 7 დამფუძნებელი. ამ დროს კონგრესის დაფუძნებაში 23 სახელმწიფო მოხელე, დაწყებული მარნეულის საკრებულოს თავჯდომარედან, გუბერნატორის მოადგილით დამთავრებული, რომელიც კონგრესის თავჯდომარეა მონაწილეობდა. და რა თქმა უნდა, ყველა რაიონის გამგებლის მოადგილეები და მუნიციპალიტეტის დეპუტატები, სხვადასხვა მასწავლებლები და დირექტორები, ამტკიცებენ, რომ თურმე ყველაფერი კარგად არის, მეტიც, უმაღლეს დონეზეა იმ რეგიონში ყველაფერი და თურმე კონგრესს შეუძლია ამის მერე რაც სახელმწიფო სტრუქტურა გახდა უკეთესად იზრუნოს ხალხზე.

***— და თქვენთვის ეს მიუღებელია...***

— დიახ... 6 თვეა არსებობს ეს კონგრესი და არავინ არაფრით არ არის დაინტერესებული რეალურად და არც არაფერი გაკეთებულა. ამის გარდა კიდევ ერთი საკითხია რაც ყველაზე მეტად მაწუხებს. ყველაფერს მოველოდი, მაგრამ აზერბაიჯანული საზოგადოება ისეთ რამეზე, თუ ხელს მოაწერდა ნამდვილად, არ ველოდი. ამ შემთხვევაში საქართელოს კონსტიტუცია ყველანაირად დარღვეულია.

***— რა მოხდა, რას არ ელოდით, ბატონო ალი?***

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რუსეთთან ეკონომიკა დაგვაახლოებს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

*— ბატონო გულბაათ, როგორც ვიცით, შეიქმნა ორგანიზაცია „კავკასიის თანამშრომლობა“, რომელიც აერთიანებს პოლიტოლოგებს, ექსპერტებს და საკმაოდ პრობლემატიკურ საკითხებზე აქვს მას აქცენტი გამახვილებული. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ანალოგიური ორგანიზაცია არის მოსკოვში. რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი?*

— არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“ შეიქმნა რამდენიმე თვის წინ თბილისში. მსგავსი ორგანიზაცია ასევე არის რუსეთში. ორგანიზაცია ორიენტირებულია სხვადასხვა კვლევასა და ჰუმანიტარულ საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია საექსპერტო პლატფორმაა. ჩვენ უკვე ჩავატარეთ ორი სემინარი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებს მსოფლიო კრიზისისა და აგვისტოს ომის შემდგომ. სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს ნოდარ ჯავახიშვილმა, იოსებ არჩვაძემ, დემურ გიორხელიძემ. მეორე სემინარი მიეძღვნა დემოგრაფიულ პრობლემებს. ვფიქრობ, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობა თანდათან უფრო საინტერესო გახდება. მთავარი მიზანია, ცოდნა საქართველოს შესახებ რუსეთში და რუსეთის შესახებ საქართველოში განვითარდეს და გვქონდეს სრული წარმოდგენა. თუმცა, ის ინფორმაციები, რომლებიც ჩვენ საქართველოს შესახებ შევაგროვეთ ამ ორი სემინარის ფარგლებში, ესეც კი უკვე საქართველოსთვის ახალია, ანუ ჩვენ ისიც კი არ ვიცით სრულად, რა ხდება ჩვენს ეკონომიკაში, დემოგრაფიაში. ეს ყველაფერი იციან ცალკეულმა სპეციალისტებმა. მათი ნააზარევი გაბნულია პრესაში, მაგრამ ასე თავმოყრილი და სისტემური ხასიათი ამას პირველად მიეცა.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენის ერთადერთი პერსპექტივა ეკონომიკურ ურთიერთობებს აქვს?*

— რა თქმა უნდა, ეკონომიკას უდიდესი ფუნქცია აქვს ურთიერთობების დარეგულირებაში. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ ისინი გამონახავენ ალტერნატიულ ბაზარს, სადაც გავა ქართული პროდუქცია, ეს მაინც არ ამართლებს იმ გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობას. თუ ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ ამ გზას ალტერნატივა ჯერჯერობით არა აქვს, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ რუსული ბაზარი. მართალია, ეს ძალიან რთული იქნება, მაგრამ სწორი მუშაობის შემთხვევაში შეუძლებელი არაფერია.

*— ეს არის ქართველი ექსპერტების მოსაზრებები. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით რუსი ექსპერტები?*

— ჩვენ ახლა ვიწყებთ ამ მოსაზრებების თავმოყრასა და ანალიზს. ასე მარტივად ეს არ მოხდება. უბრალოდ, ჩვენ ვქმნით წინაპირობებს საიმისოდ, რომ ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, იქნება ეს პარლამენტში თუ მთავრობაში, მათ გამოიყენონ ეს ანალიზი. გვინდა თუ არ



გვინდა, ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი ორიენტირებულია რუსეთზე, ვინაიდან მსოფლიოს სხვა ბაზრები უკვე ათვისებულია და უჭირთ რაიმე ახალი ნიშის გამოძებნა. ჩვენ მანამ მივალთ უფრო რთულ პოლიტიკურ საკითხებამდე, მოლაპარაკება უნდა დაივიწყოთ გაცილებით მარტივი საკითხებით, სადაც არის აზრების თანხვედრა და უფრო იოლია შეთანხმების მიღწევა.

*— ბოლოს შეხვედრა შედგა სომხეთში, ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ეს იყო რუსი და ქართველი ჟურნალისტების შეხვედრა. რა საკითხები იქნა ამ შეხვედრაზე განხილული?*

— ჟურნალისტური ფორუმი უკვე მეორედ შედგა. სომხეთი იმიტომ იქნა არჩეული, რომ ხშირ შემთხვევაში საქართველოში არ უშვებენ რუს პოლიტოლოგებს, უშვებენ მხოლოდ მათ, ვინც ხელისუფლებას აწყობს და მას ემსახურება. ძალიან საინტერესო თემები იყო განხილული. ძირითადად იყო ორი თემა — ეკონომიკური პრობლემატიკა და კავკასიური საკითხები. ჩვენ მივიღეთ ძალიან ბევრი ინფორმაცია როგორც რუსი, ასევე ქართველი ექსპერტებისაგან. მე გამოვყოფდი ინფორმაციას ჩერქეზთა შესახებ, რომელიც მოგვაწოდა ქალბატონმა ნეფლიაშევამ. ადიღეური წარმოშობის ეს ქალბატონი თავს მოიაზრებს ჩერქეზ პატრიოტად. სწორედ მისგან იყო საინტერესო ინფორმაცია, თუ როგორ აღიქვამენ ჩერქეზები თავიანთ ისტორიას, რა ურთიერთობები აქვთ მათ მოსკოვთან და როგორ უყურებენ ისინი საზღვარგარეთ არსებულ დიასპორას, ასევე საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას მათ მიმართ. ჩერქეზეთში საზოგადოების დიდი ნაწილი რუსების მიმართ ლოიალურად განწყობილი, არის მხოლოდ ჩერქეზთა კონგრესი, რომელიც მოითხოვს, რომ არ ჩატარდეს სოჭის ოლიმპიადა, რადგანაც ეს მხარე იყო ისტორიულად ჩერქეზების და, როგორც ამ კონგრესის წარმომადგენლები ამბობენ, ეს იქნება „ზეიმი ძვლებზე“. დანარჩენი ძირითადი ორგანიზაციები განსხვავებულ პოზიციაზე დგანან. ისინი რუსეთის ხელისუფლებასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, თუმცა, არა აქვთ აქცენტი გაკეთებული იმაზე, რომ იყოს გენოციდის აღიარება. ეს არის ჩერქეზული ინტელიგენციის ნაწილის მოსაზრება, თუმცა, მთლიანად ჩერქეზი ხალხი ხედავს თავისი ისტორიის ტრაგიკულობას და გარკვეული დასკვნების გაკეთებას ითხოვენ რუსეთისგან. აქ, ხშირ შემთხვევაში, სიმბოლურ მომენტებთან გვაქვს საქმე, მაგალითად, 1045 წლამდე სოჭთან ახლოს არსებობდა შაპსუგეთის ნაციონალური რაიონი. ახლა იქ არის სოფელი ლაზარევსკაია. ადმირალი ლაზარევი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ჩერქეზების ოსმალეთში გადასახლებისა. მას აღიქვამენ ნეგატიურად და ამ კაცის სახელი ჰქვია ამ დაბას. სურთ, რომ მისი ძეგლი გადატანილ იქნეს რუსეთის რომელიმე სხვა რეგიონში ან მუზეუმში. ძირითადად ჩერქეზ ხალხს აღელვებს არა პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ამიტომ მათი აქტივობა არის ძალიან დაბალი. ყაბარდო-ბალყარეთში გაძლიერდა რადიკალური ისლამიზმი. მე დავუსვი ამ ქალბატონს შეკითხვა, ხომ არ არის ეს ურთიერთკავშირში ჩერქეზულ ისტორიასთან და რაიმე მოთხოვნებს ხომ არ აყენებენ ტერორისტები, მაგრამ ეს არ არის ურთიერთკავშირში ჩერქეზული პატრიოტული მოძრაობის წარმომადგენლებთან. ის არის საერთაშორისო ისლამიზმი, რომლის უკანაც დგანან სხვა საერთაშორისო ძალები და არა ჩერქეზი ხალხის წარმომადგენლები, ამიტომ ეს უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, რომ ეს არის სხვადასხვა პრობლემა. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებამ აღფრთოვანება სულაც არ გამოიწვია ჩერქეზთა შორის. მათ კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მადლობის თქმაზე. პირიქით, ეს მათში განიხილება ხელისშემშლელ ფაქტორად ჩერქეზების მოლაპარაკებებში მოსკოვთან. საქართველომ ამ გადაწყვეტილებით ქულები სულაც არ დაიწერა ჩრდილო კავკასიაში, პირიქით მოხდა. ამ ქალბატონმაც დასვა შეკითხვა, რომ რაღა მაინცდამაინც ახლა გაახსენდა საქართველოს ხელისუფლებას ჩვენი პრობლემაო. აშკარაა ის, რომ ეს გაკეთდა რუსების ჯიბრზე და არა ჩერქეზი ხალხის გამო. ზოგიერთმა დეპუტატმა არ იცის კონკრეტული დეტალები და თავიანთი სინდისის კარნახით დაუჭირეს მხარი რეზოლუციას. მთლიანობაში ამას ჰქონდა ის ეფექტი, რომ ეს არის უპასუხისმგებლო ნაბიჯი პარლამენტის მხრიდან და არც საქართველოს მოუტანს კარგს და არც ჩერქეზებს. საქართველოს პარლამენტში იყო ცოტა კომიკური სიტუაცია შექმნილი, როდესაც მათ ჩამოიყვანეს ებრაელი რაბინი აბრაამ შმულევიჩი, რომელსაც აკეთებინებდნენ განცხადებებს, რომ თითქოს ის არის ჩერქეზი ხალხის ინტერესების დამცველი, ეს რაბინი აცხადებს, რომ ებრაელ ხალხს განსაკუთრებული მისია აკისრია მსოფლიოში და ჩერქეზი ხალხი ამ მისიას მხარს უჭერს. ცოტა აბსურდული სიტუაციაა. რატომ დაინტერესდა ეს რაბინი ამ პრობლემატიკით, არავინ იცის. ოთხმოცდაათიან წლებში რომ დუღდა ჩერქეზული ნაციონალიზმი, ცალსახაა, რომ დღეს უკანა პლანზეა გადასული. ისინი რუსეთის გარდა სხვა პერსპექტივას ვერ ხედავენ. ჩრდილოკავკასიელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხადად ხედავს, რომ თანამედროვე მსოფლიოში კარჩაკეტილი ნაციონალური სახელმწიფო, კავკასიის მთებში იზოლირებული, მათ არაფერს მისცემს. მათთვის გაცილებით უკეთესია რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა და ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობა, რაც რუსეთის მოქალაქეობას მოაქვს.

# ოპოზიციის უსუსურობა კიდევ ერთხელ დამტკიცდა

შორენა გონგლაძე

„ოპოზიციამ საკუთარი უსუსურობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. საზოგადოებაში კიდევ ერთხელ განამტკიცა მოსაზრება, რომ ისინი ხელისუფლების თაიმაშს თამაშობენ“, — ეს განცხადება პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერეციაზე გააკეთა. გიორგი ლაღიძე „დიდი რვიანის“ ქმედებას უარყოფითად აფასებს და თვლის, რომ ოპოზიციაში მილიონის მიღების სურვილი უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკურად სწორი განვითარება. მისივე თქმით, „დიდი რვიანის“ მუშაობა ბიზნესგარიგებას უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ პროცესს.

— ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღება გადატანილი იქნა ე.წ. დიდ რვიანზე. სამწუხაროდ, მათი მუშაობა სარფიან გარიგებას უფრო დაემსგავსა, ვიდრე პოლიტიკურ პროცესს. ხელისუფლებასა და ოპოზიციის ერთ ნაწილს, პრაქტიკულად, უკვე დაწყებული აქვთ არჩევნების გაყალბება, ვინაიდან მათ უკვე მოაწერეს გარკვეულ შეთანხმებას ხელი, რომ ვინც გადალახავს ხუთპროცენტიან ბარიერს, ის მიიღებს დაფინანსებას. საინტერესოა, ის პარტიები, რომლებიც ამ დოკუმენტს არ ეთანხმებიან და გადალახავენ ბარიერს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან? ხომ არის ეს უკვე ხელმოწერილი დოკუმენტი ამ ადამიანების უფლებების დარღვევა. ჩვენ, ფაქტიურად, მოგვისპეს იმის საშუალება, რომ ნორმალურ ვითარებაში მიგვეღო ამ პროცესებში მონაწილეობა. ამას აკეთებს არა მარტო ხელისუფლება, არამედ, მთელი რიგი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არიან წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და კარგად იციან ხელისუფლებით ტკბობის გემო. მათ კიდევ ერთხელ უნდათ, მოვიდნენ ხელისუფლებაში სხვადასხვა გარიგების ფასად, —აცხადებს გიორგი ლაღიძე და 26 მაისთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ სვამს კითხვებს.

— სიმართლე გითხრათ, სააკაშვილის რეჟიმს აწყობს ასეთი ხალხი, იცის, რომ მათგან რაიმე სერიოზული პროტესტი არ წამოვა და მართავს თავისი სურვილის მიხედვით. ჩვენ რეალურად ქვეყანაში გვაქვს პოლიტიკური კრიზისი. 26 მაისის შემდგომ ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა. საზოგადოებაში უკმაყოფილება კიდევ უფრო იზრდება. პირველ რიგში, ეს სოციალურ ნიადაგზეა გამოწვეული, რაც, ალბათ, ამ ხელისუფლებას ძალიან ცუდად დაუბრუნდება. სამწუხაროდ, ხელისუფლება ცდილობს, 26 მაისს ჩადენილი დანაშაული მიაჩუმათოს, არ იქნეს გამოძიებული და მთელი პასუხისმგებლობა დააკისროს აქციის ორგანიზატორებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არის აქციის ორგანიზატორების მხრიდან გარკვეული



ბრალეულობა. მათი მხრიდან იყო გადადგმული არაერთი არასწორი ნაბიჯი. საინტერესოა, რატომ მოხდა 26 მაისის აქციის რიგითი წევრების დაპატიმრება და, თუ მათ დანაშაული ჩაიდინეს, რატომ არიან თავისუფალი დღეს ხელმძღვანელები, რა დააშავეს რიგითმა ადამიანებმა, თუ ხელისუფლება მოქმედებს შერჩევის პრინციპით? მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არის უკმაყოფილების განცდა და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ხელისუფლებამ არ მოახდინოს კიდევ ერთხელ არჩევნების გაყალბება. მე არაერთხელ მითქვამს ის, რომ არჩევნებს ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ნორმალური გზა ქვეყნის განვითარებისაკენ, მაგრამ, რასაც დღეს ხელისუფლება და მასთან ერთად ზოგიერთი პოლიტიკური პარტია აკეთებს, ეს არის დანაშაული და კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. თუ ხელისუფლებას ნამდვილად უნდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და თუ მართლაც უნდა, რომ ქვეყანაში ნორმალურად წარიმართოს პოლიტიკური პროცესები, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში ჩართული უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ძალა და არა პრივილეგირებული პარტიები.

# ვენესუელის პრეზიდენტი კიბოზე მკურნალობს

ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ კიბოს მკურნალობის კურსს გადის. სამი კვირის განმავლობაში იგი კუბაში იმყოფება, სადაც




მას, როგორც ოფიციალურ განცხადებაში იყო ნათქვამი, მენჯის არიდან აბსცესის ამოკვეთის ოპერაცია გაუკეთეს.

კუბაში გაჭიანურებულმა სტუმრობამ ვენესუელაში პრეზიდენტის ავადმყოფობის ან სულაც გარდაცვალების ჭორების გავრცელება გამოიწვია. ამ ჭორების გასაფანტავად ხელისუფლებმა კუბის ყოფილ პრეზიდენტ ფიდელ კასტროსთან უგო ჩავესის სტუმრობის კადრები აჩვენეს.

სატელევიზიო მიმართვაში კუბაში მყოფმა უგო ჩავესმა წაიკითხა წინასწარ მომზადებული განცხადება იმის შესახებ, რომ 10 ივნისს ოპერაციის დროს ქირურგებმა აბსცესის გარშემო სიმსივნის უჯრედები აღმოაჩინეს. ამის გამო მას კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდა, რომელიც წარმატებით დასრულდა.

ჩავესმა განაცხადა, რომ საკუთარ ჯანმრთელობას არასაკმარის ყურადღებას უთმობდა, რასაც ფუნდამენტური შეცდომა უწოდა.

მისი ავადმყოფობის გამო ვენესუელაში გადაიდო შეხვედრა, რომელშიც ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ეს სამიტი ვენესუელის სახელმწიფოს დაარსების 200 წლისთავს უკავშირდებოდა. მიმომხილველების თქმით, 56 წლის უგო ჩავესი გამხდარია და სერიოზულ დაავადებასთან მებრძოლ ადამიანს ჰგავს.

ჩავესის სატელევიზიო მიმართვის შემდეგ ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტმა ელიას ხაუამ განაცხადა, რომ ვენესუელის მთავრობა ერთიანობას შეინარჩუნებს და სოციალისტური რეფორმების გატარებას ლიდერის არყოფნის პირობებშიც შეძლებს.

**გ. თ.**

## თბილისში აშშ-ს საელჩოში ამერიკის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს

თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. დამოუკიდებლობის 235-ე წლისთავი საქართველოში მცხოვრებმა ამერიკელებმა და მათმა მეგობრებმა ტრადიციულად იზეიმეს.

ღონისძიებაზე, რომელიც ამერიკის სავაჭრო პალატის ინიციატივით მოეწყო, საელჩოს ეზოში შეკრებილ სტუმრებს სტეიკებითა და ჰამბურგერებით გაუმასპინძლდნენ. შეკრებილებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ ოჯახური წარმოების ლუდიც, რომელიც შტატებიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოიტანეს.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმს საქართველოში მცხოვრები ამერიკის მოქალაქეები დაესწრნენ. ყველა მათგანმა, დღესასწაულზე მოსახვედრად, სპეციალური ბილეთი შეიძინა. შეგროვილი თანხა კი საელჩოს ფონდში ჩაირიცხება და საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

**მედიანიუსი**

# თბილისი შეიძლება ბაქოს დაუპირისპირდეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

— მუსულმანური ისლამის მიმდევრები საქართველოში დიდი ხანია უკვე ექვემდებარებიან აზერბაიჯანის შეიხს, ფაშა ზაადის ხელმძღვანელობით, რომელსაც აქვს სამმართველო. ახჯუმამეჩითში ზის ალი ალიევი. აი, ამ კონგრესის მერე 5 იანვარს იქმნება მუსულმანთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც აფუძნებს პარლამენტის დეპუტატი აზერ სულეიმანოვი, გუბერნატორის მოადგილე უსუბოვი და ომბუდსმენის წარმომადგენელი ქვემო ქართლში ვინმე ქულიევი. ამ ორგანიზაციას ქმნიან იმისთვის, რომ ვითომ უნდა დაეხმარონ მუსულმანურ საზოგადოებას იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელიც დღეს, მათ აქვთ. ამ დროს კი ეს გარდაიქცევა ისეთ გლობალურ თემად მთელ საქართველოში, რომ თურმე შეიხი უმუქმედოა საქართველოში, შეიხის უფლებები უნდა შეიზღუდოს და შეიქმნას დამოუკიდებელი მუსულმანთა სამმართველო, რომელსაც თავის შეიხი ეყოლება. როგორც კონგრესზე ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, ისე ამ შეხვედრაზეც ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრას დიასპორის მინისტრის მოადგილეც ესწრებოდა, რომელიც ძალიან აქტიურობდა ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. მისი თქმით, თურმე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს პრობლემები არ აქვთ, მაშინ, როცა აზერბაიჯანში ერთი ნორმალური დიასპორა არ არის ჩამოყალიბებული. არ სჯობდა მინისტრის მოადგილეს ამ საქმეზე ეზრუნა აზერბაიჯანში, რაღა საქართველოში ზრუნავს მუსულმანების ინტეგრაციაზე.

***— ამით რისი თქმა გინდათ, ბატონო ალი?***

— ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევა რელიგიურ საქმიანობაზე, კონსტიტუციაში კი წერია, რომ ყველა რელიგია დამოუკიდებელია და სახელმწიფო სტრუქტურებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ. მე, ვაპროტესტებ ამას და ხალხის დიდი ნაწილიც. ხალხი აღშფოთებულია, აჭარელი მუსულმანებიც კი აღშფოთებულები არიან და არ აღიარებენ იმას, რომ ეს ორგანიზაცია მათზე ზევით დადგეს. ეს მე მგონი დაკვეთილია, რაღაც პროცესებისათვის არის ეს ყველაფერი საჭირო.

***— რა პროცესებისათვის და ვის მიერ არის დაკვეთილი?***

— ხელისუფლების მიერ. ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ, რომ ძალიან ბევრი პრობლემებია დღეს, საზოგადოებაში და ამ პრობლემების თავიდან აცილებისთვის, გადაფარვისთვის ასეთ მეთოდებს მიმართავენ. ეს მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ყოველთვის იყვნენ და არიან ერთგულნი ქართული სახელმწიფოსი და, თუ ვინმეს არ სჯერა საქართველოს ისტორია წაიკითხოს. დღეს, აზერბაიჯანი საქართველოსთვის ერთ ერთი ყველაზე საიმედო და ერთგული სტრატეგიული პარტნიორია. ჩემი აზრით, არსებობენ რაღაც ძალები, რომლებიც საქართველოს და აზერბაიჯანს შორის აპირებენ ურთიერთობების და პოლიტიკის გაცივებას. ამ საკითხებზე აზერბაიჯანის მხრიდანაც სერიოზული განცხადებები გაკეთდა, კონკრეტულად, საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან.

***— და რა ძალები?***

— საზოგადოებამ მე მგონი, უნდა იცოდეს ვის არ უნდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ნორმალური ურთიერთობა, რომ იყოს. ეს ძალები, ალბთ ქვეყნის გარეთაც არიან და შიგნითაც, და ეს მალე გამოჩნდება კიდეც. არადა, ამ ორი ქვეყნის დაახლოება რეგიონისთვის ხომ გამოსადეგია და ურთიერთობების გაცივება ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას. აქ არის კიდევ ერთი ძალიან სერიოზული ფაქტორი და მე მინდა ამას ხაზი გავუსვა. ანუ ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის დაქვემდებარებაშია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. როცა დიდი ხანი არ არის, რაც ეს ურთიერთობა არსებობს. ეს მეტად თბილი მიდგომა იყო, რომ დარეგისტრირებულია კახში სამი ეკლესია, რომელიც დღეს მოქმედია. პლუს ამას აზერბაიჯანშიც და სხვაგანაც არის მართლმადიდებლური ეკლესია, ამ დროს კი ასეთი რამ ხდება... მოდით, შევადაროთ ახლა ერთი რამ: აი, სომხური ეკლესია საქართველოს ტერიტორიაზე ექვემდებარება გარეგინს. და ამ ფონზე რატომ, მაინცდამაინც, აზერბაიჯანული მუსულმანური ისლამური მორწმუნეთა შორის ასეთი პროცესი, ავტონომია მოხდა. დღეს, აზერბაიჯანულ საზოგადოებაში ინტეგრაციის დონე ძალიან დაბალია, აზერბაიჯანელების 80% არ არის ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. მე, ამას ღიად ვამბობ და არ მეშინია. დღეს, აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის განათლება ნულის ტოლია და ამაზე არავინ ფიქრობს. მეტიც, აზერბაიჯანელების ქართულ ენოვანი კადრების, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან ქართულ საზოგადოებასთან ძალიან დაბალ დონეზეა სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ინტეგრაცია. ზოგიერთი ვინც მუშაობს იმასაც კი თანამდებობიდან ხსნიან, მაგალითად, ზაირა მუსაევი რეინტეგრაციის სამინისტროში დაიბარეს და უთხრეს, რომ განთავისუფლებული ხარ სამსახურიდანო. აქვე ჩვენ, უნდა ვთქვათ ის, რომ პრივილეგია აქვთ ქურთებს, სომხებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, არა აზერბაიჯანელებს. არადა, საქართველო არის თითოეული აზერბაიჯანელის ოჯახი, სამშობლო და ჩვენ, საქართველო ძალიან გვიყვარს.

***— რას ითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისაგან, ბატონო ალი?***

— პრეზიდენტის ყურამდე უნდა მივიდეს ის, რომ ჩვენ, აზერბაიჯანელებს უამრავი პრობლემა გვაქვს საქართველოში და, აი, ამას უნდა მიხედოს ხელისუფლებამ.

***— არა მარტო თქვენ, დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს პრობლემები...***

— პრეზიდენტმა არ იცოდა, რომ მიწების საკითხი პრობლემა იყო და დააყენა ეს საკითხი და აპირებდნენ ამის მოგვარებას, თუმცა ეს თემა ისევ მიჩუმდა და პრობლემა პრობლემად დარჩა. აი, ეს ყველაფერი მოქმედებს ჩვენზეც. როცა მიწა არ გაქვს, სამსახური არ გაქვს და სხვა იძულებული ხდები, რომ საქართველო დატოვო და აი, ეს არის მთელი უბედურება. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ რაღაც ძალებს უნდათ ეს, რომ მოხდეს. ჩვენ, კი ყველანაირად ვცდილობთ, რომ არ ჩავერიოთ და ყურადღება არ მივაქციოთ ამ ყველაფერს. აზერბაიჯანის საზოგადოებაც ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთნი არიან ქართული ინტეგრირებული აზერბაიჯანელები, რომლებმაც იციან საქართველოს კანონმდებლობა, მეორენი კი დღეს, პრივილეგირებულნი არიან თანამდებობებით, აი, ამ ხალხს აძლევს ხელისუფლება ყველაფერს. წარმოიდგინეთ, პარლამენტში დეპუტატი ზის და ქართულად ვერ მსჯელობს, ამ დროს კი არის ხალხი, რომელსაც პარლამენტშიც შეუძლია თქვას თავისი სიტყვა, მაგრამ ასეთები დაბლოკილები არიან. პრივილეგია ეძლევათ მხოლოდ იმ აზერბაიჯანელებს, რომლებიც ხელისუფლების პოზიციას იზიარებენ. აი, ამ ადამიანების მეშვეობით მოვიდა მმართველი გუნდი უმრავლესობით პარლამენტში. დაახლოებით 25 დეპუტატია, რომელიც პროფესიონალია არჩევნების გაყალბების ამბავში ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან. ამიტომაც ხელისუფლებას ესეთი ადამიანების იზოლირება და მოცილება არ უნდა და იმიტომაც სხედან ეს ადამიანები პარლამენტში. ჩვენ ვართ საქართველოს მოქალაქეები და უნდა გვიცავდეს საქართველოს კონსტიტუცია დაგვიცავს, ვაართ დაცულები? არა. ჩვენ ასევე უკმაყოფილო ვართ განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმებით. განთლების სისტემაში 5 მინისტრი შევცვალეთ, ხუთივემ რეფორმები ჩაატარა, მაგრამ რა...ბატონი შაშკინის რეფორმები წინა მინისტრების მიერ გატარებულ რეფორმებთან შედარებით კი მომწონს და ასე თუ ისე, კმაყოფილი ვარ, მაგრამ შაშკინმა ბევრი რამ უნდა შეცვლოს. რეფორმა პირველ რიგში, კადრების შერჩევის მხრივ უნდა გაატაროს. თუ დირექტორმა ქართული ენა არ იცის, თუ რესურს ცენტრის დირექტორი გაგებაში არ არის ქართულის, განათლების სისტემა იქ როგორ წავა? 20 წლის განმავლობაში თითო დირექტორს ყოველ დღე ერთი სიტყვა, რომ



ესწავლა დღეს ჩემზე და ბევრ სხვაზე უკეთესად ილაპარაკებდა ქართულად, ისევე როგორც მასწავლებლები. დღეს, მოსწავლეთა 90% ატესტატს ვერ იღებს, იმ 12%, ან, რომელიც იღებს იქიდან 2% თუ ჩააბარებს უმაღლეს სასწავლებელში. აი, ამასაც არავინ არ აქცევს ყურადღებას და ესეც, რა თქმა უნდა, არის უბედურება. ამიტომ მე, ვურჩევდი ხელისუფლებას, რომ გახსნას საქართველოს, რომელიღაც უმაღლეს სასწავლებელში ეთნიკური უმცირესობის ენებზე პედაგოგიური პროფესიული მასწავლებლების აღზრდის საკითხი. ამასთანავე, ქართული ენა როგორც სახელმწიფო ენა უნდა იყოს პირველი და ყველა ძალა უნდა ვიხმაროთ, რომ ეთნიკური უმცირესობების სკოლებში ქართული ენა იყოს უმაღლეს დონეზე. ჩვენ, ამის მომხრე ვართ, აი, ამის მერე ვილაპარაკოთ ინგლისურზე და სხვა ენებზე. თუ აზერნაიჯანელებმა ქართული არ იციან როგორ უნდა ისწავლონ ინგლისური, ვის რათ უნდა შენი ინგლისური. დღესდღეობით, საქართველოში აზერბაიჯანული ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების რეგისტრაციაც არ არის, არც მეჩეთების. მე, ერთი რამ მინდა ვთქვა, აი, ზუსტად ის ახალშექმნილი სახელმწიფო მუსულმანური საზოგადოება, რომ ლაპარაკობს, ჩვენ, გავაკეთებთ იმას, რომ სტატუსი მიეცეს მეჩეთსო, რატომ აქამდე არ ზრუნავდნენ ის ბატონი დეპუტატები ამაზე? ჩვენ, რამდენი წელია ვყვირით, რატომ არ შეიძლება საქართველოში მეჩეთს ჰქონდეს სტატუსი თქო, როგორც ისლამური რელიგიის მორწმუნეთა სახლს. დღეს, ქვემო ქართლში არც ერთი მეჩეთი არ არის რეგისტრირებული, როგორც ისლამურ მორწმუნეთა სახლი. გააკეთონ კი ბატონო, მაგრამ რა სტატუსიც აქვს სარწმუნოებას იმას ნუ ეხებიან. ეს ძალიან ცუდი თამაშია მაშინ, როცა რელიგიასთან გაქვს საქმე. ეს რელიგია მუსულმანურ საზოგადოებაში საქართველოში ისედაც მრავალფეროვანია. დღეს, სუნიდები უყურებენ თურქეთს, შიიდები ირანს, ვაჰაბისტები არაბეთს და ამ განხეთქილებაში კიდევ ასეთი მანიპულაცია კარგს არაფერს მოუტანს ქართულ საზოგადოებას. ასევე გვაწუხებს ის, რომ ირღვევა ადამიანების უფლებები. სალაპარაკო ძალიან ბევრი გვაქვს და პრობლემებიც ბევრია, თუმცა ამაზე საუბარს საჯაროდ ვერ ვახერხებთ.

***— რატომ, ბატონო ალი?***

— სამწუხაროდ, მასმედიას ჩვენ არ ვაინტერესებთ, მეტიც, არ გვეკარებიან. მადლობა მინდა გადავუხადო ახალ თაობას, იმისთვის, რომ გვითმობს ტრიბუნას. ტელევიზიებს ჩვენი აზრი არ აინტერესებთ. აქვე გეტყვით კიდევ ერთ რამეს, აი, მე, მაგალითად ასეთ ცვლილებას შევიტანდი საარჩევნო კოდექსში. საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა დეპუტატობის უფლება არ უნდა ჰქონდეს, ვერ უნდა გახდეს დეპუტატი. აი, საკანონმდებლო ორგანომ ეს კანონი უნდა მიიღოს. კაცი, რომ ზის პარლამენტში, სადაც, ვთქვათ ,140 კაცი გამოდის და ლაპარაკობს ქართულად და მას კი არ ესმის ქართული, როგორ ზის იქ და საინტერესოა, რას აკეთებს? აი, მე, ეს ძალიან მაინტერესებს და ერთხელ უნდა ვთხოვო პარლამენტის თავჯდომარეს, რომ დამასწროს სხდომას , რომ ვუყურო, ვნახო რას აკეთებენ ეს ადამიანები. სძინავთ, წერენ, ფიქრობენ თუ...? პირდაპირ ვამბობ, ასეთ აზერბაიჯანელებს აზერბაიჯანულ საზოგადოებაში არ ვცნობთ. ამიტომ ჩვენ, გვინდა, რომ პარლამენტში იყვნენ ქართულ ენოვანი, სამშობლოსა და თავის ხალხზე შეყვარებული ადამიანები. აი, ასეთი დეპუტატები, რომ გვეყოლებიან პარლამენტში ჩვენ, აღარაფერი გაგვიჭირდება და პრობლემა არ გვექნება. ჩვენ, მშრომელი ხალხი ვართ, გვინდა, რომ ჩვენი უფლებები დავიცვათ, ვიცხოვროთ ნორმალურ, ცივილიზებიულ სახელმწიფოში და საქართველოს კონსტიტუცია იცავდეს ჩვენს უფლებებს. ეს არის და ეს...

# გადარჩენილი „ავაზელები“

*„მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს, რადგან სამშობლოს სიცოცხლე სურდათ!“*
**გრიგოლ აბაშიძე**

1993 წლის 2 ივლისი, ავადსახსენებელი ტამიშის დესანტის გადმოსხმის დღე. ენითაუწერელი სასაკლაო მოგვიწყეს აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულმა, კბილებამდე შეიარაღებულმა „ბოევიკებმა“. ერთ ღამეში ხუთასამდე სამამულე რქა ამოგვიწყვიტეს — ჩვენი პირტიტველა ბიჭები, დასკაცებას რომ ვერ მოასწრეს. დიდი გულით და ვაჟკაცური შემართებით რომ წავიდნენ, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე რომ არ გაუგდიათ იარაღი ხელიდან და ზურგი არ უჩვენეს მტერს.

წვანან დღეს ვალმოხდილი, ტანდაფლეთილი, გულგაგლეჯილი ჩვენი გმირები ძმათა თუ საგვარეულო საფლავებში.

2 ივლისი — ეს ის მწარე დღეა, რომელიც არც ერთ დენთნაყნოს ადამიანს არ ავიწყდება. ეს დღე გლოვის დღეა ჩვენი მებრძოლებისათვის. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი, არადა, უკვე 18 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ იარა არ ხორცდება. მაშინდელმა, როგორც ჩვენ ვეძახდით, ბიჭებმა, ტრადიციად აქციეს ამ დღეს მოინახულონ თანამებრძოლთა საფლავები და შეძლებისდაგვარად სათანადო პატივი მიაგონ მათ ხსოვნას. მართალია დღეს ეს ნამაირი ადამიანები ღვთის ანაბარად არიან დარჩენილი, ყოველგვარი პატივისა და ღირსეული დაფასების გარეშე, მაგრამ ურთიერთსიყვარული და თანადგომა მაინც აძლებინებთ. არც ერთმანეთს ივიწყებენ



და არც დაღუპულ თანამებრძოლებს. მათი მეთაურის ვახტანგ გორგასლის I-II-III ხარისხის ორდენების კავალერი, პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი საპატიმროშია გამოკეტილი, რატომ? — იმიტომ.

2 ივლისს გადარჩენილმა „ავაზელებმა“ ძმებმა გოჩა და სოსოს თუშიშვილებმა, ზაურ, გელა, ემზარ მახათაძეებმა, დათო გელაშვილმა, ჯაბა კაპანაძემ, უშანგი მეხუაძემ, ზურა ტატიშვილმა, ვიტალი რევაზიშვილმა, ვალერი მაისურაძემ, გია წითელაშვილმა, შალვა ხიტირმა, გია ბუცხრიკიძემ, ლია ოდიშვილმა, თეა ღურწკაიამ და სხვებმა საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე პატივი მიაგეს: მიშა ვარდიაშვილის, გივი რობაქიძის, ბახვა გოგოლაძის და სხვათა ნათელ ხსოვნას — სულ 78 ვაჟკაცი დაკარგეს იმ ღამეს „ავაზელებმა“. აქვე ოთხი ამოუცნობი „ავაზელის“ საძმო საფლავია, რომელიც კაპიტან დავით ჩუბინიძის ძალისხმევით გაკეთდა.

საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე სახელდახელოდ აშენებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, რომლის წინამძღვარმა დაღუპულ, წამებულ ვაჟკაცებს პანაშვიდი გადაუხადა. „ავაზელებმა“ მოკრძალებული სუფრით და სასმისით დაღუპულების შესანდობარი შესვეს. ცრემლი, ტკივილი, ღიმილი ერთმანეთს ერწყმოდა. იგონებდნენ მათ ვაჟკაცობასაც და კურიოზებსაც. ბიჭებმა — აწ უკვე ვეტერანებმა გამორჩეული სიყვარულით შესვეს მათი თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის სადღეგრძელო.

დღეს ჩვენი ცოცხლად გადარჩენილი ბიჭები-ვეტერანებისათვის მოურჩენელ ჭრილობად რჩება სულის ტკივილი, რასაც დაღუპული თანამებრძოლები ჰქვია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი ლამაზი სულები. მათი სახელების უკვდავყოფა ხომ თითოეულდი ჩვენგანის ვალია.

***ბატალიონ „ავაზას“ სამხედრო ჟურნალისტი, წიგნების „უკვდავების“ მთავარი რედაქტორი, ღირსების მედლის კავალერი, შეიარაღებული ძალების ვეტერანი***
**ნარგიზა ლომთა ე**

# ეროვნულმა კინოცენტრმა ჟურნალი გამოუშვა

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიას“ ტერასაზე საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა ახალი ჟურნალის „ ფილმპრინტის“ პირველი ზაფხულის ნომრის პრეზენტაცია გამართა. როგორც პრეზენტაციაზე შეკრებილ ჟურანლისტებს ჟურნალის შემქმნელებმა განუცხადეს, ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოვა და ყოველ ნომერზე რედაქტორთა ახალი ჯგუფი იმუშავებს. „ფილმპრინტს“ ეროვნული კინოცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცემს.

„ფილმპრინტის“ პრეზენტაციამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში კულტურის სამინისტროს „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში გამოცემული ორი ახალი წიგნის პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო წიგნები — ქართულ ენაზე გამოცემული ალექსანდრე პუშკინის „ევგენი ონეგინი“. ლეილა კაჭარავას თარგმანმა ფართო მკითხველს საშუალება მისცა, ამ გენიალურ პოემას უკვე მშობლიურ ენაზე გასცნობოდა, ასევე მწერლის, ჟურნალისტისა და სცენარისტის ი. ობოლენსკის წიგნი „ღირსების ფასი, ქართველი ქმრების ისტორია“ რუსულ ენაზე. წიგნი მკითხველს სხვადასხვა ასპექტით აცნობს ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ და, წიგნის ავტორის თქმით, უდიდესი გავლენა მოახდინეს XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის განვითარებაზე. მათ შორის არიან ალექსანდრე და გიორგი შერვაშიძეები, კონსტანტინე და მიხეილ ანდრონიკოვები, ჯორჯ ბალანჩინი, ჩერჩილის მრჩეველი მერაბ კვიტაშვილი და მრავალი სხვა. წიგნში თავმოყრილია ამ მოღვაწეთა შთამომავლების პირად არქივებში მოძიებული 100-ზე მეტი უნიკალური ფოტო. 2011 წლის ბოლოსთვის სამინისტროს მხარდაჭერით იგეგმება აღნიშნული წიგნის ინგლისური ვერსიის გამოცემა. გასულ წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით გამოიცა ამავე ავტორის მიერ მომზადებული წიგნი „სილამაზის ბედი, ქართველი ცოლების ისტორიები“, რომელიც რამდენიმე თვეში ბესტსელერად იქცა და იმავე წელს სამინისტროს ეგიდით ფრანგულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

ჟურნალ „ფილმპრინტის“ პრეზენტაციაზე მიწვეულ სტუმრებს შორის კი იყვნენ ქართველი კინემატოგრაფისტები და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

**თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:**

— ჟურნალის მიზანია ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. გამოცემაში არის ძალიან საინტერესო რუბრიკები, წარმოჩენილია ყველა ის საფუძველი, რომელზეც იგება სწორი ფილმწარმოება. მასში სხვადასხვა ტიპის რეცენზიებია. დიდი ადგილი უჭირავს კინოში დასაქმებული ადამიანების ხედვასა და პრობლემატიკას. მგონია, რომ უკვე ნამდვილად დაგროვდა საკმაო ინფორმაცია კინოზე. ამ სექტორის განვითარება კი კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და დიდი პრიორიტეტია. ჩვენ გვინდა, გავაგებინოთ ყველას, რა ხდება ქართულ კინოში და როგორი შეიძლება იყოს ახალი კინოტალღა.

— ვინ იმუშავებს ჟურნალზე?

— ყველა ნომერს ეყოლება ახალი რედაქტორთა ჯგუფი. პირველ ნომერში რედაქტორებმა გააერთიანეს ყველა ის სიახლე, რაც ბოლო პერიოდში ქართულ კინოში მოხდა. ეს ჟურნალი არ გაიყიდება, იგი დარიგდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. წლის ბოლოს კი საუკეთესო სტასიები ინგლისურ ენაზე ითარგმნება.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— პირველ რიგში, ყველა კინომოყვარულს ვულოცავ ამ ჟურნალის დაარსებას. ის გათვლილია სხვადასხვა გემოვნების მკითხველზე და თავისი შინაარსით ძალიან ფართო და ყოვლისმომცველია. „ფილმპრინტი“ გამოიცემა სამ თვეში ერთხელ, რადგან ყოველთვიური ან ყოველკვირეული ჟურნალი კინოზე ბევრ ინფორმაციას ვერ მოაგროვებს. „ფილმპრინტი“ საკმაოდ მრავალფეროვანია და გააერთიანებს სხვადასხვა ავტორს. გამოცემა არ არის მხოლოდ ქართულ კინემატოგრაფზე, არამედ ის არის ზოგადად კინოზე, იქ მიმდინარე სიახლეებზე, თუმცა, წამყვანი ადგილი, რა თქმა უნდა, ქართულ კინოს უკავია, რადგან მისი განვითარება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. საბედნიეროდ, ქართულ კინოში სიახლე მრავლად არის, ამ ყველაფერს კი „ფილმპრინტი“ კვარტალში ერთხელ გააერთიანებს.

# სუხიშვილები ბათუმში იცეკვებენ

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ქართულმა ბრენდმა, „სუხიშვილებმა“ და „ბორჯომმა“, სულ ახლახან გააფორმეს მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ეს ორი უძველესი ქართული კომპანია გაერთიანდა და ამიერიდან ერთობლივ ღონისძიებებს ჩაატარებენ.

კონცერტზე დასასწრები ბილეთები ბათუმის თეატრის სალაროებში გაიყიდება. საკონცერტო პროგრამაში მოცეკვავეები ახალ ცეკვებს წარმოადგენენ. გადატვირთული საგასტროლო გრაფიკის მიუხედავად, სუხიშვილები ყოველთვის იცლიან საქართველოში კონცერტების ჩასატარებლად. მათ საკუთარი პროგრამა უკვე წარუდგინეს თელაველ მაყურებელს. მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო მარათონში „ხელოვანები თანადგომისთვის“, სადაც მათი კომერციული პროექტი „ასსა“ არსებობის ათი წლის მანძილზე პირველად ჩაერთო ქველმოქმედებაში. „თბილისი არტ ჰოლში“ სუხიშვილები სისტემატურად მართავენ პროექტს „ნოსტალგია“, რომელზეც ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული კლასიკური ცეკვებია წარმოდგენილი. ხშირად „ნოსტალგია“ საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. გასულ თვეში კი მოცეკვავეებმა დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილი მაყურებლის წინაშე უმცროსი ილიკო სუხიშვილის მიერ ბოლო პერიოდში დადგმული ყველა თანამედროვე ცეკვა შეასრულეს. ამ დღეს პირველად შესრულდა უხმო ხორუმიც, რომლის დევიზიც იყო „უსმინე საკუთარ გულისცემას“. აქტიური მოღვაწეობის პარალელურად, ზაფხულში ყველაზე ხშირად სუხიშვილებს საკუთარი პროგრამის წარდგენა სწორედ ბათუმში უწევთ.

# საქართველოს ავტორთა საზოგადოებას ახალი ვებ-გვერდი ექნება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ავტორთა საზოგადოებას ახალი ვებ-გვერდი ექნება, რომლის პრეზენტაციაც 9 ივლისს არის დაგეგმილი. ეს სიახლე ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძემ საავტორო უფლებებით სარგებლობის ახალი ტარიფების დაწესების შესახებ თეატრის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე გაახმაურა.

ახალი ვებ-გვერდი 10 ივლისიდან ამოქმედდება. ყველა მოსარგებლეს საკუთარი აიდი ნომერი ექნება, რითაც მათ მიერ ავტორებისთვის გადარიცხული თანხის ნახვა შეეძლებათ.

მანამდე კი საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე ეტაპობრივად ხვდება კულტურის სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებს და მათ საკუთარ სამომავლო გეგმებზე ესაუბრება. გასულ კვირას გიგა კობალაძემ შეხვედრა საქართველოში მოქმედი თეატრების ხელმძღვანელებთან გამართა. პროგრამის პრეზენტაცია გიგა კობალაძესთან ერთად მისმა მოადგილემ თამარ კემულარიამაც მოაწყო. შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ შენობაში შედგა. შეხვედრა თეატრებისათვის საავტორო უფლებებით სარგებლობის ახალი ტარიფების დაწესებას შეეხებოდა. შეხვედრაზე შედგა პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც გულისხმობს სატარიფო პოლიტიკის რეფორმირებას, არსებული რეალობის გათვალისწინებით თეატრებისათვის საავტორო უფლებების გამოყენების ტარიფების დაწევასა და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

— საქართველოში მოქმედ თეატრებს ჩვენ ვთავაზობთ დაბალ ტარიფებს, ახალ სატარიფო პოლიტიკას, რომელიც შეეხება საავტორო უფლებების პოლიტიკის გაუმჯობესებას. დღემდე არსებული ტარიფები, ჩვენი აზრით, იყო საკმაოდ მაღალი. ჩვენ ლიბერალიზაციისა და განაკვეთის შემცირების გზით მივდივართ. თეატრის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ვისმენთ მათ აზრს და დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი ორივე მხარისთვის სასარგებლოდ გადაწყდება, — განაცხადა ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძემ.

შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს ავტორთა საზოგადოების მიერ თეატრების მიმართ აღძრული სასამართლო დავების დარეგულირებისა და მათი გადაწყვეტის გზებზე.

— ძალიან საინტერესო და შედეგიანი დისკუსია გვქონდა. იყო საინტერესო წინადადებებიც. ერთიანი მოსაზრებების შეჯერებით კი მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთობლივი შეთანხმებაა მთავარი. თუკი ასე მოხდება, დისკომფორტი არც ჩვენ გვექნება და არც მეორე მხარეს. ასე ყველანი ორიენტირებული ვიქნებით იმაზე, რომ საინტერესოდ ვიმუშავოთ და ჩვენი მომხმარებელი, მაყურებელი იყოს კმაყოფილი, — აღნიშნა მარჯანიშვილის თეატრის მმართველმა ეკა მაზმიშვილმა.

თეატრის მმართველებთან შეხვედრის შემდეგ გიგა კობალაძე უკვე შოუბიზნესის წარმომადგენლებს კინოთეატრ „ამირანში“ შეხვდა. შოუბიზნესის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სპეციალურ განცხადებას, რომლის თანახმადაც, ისინი საქართველოს ავტორთა საზოგადოებაში გაწევრიანდნენ. მომღერლებმა გამოთქვეს სურვილი, ავტორთა საზოგადოებამ დაიცვას მომიჯნავე უფლებებიც, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს შემსრულებლებისათვის კუთვნილი ჰონორარების შეგროვებასა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენას.

— ავტორთა და შემსრულებელთა უფლებების ერთობლივი დაცვა ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრასა და ქართული შოუბიზნესის განვითარებას. ამ სურვილის დაფიქსირების შემდეგ ამ საკითხს უკვე გავიტანთ საერთო კრებაზე. თუკი 9 ივლისს საერთო კრება ამ წინადადებას მხარს დაუჭერს, მაშინ ავტორთა საზოგადოების კომპეტენცია გაფართოვდება. ჩვენი საზოგადოება უკვე შეძლებს დაიცვას როგორც ავტორების, ასევე შემსრულებლების უფლებები, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამ დარგის განვითარებაზე, — განმარტა საქართველოს ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელმა გიგა კობალაძემ.

სპეციალურ განცხადებას კინოთეატრ „ამირანში“ ხელი მოაწერეს მერაბ სეფაშვილმა, დავით გომართელმა, ნინი ბადურაშვილმა, ქრისტინე იმედაძემ, კახა ცისკარიძემ, სოფო ხალვაშმა, ნიაზ დიასამიძემ, ზაზა კორინთელმა (ზუმბა), გაგა ჩიხლაძემ, ნოდიკო ტატიშვილმა, გიორგი სუხიტაშვილმა, მერაბ სანოძემ და სხვა ცნობილმა ქართველმა შემსრულებლებმა.

— ძალიან სასიხარულოა, რომ ავტორთა საზოგადოება საავტორო უფლებების მიმართ რეალურ ღონისძიებებს ახორციელებს. ჩვენ ხელი მოვაწერეთ სპეციალურ განცხადებას, რომელიც ითვალისწინებს ავტორთა უფლებების დაცვასთან ერთად შემსრულებელთა უფლებების დაცვასაც. ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ავტორთა საზოგადოების მიერ არის გადადგმული, საბოლოოდ გახდება იმის საფუძველი, რომ ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოევლება და ყველანაირი საავტორო უფლება საქართველოში დაცული იქნება, — განაცხადა მომღერალმა სოფო ხალვაშმა.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)




## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი პაციენტის შესაძლებლობის მიხედვით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 296-38-27; 593-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 590-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# დომინიკ სტროს-კანის პროცესი შეიძლება ჩაიშალოს

ამერიკულ პრესაში გამოჩნდა ვარაუდი, თითქოს მსოფლიო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის დომინიკ სტროს-კანის პროცესი შეწყვეტის პირას იმყოფებოდეს. გავრცელებული ცნობების თანახმად, ბრალდების მხარე დაზარალებულის ჩვენებების მართებულობით დაეჭვდა.

გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ თანახმად, ცოტა ხნის წინ ნიუ იორკის პროოკურატურის წარმომადგენლები სტროს-კანის ადვოკატებს შეხვდნენ.

სტროს-კანს ნიუ იორკის სასტუმრო „სოფიტელის“ მოახლის მიმართ შეუფერებელი ხასიათის სექსუალური ქმედების ბრალდებები აქვს წაყენებული. ამ სასტუმროში იგი 14 მაისს დაბინავდა.

32 წლის გვინეელი იმიგრანტის ჩვენებების საფუძველზე პოლიტიკოსი პარიზისაკენ მიმავალი თვითმფრინავიდან გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩამოსვეს.

„ნიუ იორკ თაიმსის“ თანახმად, სტროს-კანის ადვოკატებთან შეხვედრის დროს პროკურატურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გამოძიების განმავლობაში მოახლემ არაერთხელ იცრუა და რომ პროკურატურას მისი ჩვენებების ნამდვილობაში ეჭვი ეპარება.

გამორიცხული არ არის, რომ მოახლე, გარდა ამისა, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფულის გათეთრებაში იყოს გარეული.

ამერიკულმა გაზეთებმა პროკურატურის წარმომადგენლებზე მითითებით განაცხადეს, რომ ინციდენტის დროს მოახლე ტელეფონით ესაუბრებოდა ვიღაც მამაკაცს და სტროს-კანისათვის ბრალდებების წაყენების შემთხვევაში კუთვნილ ჯილდოზე საუბრობდა.

ეს საუბარი, „ნიუ იორკ თაიმსის“ თანახმად, სამართალდამცავებმა ჩაიწერეს.



როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოახლის თანამოსაუბრე 180 კგ მარიხუანას შენახვისათვის დააკავეს. იგი იმ პირთა ჯგუფს განეკუთვნებოდა, ვინც მოახლის საბანკო ანგარიშზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი თანხა, საერთო ჯამში, 100 ათასი დოლარი გადარიცხა.

გარდა ამისა, ერთ-ერთმა პროკურორმა განაცხადა, რომ თავის დროზე მოახლემ ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ დოკუმენტებში განაცხადა, რომ იგი გააუპატიურეს, მაგრამ მოგვიანებით შემოწმებამ მისი სიტყვების უსაფუძვლობა დაადასტურა.

მომჩივნის ჩვენებებით ამერიკელი პროკურორების დაეჭვებამ საფრანგეთში აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც ფრანგული გაზეთები ამბობენ, ამ ინფორმაციამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი მოახდინა.

საფრანგეთში დომინიკ სტროს-კანი პრეზიდენტის არჩევნებში სოციალისტური პარტიის წამყვან კანდიდატად ითვლებოდა. „სტროს-კანი უდანაშაულოა“, „ვინ ჩაუშვა სტროს-კანი“ — ასეთია ფრანგული მედიის განწყობილება.

საფრანგეთში მრავალი მოქალაქე დარწმუნებულია, რომ სტროს-კანი პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი გახდა.

დაკავების შემდეგ მსოფლიოს სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი ოთხი დღის განმავლობაში ნიუ იორკის რაიკერს-აილენდის ციხეში იმყოფებოდა, რის შემდეგაც იგი თავდებით გაათავისუფლეს.

ამჟამად სტროს-კანი ნიუ იორკში, შინაპატიმრობაში იმყოფება. მისმა მეუღლემ თავდაპირველად მანჰეტენზე ფეშენებელური ბინა იქირავა, მოგვიანებით კი ცალკე სახლი დაიქირავა.

სტროს-კანს შეიარაღებული დაცვა აქვს მიჩენილი. შენობა მუდმივად პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, თავად ბრალდებული კი კოჭზე სპეციალურ ელექტრონულ ხელსაწყოს ატარებს.

# ავტომობილი თუ კიდევ ერთი შვილი?

ინდოეთში, რაჯასტანის შტატში, მოსახლეობის მკვეთრი ზრდის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო. შტატის ხელისუფლები მოქალაქეებს ახალი ავტომობილისა და სხვა პრიზების სანაცვლოდ, რომლებსაც ლატარიით



ათამაშებენ, სტერილიზაციის უფასო ოპერაციას სთავაზობენ.

ინდოეთის ხელისუფლები ქვეყანაში მოსახლეობის ზრდის ტემპით არიან შეშფოთებული. ინდოეთმა, თუ ასე გაგრძელდა, 2030 წელს ჩინეთს უნდა გაასწროს.

გაეროს შესაბამისი ფონდის მონაცემებით, ინდოეთში შობადობის კოეფიციენტი, ანუ ერთ ქალზე მოსული ბავშვების რაოდენობა 2.588-ს შეადგენს, რაც უკიდურესად მაღალი მაჩვენებელია.

სპეციალისტების ერთი ნაწილის თანახმად, ავტომობილის მიღების შესაძლებლობა მინიმუმ 20 ათასი ინდოელისათვის სტერილიზაციის ოპერაციის გასაკეთებლად საკმარისი სტიმული შეიძლება გამოდგეს.

გარდა მსოფლიოში ყველაზე იაფი ავტომობილის, ინდური „ტატა ნანოსი“ გათამაშებაშია აგრეთვე მოტოციკლები, ტელევიზორები, სამზარეულოს ბლენდერები.

ეს წინადადება მთელ ინდოეთზე ვრცელდება, რადგან ანალოგიურ პროგრამებს ინდოეთის სხვა რეგიონებიც იწყებენ.

ინდოეთში 199970-იან წლებში ოჯახის დაგეგმვის ეროვნული პროგრამა ერთხელ უკვე დაიწყო. მაშინ, იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, ინდირა განდის ვაჟის, სანჯეი განდის ინიციატივით ნებისმიერ მამაკაცს, რომელსაც ორზე მეტი შვილი ჰყავდა, ვაზექტომიის ოპერაცია უნდა გაეკეთებინა.

მაშინ ეს კამპანია სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რის გამოც მრავალი საყვედური გამოიწვია და ბოლოს იგი შეწყვიტეს კიდეც.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ ცხადაძის მოგონება



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ნოდარ! შენმა უეცარმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა ყველას. იმაზე შემზარავი არაფერია, ტრაგიკულად დაკარგო ქვეყანაზე ყველაზე ძვირფასი ადამიანი. ნოდარ, შენ ხომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ქვეყნის სიყვარულისთვის გასწირე თავი და მან კი დიდი ცოდვა დაუდო თავის შთამომავლობას, ვინც შენ ასე მოგექცა.

მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი გიახლოვდებოდა, ბოლო წუთამდე ურყევად იდექი. ამბობდი: სამშობლოს მართმევენ, ეროვნულ ტრადიციებს მისპობენო. შენი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე იყავი მაგალითი ჭეშმარიტი ქართველისა, გამოირჩეოდი დიდი სიკეთით, სიმართლით და ინტელექტით.

დიდი ტკივილი დაუტოვე შენს ოჯახს, დედას, საყვარელ მეუღლეს ნატალიას და შესანიშნავად აღზრდილ შვილებს.

ჩვენთვის უშენობა ძალზე ძნელია, რამდენი ტკივილი დაგვიტოვე შენი წასვლით შენს საყვარელ ადამიანებს. შენ ყოველთვის კეთილ, სამართლიან და საიმედო მეგობრად დარჩები ჩვენს გულებში.

ნოდარ! ძალზე გვიჭირს უშენობა. გვენატრები და გვაკლიხარ ყველას. მოვდივართ შენს საფლავზე, ვანთებთ სანთელს, ვლოცულობთ შენი სულისთვის, ჩვენო ერთგულო და თბილო ადამიანო.

გვენატრები და გვიყვარხარ, ნოდარ!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*თანამებრძოლები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## რა თვალით გიყურებთ უფროსი?

ტესტი



***1. უფროსმა მოკლე ანგარიშის ჩასაბარებლად გამოგიძახათ. როგორ დაიწყებთ საუბარს?***

ა. საქმის ვითარების გაცნობით. ბ. შედეგებით. გ. ზოგადი თემებით.

***2. უფროსი მართალი არ არის. როგორ მოიქცევით?***

ა. შეცდომას არ შევამჩნევ. ბ. ავუხსნი, რომ ცდება. გ. ყველაფერს ისე ვიტყვი, როგორც არის.

***3. უფროსი არასასიამოვნო დავალების მოცემას გიპირებთ. როგორ მოიქცევით?***

ა. გავუგებ უფროსს. ბ. უხალისოდ შევასრულებ. გ. შევეცდები, ავიცდინო.

***4. შეფმა გაგაკრიტიკათ. როგორ მოიქცევით?***

ა. შეცდომებს გამოვასწორებ. ბ. ხმას არ ამოვიღებ. გ. შევეცდები, თავი დავიცვა.

***5. გინდათ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ შეფზე. შეეცდებით:***

ა. საქმეში ფხა გამოიჩინოთ. ბ. სამუშაო დროზე შეასრულოთ. გ. მომავალ წარმატებებზე ვესაუბრები.

***6. საზოგადოებრივი თანხის დახარჯვის საშუალება გაქვთ. როგორ მოიქცევით?***

ა. დაზოგავთ. ბ. დაუფიქრებლად დახარჯავთ. გ. თქვენ სასარგებლოდ მოიხმართ.

**პასუხები შეაფასეთ ასე: ა. — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა გ. — 3 ქულა**

**პასუხები**

**6-10 ქულა:** შეფთან პრობლემები არ გაქვთ. იგი გაფასებთ, როგორც უნარიან და შემსრულებელ თანამშრომელს.

**11-14 ქულა:** ახერხებთ, თავი გაართვათ თქვენს მოვალეობებს და უფროსთან კონფლიქტიც აიცილოთ. თუმცა, უსიამოვნო სიტუაციებშიც ხვდებით.

**15-18 ქულა:** შეფთან ხშირად გაქვთ კონფლიქტები.

## კროსვორდი



1. ყვავილი. 2. ნიავი; 3. ტაბლეტი; 4. ბოლო ნოტი; 5. ვარცხნილობის სტილი; 6. დედამიწის ბრტყელი მოდელი; 7. დიდი ზომის ირემი; 8. სკანდინავიელთა უმაღლესი ღვთაება; 9. მზვერავი გემი; 10. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 11. კათოლიკური წირვა; 12. სახელმწიფო აზიაში; 13. პოეტი-მომღერალი შუა აზიაში; 14. დასამტკიცებელი დებულება; 15. შუშა; 16. გაზაფხულის თვე; 17. შლამის თევზი; 18. ოლივერ... (ინგლისელი მოღვაწე); 19. იბსენის დრამა; 20. ...დეპარდიე; 21. ...გრინი; 22. სამუშაო ოთახი; 23. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 24. კატის ხმიანობა; 25. ...კრუზი; 26. პატარა საწნახელი; 27. ძვირფასი ქვა; 28. სოფელი ქედის რაიონში; 29. სუნთქვის დროებითი შეჩერება; 30. ყველაზე პატარა საგანი; 31. საყანედ გაკაფული ტყე; 32. მტაცებელი ცხოველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქუთაისი; 2. თეორემა; 3. ედინბურგი; 4. სტელსი; 5. ტრანსი; 9. დასტა; 10. პრატერი; 14. პრიორიტეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. იდილია; 19. ფანდური; 20. კამორა; 21. პითონი.

**თარაზულად:** 6. ვუნდერკინდი; 7. ტოსტერი; 8. ბაიერი; 11. ლაფსუსი; 12. ამირა; 13. გრანიტი; 17. გოლზუორთი; 18. ანდალუზია; 22. შარდონე; 23. იდიოტია; 24. ერისიონი; 25. მისტრალი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. სენტო; 3. ფლინტი; 5. ურანი; 6. ნიჟარაძე; 8. პრეფერანსი; 10. გილაური; 12. კანბერა; 14. ცეზურა; 15. ბატიკი; 16. ოჰარა.

**თარაზულად:** 1. ჰენესი; 4. პულმანი; 7. ჰუნდაი; 9. ტუნიკა; 11. თერაპია; 12. კაკაბაძე; 13. ჟაკანი; 17. პრერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. სიბარიტი.

# კოპა ამერიკა სენსაციით დაიწყო

**არგენტინა-ბოლივია 1:1**

*0:1 ედივალდო (48), 1:1 აგუერო (76)*

**არგენტინა:** რომერო, ძანეტი, ბურდისო, მილიტო, როხო, ბანეგა, მასკერანო, კამბიასო (დი მარია 46), მესი, ლავესი (აგუერო 71), ტევესი

**ბოლივია:** არიასი, რალდესი, ალვარესი, რივერო, გუტიერესი, ვაკა (ჩავესი 64), რობლესი, ფლორესი, კამპოსი (არსე 80), ედივალდო (კარდოსო 90), მარტინსი

კოპა ამერიკის 43-ე გათამაშება სენსაციურად დაიწყო. ტურნირის მასპინძელმა და უმთავრესმა ფავორიტმა, არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა ბოლივიასთან ქულები დაკარგა.

მთელი შეხვედრის განმავლობაში, ბოლივია მასპინძელ გუნდს მინიმუმ არ ჩამოუვარდებოდა და შესაბამისად, შეგვიძლია დაფიქსირებული შედეგი კანონზომიერად მივიჩნიოთ. საწყის წუთებში, სტუმრები არგენტინის გუნდის შეუთამაშებლობით სარგებლობდნენ და უპირატესობას ფლობდნენ. დაახლოებით მე-20 წუთისთვის, ბატისტას შეგირდებმა თამაშს უმატეს და ლიონელ მესის აქტიურობის შემდეგ, არიასის კართან 3 სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ შედეგიანი დარტყმით ვერც ერთი მათგანი ვერ დასრულდა. ლიონელ მესიზე უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში იგი არგენტინელთაგან ყველაზე აქტიური იყო, მაგრამ ვერც შესვენებამდე და ვერც თამაშის განახლების შემდეგ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჩვეულად ვერ ბრწყინავდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებმა სტუმარი გუნდის უპირატესობით ჩაიარეს, მაგრამ რომეროს კართან რეალურად სახიფათო მომენტი შესვენებამდე არ შექმნილა.

შეხვედრა 3 წუთის განახლებული იყო, როდესაც კამპოსმა კუთხურიდან ბურთი საჯარიმოში დაბალი ტრაექტორიით გაგზავნა. თანაგუნდელის გადაცემას ედივალდო როხასი გამოეხმაურა, რომელმაც ქუსლით არცთუ ძლიერი დარტყმით ანგარიშის გახსნა.

არგენტინამ დალაგებულად თამაში ვერც გოლის გაშვების შემდეგ დაიწყო. ბურთს ძირითადად მასპინძლები ფლობდნენ და თამაშიც ბოლივიის ნახევარზე მიდიოდა, მაგრამ არიასის კართან სიტუაცია ხშირად არ იძაბებოდა. 58-ე წუთზე, ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩენილი მესი ცდილობდა მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებით ეფექტური გოლის გატანას, მაგრამ ბოლივიელთა კიპერი არგენტინელ ვარსკვლავს ჩანაფიქრს მიუხვდა. 65-ე წუთზე, არგენტინა მე-2 გოლის გაშვებისგან მორენომ იხსნა. მოედნის ცენტრში ბურთი მესიმ დაკარგა, რასაც სტუმარი გუნდის კონტრშეტევა და კარგი გადაცემით მარსელო მორენო მარტინსის მეკარესთან პირისპირ გასვლა მოჰყვა. მორენომ მეტოქე გუნდის შემტევს ჯერ მოტყუებისა და ბურთის ცარიელ კარში გატანის საშუალება არ მისცა, შემდეგ კი, ბოლივიელს ახლო მანძილიდან დარტყმულიც აუღო.

სერხიო ბატისტამ გუნდის გამოცოცხლება ლავესის ნაცვლად მოედანზე სერხიო აგუერის შეშვებით სცადა. ჯერ კიდევ მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელმა მასპინძლების თამაში აშკარად გამოასწორა და რომ არა იგი, დიდი ალბათობით, „ალბისელესტე" 1979 წლის შემდეგ პირველად წააგებდა კოპა ამერიკის პირველ მატჩში. 32 წლის წინათ, არგენტინა სწორედ ბოლივიამ დაამარცხა.

აგუერომ თავის გამოჩენა მოედანზე შესვლიდან ხუთ წუთში მოახერხა. შეტევის მარცხენა ფლანგზე მოთამაშე არგენტინელებმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდეს, სადაც მკერდით კარგად ითამაშა ბურდისომ, რომლის პასის შემდეგაც, ერთი შეხებით დარტყმით, აგუერომ ეფექტური გოლი გაიტანა. ორ წუთში, აგუერო ისევ შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ჭკვიანური დარტყმით სცადა არგენტინის წინ გაყვანა, მაგრამ მას მეკარემ აუღო, ხოლო დამატებაზე მოთამაშე დი მარიამ, ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი კარს ააცილა.

შეხვედრის დარჩენილ წუთებში, არგენტინამ გამარჯვების გოლის გატანას მცდელობა არ დააკლო, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ ბატისტას გუნდს იმ თამაშის ჩვენება ძალიან უჭირდა, რომელმაც არგენტინელებს კოპა ამერიკა უნდა მოაგებინოს.

**კოლუმბია-კოსტა რიკა 1:0**

*1:0 რამოსი (45)*

**კოლუმბია:** მარტინესი, სუნიგა, პერეა, იეპესი, არმერო, ბოლივარი, გუარინი, მორენო (გუტიერესი 70), აგილარი (როდალეგა 34), რამოსი, ფალკაო (სოტო 77)

**კოსტა რიკა:** მორეირა, დუარტე, აკოსტა, კალვო, ლეალი, მორა, გუზმანი (კუბერო 74), მადრიგალი (მარტინესი 72), სალვატიერა, ბრენესი, კემპბელი (ელისონდო 45)

**გაძევება:** ბრენესი 28.

კოპა ამერიკის მიმდინარე გათამაშების მე-2 მატჩში თავიდანვე ფავორიტად შერაცხულმა გუნდმა მოიგო, რომელმაც ა ჯგუფის ლიდერობაც მოიპოვა. კოლუმბიის ეროვნულმა ნაკრებმა, შეხვედრის დიდი ნაწილის განმავლობაში 10 კაცით მოთამაშე კოსტა რიკას მინიმალური სხვაობით სძლია.

ერნან დარიო გომესის შეგირდები სან სალვადორ დე ხუხუიში გამართული მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ დიდ უპირატესობას, მაგრამ კოლუმბიელებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს მეტოქის კარის აღება. სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, დაახლოებით 20 წუთით ადრე, მოედნის ცენტრში უხეშად თამაშის გამო, ბრენესს არბიტრმა პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენა და ნომინალური სტუმრები რთულ მდგომარეობაში ჩააგდო.

მატჩის ერთადერთი გოლი 45-ე წუთზე გავიდა, როდესაც ფრედი გუარინის ძალიან კარგი გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა ადრიან რამოსმა მთელი შეხვედრის განმავლობაში კარგად მოთამაშე ლეონელ გარსია მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში გაიტანა.

მატჩის იმედგაცრუება იყო კოლუმბიელთა უმთავრესი იმედი, რადამელ ფალკაო. იმის თქმა არ შეიძლება, რომ „პორტუს" შემტევი ჩრდილში იყო, მაგრამ გასული სეზონის უმაღლეს დონეზე ჩატარების შემდეგ, კოლუმბილები მისგან ბევრად მეტს ელიან.

**სატურნირო მდგომარეობა:**

**ა ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.კოლუმბია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 2.არგენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3.ბოლივია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4.კოსტა რიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

# გოგუა „კრასნოდარში", თარგამაძე — „მეტალისტში"

უკრაინასა და რუსეთში საფეხბურთო შესვენებებია და ეს პერიოდი ტრანსფერებისთვის არის გამოყოფილი. გასაკვირი არ არის, რომ სატრანსფერო ციებცხელებაში ქართველებიც მონაწილეობენ.

რუსული მედიის ცნობით, ოთარ მარცვალაძის კვალს გაჰყვება ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" 27 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა, რომელიც კარიერას „კრასნოდარში" გააგრძელებს.

მანამდე „კრასნოდარში" ნიჟეგოროდული გუნდიდან ოთარ მარცვალაძე გადავიდა და მოსალოდნელია, რომ სამხრეთრუსულ კლუბს კიდევ გია გრიგალავა და გოჩა ხოჯავა შეუერთდებიან.

ეს ტრანსფერები კი, იმ ფაქტს უკავშირდება, რომ რუსული მედიის ცნობით, „კრასნოდარის" სპორტული დირექტორი მამუკა ჯულელი გახდება, რომელსაც მანამდე ანალოგიური თანამდებობა მახაჩყალის „ანჟისა" და „ვოლგაში" ეკავა. მისი მიწვევის ინიციატორი კრასნოდარული კლუბის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი ვლადიმირ ხაშიგი აღმოჩნდა, რომელიც ჯულელის დიდი ხნის მეგობარი და პარტნიორია.



„ვოლგადან" ომარ თეთრაძის გაშვების შემდეგ, კლუბში ჯულელის პოზიციებიც შეირყა და ამიტომ არაა გამორიცხული, ქართველ ლეგიონერთა უმრავლესობამ სწორედ „კრასნოდარს" მიაშუროს.

უკრაინული „ალექსანდრიის" ქართველი გარემარბი დავით თარგამაძე ხარკოვის „მეტალისტს" სურს. „მეტალისტის" ხელმძღვანელობა ალექსანდრიელთა მესვეურებს ესაუბრა ქართველის შესახებ, თუმცა ამ საქმიდან ჯერ არაფერი გამოვიდა — „ალექსანდრიას" თარგამაძის გაყიდვა არ სურს, ან იმ ფასად არ სურს, რაც ხარკოველებმა შესათავაზეს.

არაა გამორიცხული, მირონ მარკევიჩის „მეტალისტმა" ხელმეორედ სცადოს 21 წლის ქართველის გადაბირება. ხარკოვის კლუბი ზედიზედ მეხუთე წელია, პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გადის, სოლიდური ფინანსებიც აქვს და ვნახოთ.

შეხსენებისთვის, „ალექსანდრია" დიდწილად თარგამაძის მშვენიერი თამაშის წყალობით გადავიდა პირველი ლიგიდან პრემიერლიგაში.

# ბაჩოს თასი ლელომ და პირველმა არხმა მოიპოვეს

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე ქართველმა ჟურნალისტებმა სპორტულად გაატარეს. კუს ტბაზე, ბაჩო სვანიძის სახელობის მედია-ტურნირი — „ბაჩოს თასი" გაიმართა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ამ ტურნირს მეორე წელია ატარებს. ვაჟები ერთმანეთს მინიფეხბურთში ეჯიბრებიან, ქალები — ქვიშის ფრენბურთში. ვაჟებში 10 გუნდი მოგროვდა, გოგონებში — 8. თამაშები დილის 10 საათიდან დაიწყო და ჩემპიონ-პრიზიორები საღამოს 8 საათისთვის გამოვლინდნენ.ქვიშის ფრენბურთის ფინალში ერთმანეთს გაზეთ „ლელოსა" და რადიო „აფხაზეთის ხმის" გუნდები დაუპირისპირდნენ. სამსეტიან დაძაბულ შეხვედრაში ლელოელებმა იმარჯვეს. მე-3 ადგილი კი შარშანდელმა ჩემპიონმა რადიო სტარ ფმ-მა დაიკავა.




ფეხბურთში პირველი არხის გუნდი ზედიზედ მეორედ გაჩემპიონდა, მაგრამ ამჯერად შარშანდელზე მეტად გაუჭირდა — ფინალში ტელეკომპანია რეალ ტვ-ს, უგოლო ფრის შემდეგ, პენალტების სერიაში სძლია. მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში კი ერთი წლის წინანდელი ტურნირის მსგავსად, გაზეთმა „სარბიელმა" და ტელეკომპანია „იმედმა" ითამაშეს, ოღონდ თუ მაშინ მწერალმა ჟურნალისტებმა იმარჯვეს, ამჯერად, საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა — 2:1 „იმედის" სასარგებლოდ.

ჩემპიონებმა, თასთან და მედლებთან ერთად, საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" ერთთვიანი აბონემენტებიც მიიღეს. ამასთან, კომპანია „ნატახტარმა" მათ რესტორან „წისქვილის" 500-ლარიანი მოსაწვევები გადასცა, მეორეადგილოსნებს კი „ბოულინგ ცენტრალის" 300-ლარიანი სათამაშო ვაუჩერები. „ნატახტარმა" საუკეთესო ფეხბურთელებიც დაასახელა და თასებით დააჯილდოვა. კომპანიის რჩეულები პირველი არხის მეკარე მამუკა ბერძენიშვილი და „აფხაზეთის ხმის" მოთამაშე ანა გამსახურდია გახდნენ. რამდენიმე ნომინაციაში საუკეთესოები სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმაც გამოავლინა და წიგნებით დაასაჩუქრა.

ტურნირის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა სპორტის მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა მიიღო. მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურმა კი ჩემპიონ-პრიზიორები დააჯილდოვა.

# ბოლნისის „სიონი" იშლება

ბოლნისის „სიონი", რომელმაც გასულ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნა, დაშლის პირასაა. უფრო სწორად, გუნდი დაშლილია და მის ხელახლა ასაწყობად ფულის გადამხდელი არ ჩანს. მეტიც, შესაძლოა, ეს გუნდი საერთოდ გაქრეს თვალთახედვის არედან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გასულ პარასკევს გამართულ უმაღლესი ლიგის გუნდების პრესატაშეებთან შეხვედრაზე, პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატის, ამავდროულად „სიონის" ბოლოდროინდელი დამფინანსებლის, კობა ნაყოფიას მიერ ბათუმის „დინამოს" დაფინანსების სურვილზე ისაუბრა. ბიზნესმენს რომ ინვესტიციის დაბანდების სურვილი იქ უფრო აქვს, საიდანაც მეტი ალბათობით შეძლებს ამონაგების მიღებას, გასაკვირი არ არის. აჭარისადმი ინტერესი თანდათან მატულობს. უბრალოდ, ჩნდება კითხვა, თუ ფედერაციას იმის გარანტია არ ჰქონდა, რომ უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურასთან ერთად ფულიანი პატრონიც ეყოლებოდა, ვისი და როგორი ინტერესების დასაკმაყოფილებლად შეიცვალა რეგლამენტი და ისედაც ძლივს შეკოწიწებულ ათ გუნდს 2 დაემატა.

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ჩემპიონმა „ზესტაფონმა", დაბა კუფშტაინში გამართულ საკონტროლო შეხვედრაში შვეიცარიულ „ბაზელთან" 0:4 წააგო. როგორც „ზესტაფონის" ვებგვერდი იუწყება, ანგარიში მე-9 წუთზე მეტოქის ჩრდილოკორეელმა ლეგიონერმა პაკ კვანგ რიონგმა გახსნა. სწრაფი გაშვებული გოლის მიუხედავად, ზესტაფონელებმა უპირატესობის ხელში აღება შეძლეს და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში 3 რეალური საგოლე მომენტი მიეცათ. მასიმო კოლომბასთან პირისპირ დარჩენილმა რატი წინამძღვრიშვილმა და ჯაბა დვალმა კიპერს ვერ აჯობეს. რაც შეეხება თორნიკე აფციაურს, მან ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფი თანაგუნდელებისთვის პასის მიცემას, თავადვე არჩია შეტევის დასრულება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პენალტს ითხოვდა, მსაჯს მხოლოდ ყვითელი ბარათი დასტყუა.

ტაიმის ბოლოს, ალექსანდრ ფრეიმ თავისი გუნდი 2:0 დააწინაურა. მატჩის მეორე ნახევარში მწვრთნელებმა მრავალი შეცვლა განახორციელეს. ქართველთაგან, ტრავმის შემდეგ მინდორზე დაბრუნებული ნიკოლოზ გელაშვილი ყველაზე ახლოს იყო გატანილ გოლთან. კლუბის პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძის თქმით, მას მინიმუმ ორჯერ მართებდა თავის გამოჩენა.

მეორე ტაიმის შუაში ფრეიმ ზუსტი თავური დარტყმით დუბლი შეასრულა. რაც შეეხება მატჩის ბოლო საგოლე კომბინაციას, მისი დაგვირგვინება შეცვლაზე შესულმა რომან ბიუსმა შეძლო.

გია გეგუჩაძემ შვეიცარიელებთან სპარინგი გუნდს ასეთი შემადგენლობით ჩაატარებინა: მამალაძე (რ.კვასხვაძე 46), გორგიაშვილი (ელიავა 46), გ.ონიანი, ხიდეშელი (კობახიძე 60), ლონლაძე (ბენაშვილი 46) ძარია (როს.გეწაძე 73), ბაბუნაშვილი (ჭანკოტაძე 60), აფციაური (გაგოშიძე 79), გრიგალაშვილი (სარდალიშვილი 80), დვალი (ს.ლომია 60), წინამძღვრიშვილი (გელაშვილი 46).

რაც შეეხება, შეკრების ბოლო ტესტ-მატჩს, იგი 4 ივლისს გაიმართება. როგორც გაირკვა, „ტიმიშოარას" ვარიანტი იმის გამო გამოირიცხა, რომ რუმინელებს „ზესტაფონთან" სპარინგი 5 ივლისს სურდათ. ეს კი ქართველებს არ აწყობდათ, რადგან ამ დღეს საქართველოში გამომგზავრება უწევთ. ამიტომაც 4 ივლისს, გია გეგუჩაძის შეგირდთა მეტოქე რუმინული ქალაქ კლუჟის „უნივერსიტატია"□ იქნება.

ქუთაისის „ტორპედომ" 29 წლის მარცხენა მცველი ნუკრი მანჩხავა დაიმატა. გეხსომებათ, მანჩხავამ გასული სეზონის მეორე ნახევარი ცხინვალის „სპარტაკში" გაატარა, მანამდე კი რამდენიმე ქართულ და უცხოურ გუნდში ყოფილა, 2005 წელს თბილისის „ლოკომოტივში" საქართველოს თასი მოიგო და იმავე წელს ლიტვის საუკეთესო კლუბ „კაუნასში" გადავიდა, სადაც სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. შემდეგ იყო ბელარუსული ჟოდინოს „ტორპედო", სადაც ქართველმა ტრავმა მიიღო და ამის გამო დიდი ხანი გაუცდა.

„ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, ნუკრიმ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის ურეკის შეკრებაზე გუნდთან ერთადაა.

საშველი დაადგა ფოთის „კოლხეთს" — სოსო ფილიას ხელმძღვანელობით გუნდმა 1 ივლისს პირველი ვარჯიში გამართა. გამოცდილი მწვრთნელის განკარგულებაში 30-ზე მეტი ფეხბურთელია. ერთია, მწირი ფინანსური მდგომარეობის გამო ფაზისელთა რიგებში მეტნაკლებად ცნობადი ფეხბურთელების გამოჩენა ფინანსური გაურკვევლობის გამო იგვიანებს.

ამის მიუხედავად, ფოთელთა თავკაცმა უკვე დაგეგმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა. სპარინგების დღეებად 10, 12 და 14 ივლისია გამოცხადებული. თუ წინასწარი შეთანხმება არ შეიცვალა, „კოლხეთის" მეტოქეები თანმიმდევრობით იქნებიან ქუთაისის „ტორპედო", ბათუმის „დინამო" და ლანჩხუთის „გურია".

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

# კორეაში ფეხბურთი უქმდება

სამხრეთ კორეის მთავრობა იმ კლუბებს, რომლებიც საფეხბურთო კორუფციაში ბრალდება დაუმტკიცდებათ, სერიოზული სანქციებით დაემუქრა. მეტიც, თუკი ამ მოვლენას ფესვები კიდევ უფრო მეტ სიღრმეებზე აღმოაჩნდა გადგმული, არ გამორიცხება, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა საერთოდ გაუქმდეს.

ახალი წესი ივლისის პირველი რიცხვიდან შევიდა ძალაში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლუბის თუნდაც ერთი წევრი, ლაპარაკი არ არის მხოლოდ ფეხბურთელზე, აღმოჩნდება გარეული ახალ სკანდალში, ის ავტომატურად მოიკვეთება ჩემპიონატიდან.

— მოვლენათა ყველაზე უარესი სცენარით განვითარების შემთხვევაში მთლიანად ლიგას გავაუქმებთ. საქმე ის არის, რომ ეს პრობლემა არ ეხება რომელიმე ცალკეულ ფეხბურთელს. ის ბევრად უფრო დიდი მასშტაბებისაა. ასეთ დროს პასუხისმგებლობა მთლიანად უნდა გადანაწილდეს კლუბზე, დაწყებული ხელმძღვანელებიდან, — ამბობს კულტურის, ტურიზმისა და სპორტის მინისტრის მოადგილე პაკ სონ გიუ.

მოგეხსენებათ, წინა კვირას საფეხბურთო ასოციაციამ 10 (მათ შორის 8 „ტანჯონ სიტიზენის“ წევრი) ფეხბურთელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გარდა საფეხბურთო სანქციებისა, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული და ყოველ მათგანს 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ახალი წესების ძალაში შესვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ძალიან მალე კორეულმა საიტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა მთავარმა ეჭვმიტანილმა, ბუკმეკერებისთვის მსხვილი თანხების მოგების სქემის ავტორმა, „სეულ იუნაიტედის“ 30 წლის ყოფილმა წევრმა ჩუნ-ჩონ ჰვანმა დედაქალაქის ერთ-ერთ პატარა სასტუმროში თავი ჩამოიხრჩო. თუმცა, იქაური პოლიცია ჯერ სხვა ვერსიებსაც არ გამორიცხავს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა მაგიდაზე წერილი აღმოაჩინეს, სადაც ეწერა:

— მაპატიეთ. მრცხვენია, რომ გარიგებული თამაშების ორგანიზებაში ვმონაწილეობდი.

საინტერესოა კიდევ ის, რომ ჟურნალისტებმა გარდაცვლილის ბიოგრაფიიდან კიდევ ერთი სკანდალური დეტალი გაიხსენეს: რამდენიმე წლის წინ „ჩონბუკ ჰენდა მოტორიდან“ ის იმიტომ გააძევეს, რომ პოლიციამ მას ბრალს სდებდა, ჯარში გაწვევის თავიდან ასაცილებლად მავანს მოურიგდა და ამაში საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადაო. მაშინ ფეხბურთელი ციხეს გადაურჩა.

ყველაზე ცუდი ამ ამბავში ის არის, რომ ეს საფეხბურთო სკანდალის გამო ჩადენილი პირველი თვითმკვლელობა არ არის. 6 მაისს „ინჩჰონ იუნაიტედის“ 23 წლის წევრმა იუნ გი ვონმა მანქანის მომწამვლელი გაზით თავი გაიგუდა და ეს კლუბის ბაზაზევე ღამით გააკეთა.

# ნბა-ში სეზონი არ იქნება




ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ისტორიაში მეორედ დაემუქრა ლოკაუტი. ლიგის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა მაინც ვერ შეძლეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება.

ისევე როგორც 1998 წელს, ნბა-ში რეგულარული ჩემპიონატი სერიოზულად შეიკვეცება ან საერთოდ არ გაიმართება მოთამაშეთა გაფიცვის გამო. კალათბურთელები ხელფასების მომატებას ითხოვენ, კლუბების მფლობელები — ხარჯების შემცირებას.

ბოლო სამსაათიანი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა — პროფკავშირის ბოლო შეთავაზებამ არ დააკმაყოფილა ნბა. ამასობაში, ამოიწურა გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადა და დღეიდან ყველა კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება.

მოთამაშეთა შეთავაზება ასეთი იყო: მათ სურდათ, რომ ლიგაში საშუალო ხელფასი კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების მეექვსე წელს 7 მილიონი დოლარი გამხდარიყო. რაც შეეხება ასოციაციას, მის კომისარს დევიდ სტერნს ურყევი პოზიცია აქვს — ხელფასები უნდა შემცირდეს. ნბა-მ თავისი პოზიცია ფინანსური კრიზისის გამოვლინებით ახსნა. გარდა ამისა, ლიგის ოფიციალურ წარმომადგენლებს სურდათ გაემკაცრებინათ ხელფასების მაქსიმალური ზღვარი, რომელიც დღეს სრულიად იგნორირებულია მდიდარი კლუბების მიერ.

— ჩვენ შორის ძალიან დიდი მანძილია, — ასეთი კომენტარი გააკეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ბილი ჰანტერმა. მიუხედავად ამისა, მანვე განაცხადა, რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში კიდევ ერთი შეხვედრის იმედი აქვს. შესაძლოა, მოესწროს სიტუაციის გამოსწორება და ნბა-ში სეზონი ჩატარდეს, როგორც ეს 1995 და 1996 წლებში იყო. 1998 წელს ლოკაუტი შედგა (ერთადერთხელ ისტორიაში), თუმცა, მაშინ სეზონი მაინც ჩატარდა, ოლონდ შემცირებული სქემით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კულტურა

# მოქვის სახარების გადასარჩენად 35.065 ლარი შეგროვდა

ეკა ირემაშვილი

XIV საუკუნეში აფხაზეთში გადაწერილი უნიკალური მოქვის სახარების გადასარჩენად სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გრანდიოზული აუქციონი ჩატარდა, სადაც 35 ათას 65 ლარი შეგროვდა. აუქციონზე ყველაზე მეტი ხელნაწერი და ნივთი კომპანია „ჯეოსელმა“ შეიძინა. სულ 65 ლოტი გაიყიდა. აუქციონზე ყველაზე დიდი თანხა — 5.000 ლარი — ირაკლი ფარჯიანის ნახატში გადაიხადეს. მთლიანობაში აუქციონის ფარგლებში გამოიფინა 130 ექსპონატი — ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, მწერლების ხელნაწერები, ჭედური ხელოვნების ნიმუშები, სპორტსმენების ჯილდოები, მემორიალური ნივთები. ეს ყველაფერი ხელოვანებმა და სპორტსმენებმა აუქციონზე იმისთვის გაიტანეს, რომ შეგროვილი თანხით უნიკალური ხელნაწერის რესტავრირება დაიწყოს.

ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატურები და ეტრატზე გადაწერილი ტექსტი იმდენად დაზიანებულია, რომ ის უკვე წლებია გაუხსნელად ინახება. მასზე მუშაობის უფლება მეცნიერებსაც არა აქვთ. მოქვის სახარების გადასარჩენად საქველმოქმედო აუქციონის მეორე ეტაპი შემოდგომაზე გაიმართება.

მოქვის სახარების გადასარჩენად გამართული საქველმოქმედო აუქციონის პარალელურად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულები დასახელდა. ცენტრმა ამ დღეს დაარსების იუბილეც აღინიშნა და ქართული კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაც მოაწყო. კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებულები და ფინალურ ეტაპზე გადასული 114 მონაწილისთვის საპრიზო ადგილები და სპეციალური ნომინაციები გამოავლინა. სულ კონკურსში მონაწილეობა 1300-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო და მათეული კალიგრაფიით ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების „მთანი მაღალნის“ ფრაგმენტები და ერეკლე II-ის მიერ ზაალ აბაშიძისთვის გაცემული სიგელის ასლები წარმოადგინა. მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს საჯარო სკოლების საბაზისო საფეხურის მოსწავლეები VII-XII კლასების ჩათვლით, სტუდენტები, ასევე საქართველოში მცხოვრები ქართული კალიგრაფიით დაინტერესებული პირები და უცხოეთში მცხოვრები როგორც ქართველი, ისე არაქართველი კონკურსანტები.

კატეგორიაში „სტუდენტი“ გამარჯვებულად მაკა კაკაშვილი, ფიქრია ჭაბუკიანი და ნათელა კაპანაძე დასახელდნენ, კატეგორიაში „ზრდასრულები“ — ლილე ჩხეტიანი, ნინო ტაბატაძე და ოთარ ჯოლია, VII-IX კლასის მოსწავლეთა კატეგორიაში თეონა მაისურაძე, ანა გოგბერაშვილი და ლეილა ბარბაქაძე დასახელდნენ, ხოლო X-XII კლასელთა კატეგორიაში გამარჯვებული გიორგი ჩაგანავა, ანი სუბარი და ოთარ მჭედლიშვილი გახდნენ.

— კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ ქართული დამწერლობის, ქართული ანბანის, ქართული კალიგრაფიული და სამწიგნობრო ტრადიციის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, — განაცხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

ქართული კალიგრაფიის კონკურსი წელს მეორედ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ორგანიზაცია „წამის“ და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის აქტიური მხარდაჭერით ჩატარდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაარსების დღეს კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის გარდა, საგამოფენო დარბაზში, ცენტრის დაარსებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში გამოიფინა კალიგრაფიის კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრები. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მოხდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სტაჟიორებისთვის სერთიფიკატების გადაცემა. ცენტრში მიმდინარეობს სტაჟირების კურსი, რომელიც ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას პრაქტიკული სამუშაოების უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით. იუბილეს ფარგლებში გაიმართა ბოლო ერთი წლის მანძილზე შემოწირული სიძველეების (ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები, არქივები) ოფიციალური გადაცემის ცერემონიალიც.

ცნობილი გახდა, რომ თბილისში სულ მალე გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ფილოლოგის ილია აბულაძის სახელობის ქუჩა გაიხსნება. ეს სიახლე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ჯაბა სამუშიამ გაახმაურა. მან ეს სიახლე საზოგადოებას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ქართული კალიგრაფიის“ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე აცნობა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულო და თბილისის მერია უკვე შეთანხმდნენ. აბულაძის ქუჩის ადგილმდებარეობის საკითხი კი საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე გადაწყდება.

ხელნაწერთა ცენტრმა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პირადი არქივებიც დაამუშავა. ვახტანგ ჯაფარიძის, პარმენ ზაქარაიასა და ალექსანდრე ლომთათიძის არქივებზე მუშაობა უკვე დასრულებულია. ბატონმა დავით ჯაფარიძემ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა მამის, ცნობილი ქართველი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ჯაფარიძის პირადი არქივი, კერძოდ, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები (ნაშრომების ავტოგრაფები, ფოტოები, ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, მიმოწერა). აღნიშნული მასალა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს როგორც ვახტანგ ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული მეცნიერების ისტორიის შესასწავლად. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დიდ მადლობას უხდის ბატონ დავით ჯაფარიძეს ვახტანგ ჯაფარიძის პირადი არქივის შემოწირვისა და ნდობისათვის.

ცენტრში ასევე დასრულდა ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ლომთათიძის პირადი არქივის დამუშავება. ალექსანდრე ლომთათიძე იყო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრი. 1918 წლიდან იყო ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭოს, ხოლო შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიიდან. ამავდროულად, მუშაობდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. საბჭოთა რუსეთთან ომის დროს, 1921 წლის 24-25 თებერვლის ღამეს, როდესაც თბილისის დატოვება გადაწყდა, ალექსანდრე ლომთათიძე არ წავიდა ემიგრაციაში, იგი სამშობლოში დარჩა და შეეწირა XX საუკუნის 20-იანი წლების კომუნისტურ რეპრესიებს — 1924 წელს პატიმრობაში მყოფი, ტაშკენტის ციხეში გარდაიცვალა 42 წლის ასაკში. დაკრძალეს იქვე, ტაშკენტში. ალექსანდრე ლომთათიძის პირადი საარქივო მასალა ნინო ღოღობერიძემ გიორგი ლომთათიძის არქივთან ერთად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა. ალექსანდრე ლომთათიძის პირადი არქივი შეიცავს 57 საარქივო ერთეულს. აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, მიმოწერა, სხვადასხვა. არქივის აღწერილობას ახლავს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. აღნიშნული არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა თამარ იმნაძემ დაამუშავა. ალექსანდრე ლომთათიძის არქივი ძალზე საინტერესოა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის მკვლევართათვის. იგი მოიცავს როგორც მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, ასევე მეტად საინტერესო ისტორიის შემცველ ფოტოებსაც.

რაც შეეხება პარმენ ზაქარაიას არქივს, იგი დაინტერესებული პირებისთვის უკვე ხელმისაწვდომია. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი პარმენ ზაქარაია მუშაობდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, პარალელურად მუშაობდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში, სადაც მიენიჭა არქეოლოგის კვალიფიკაცია. იგი ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში — რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იყო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. პარმენ ზაქარაია მონაწილეობდა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა არაერთ ხელოვნებათმცოდნეობით და არქეოლოგიურ ექსპედიციას. მისი დაარსებული ნოქალაქევის მუზეუმი ატარებს პარმენ ზაქარაიას სახელს. მას მიღებული აქვს საპატიო წოდებები — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ეგრისისა და კოლხეთის სახალხო აკადემიების აკადემიკოსი, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და საზოგადოების აქტიური წევრი, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის საპატიო წევრი, მიღებული აქვს არქიტექტორთა კავშირის დიპლომები და მედლები, იგი იყო „ღირსების ორდენის კავალერი“. იგი ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 47 მონოგრაფიაა. გარდაიცვალა 2003 წელს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. პარმენ ზაქარაიას პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადასცა მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ეთერ ციციშვილმა. არქივი შედგება 753 საარქივო ერთეულისაგან. აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, მიმოწერა, სხვადასხვა. პარმენ ზაქარაიას პირადი არქივის აღწერილობას ახლავს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. მისი პირადი არქივი 2008-2009 წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა ნინო კობაურმა დაამუშავა.

ცნობილმა ავსტრიელმა ბიზანტისტმა და კავკასიოლოგმა ვერნერ ზაიბტმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ლექციები გამართა. იგი ცენტრის მეცნიერებს შეხვდა და კორნელი კეკელიძის სემინარზე ორი მოხსენება წარადგინა — „ნოტიცია დიგნიტატუმი და მისი ილუსტრაციები, როგორც წყარო საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ისტორიისათვის“ და „ბიზანტიის იმპერია საქართველოს წინააღმდეგ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში“. მოხსენებებში განხილული იყო რომაულ გარნიზონთა პრობლემა შავი ზღვის სანაპიროზე, ბიზანტიის გავლენა საქართველოს სამეფო კარზე, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის სხვა საინტერესო ასპექტები.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 ივლისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედინფო **19.05** დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" **19.30** დოკ. ფილმი "4 ივლისი აშშ-ს დამოუკიდებლობის დღე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.15** ღამის საუბრები **01.15** მხ. ფილმი **"კარს მომდგარი მტერი"** (18) **03.35** მოამბე **03.55** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ალან ქუორტერმეინი და დაკარგული ოქროს ქალაქი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფილმი **"უჩვეულო ქორწინება** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბრწყინვალე გონება"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** მელომანია **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი **"ვარდნის ზონა"** (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** საქველმოქმედო ტელემარათონი – მინდა გიმღერო რამე **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **02.00** მხ. ფილმი **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ. დაფი) (სუბტ.) **04.25** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე 3"** (18) (მ. იოვოვიჩი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50** სერ. **"ეს მაფიაა"** **12.50, 19.35** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00** არხის პროფილაქტიკა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** მოკლ. ფილმი **"ზღარბი"** **18.05** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.25** დოკ. ფილმი "თიანეთის საგანძური" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** წმინდა მეფე არჩილი **22.30** დოკ. ფილმი "ტურინის სუდარა" **22.40** მოკლ. ფილმი **"ადგილის დედა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6544

ევრო —2,3524

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6464

რუსული რუბლი — 0,0583

## ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 1§-29

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 1§-18

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 19-1§








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## პეტრა კვიტოვა უიმბლდონის ჩემპიონია

**უიმბლდონის ქალთა ფინალში, რომელშიც ერთმანეთს რუსი მარია შარაპოვა და ჩეხი პეტრა კვიტოვა დაუპირისპირდნენ, გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა. კვიტოვა გახდა მე-2 ჩეხი ქალი ჩოგბურთელი, რომელმაც ამ ტურნირის ერთეულთა თანრიგის მოგება მოახერხა. აღსანიშნავია, რომ შარაპოვამ ვერც ერთი სეტის მოგება ვერ შეძლო და მატჩი, რომელიც 32 წუთს გაგრძელდა, ანგარიშით 6:3, 6:4 დასრულდა.**



უიმბლდონზე გამარჯვება 21 წლის კვიტოვასთვის „დიდი სლემის“ სერიის ტურნირებში პირველია. რაც შეეხება რუს ჩოგბურთელს, ის უიმბლდონის ფინალში კარიერაში უკვე მეორედ თამაშობდა. პირველად მან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის ფინალში თამაში 17 წლისამ, 2004 წელს შეძლო, სადაც სერენა უილიამსს სძლია. წელს უიმბლდონზე შარაპოვა მეხუთე ნომრად იყო განთესილი, კვიტოვა კი — მერვე ნომრად.

**მ. ჟ.**

## იუმორი



***

— ის, რასაც ადამიანი საკუთარ გამოცდილებაზე არ ამბობს, ტყუილია, მაშინაც კი, როდესაც ჩემს სიტყვებს იმეორებს — სოკრატე.

***

— მის სახლში ისეთი სისუფთავე და წესრიგია, რომ ტარაკანებიც კი ჩუსტებით დადიან...

***

— უკაცრავად, ვერ მეტყვით, სად შეიძლება აქ ვიქირავო სახლი ზღვასთან ისე ახლოს, რომ პლაჟზე პირდაპირ საცურაო კოსტიუმით გამოვიდე?

— ვშიშობ, ზღვასთან ახლოს მდებარე სახლს თუ იქირავებთ, ყველგან მოგიწევთ საცურაო კოსტიუმით სიარული...

**გ. თ.**

## სუხიშვილები ბათუმში იცეკვებენ

**ეკა ირემაშვილი**

4 ივლისს ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ ბათუმში ღია ცის ქვეშ კონცერტს გამართავს. ლეგენდარული მუსიკოსების კრის ბოტისა და სტინგის



გრანდიოზული საღამოს შემდეგ პიაცას მოედანს უკვე ქართველი მოცეკვავეები დაიკავებენ და ბათუმელებისა და ამ ქალაქის სტუმრებისთვის დაუვიწყარ კონცერტს გამართავენ. საღამო „ვითიბი ბანკისა“ და „ბორჯომის“ მხარდაჭერით ჩატარდება. ორმა უძველესმა


გაგრძელება მე-12 გვერდზე



# 1 ივლისიდან

გაზეთი „ახალი თაობა“ და გამომცემლობა „კლიო“

## გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას




## საქართველოს 100 ღირსშესანიშნაობა

**გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი**


## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 4 ივლისისთვის

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — თავს ბედნიერად იგრძნობთ. **კურო** — მშვენიერი დღეა, გაიარ-გამოიარეთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **კირჩხიბი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ბედი გწყალობთ. **ლომი** — წარმატებული დღეა, ყურადღების ცენტრში ხართ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მორიელი** — ფულს შოულობთ, პრობლემას ადვილად გადალახავთ. **მშვილდოსანი** — რა საჭიროა დარდი, სიტუაციიდან ისედას გამოძვრებით. **თხის რქა** — წარმატებული დღეა, ფულს იშოვით. **მერწყული** — უეცრად რაღაც გაგიხარდებათ, ამდენს არ ელოდით. **თევზები** — ფიქრში ვიღაც გამოჩნდა, რომანტიკულად ხართ განწყობილი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. გაზაფხულის მცენარე, წვრილი ყვითელი ყვავილებით; 4. რეზინული შენაერთების ვულკანიზაციით მიღებული საიზოლაციო მასალა; 7. ლომების ოჯახი; 9. სოფელი ოჩამჩირის რაიონში; 11. გუთნის დედის სიმღერა; 12. სპორტული ნაგებობა; 13. გარეული ვირი; 17. დათქმული სიტყვა (საიდუმლოდ); 18. ...მორიკონე; 19. ძვ.ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 20. ქარსისა და მჭიდა ნივთიერებებისგან დამზადებული მასალა.

**შვეულად:** 1. შუშა; 2. ზევიდან დიდ გორად წამოსული თოვლი; 3. აგატა....; 5. გამაბრუებელი წამალი; 6. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 8. საკანონმდებლო ორგანო; 10. უმოტორო საფრენი აპარატი; 12. ზღვის თევზი; 14. სწრაფი ტემპი მუსიკაში; 15. ახალენაადგმული ბავშვის ლაპარაკი; 16. რისამე დასაშვები რაოდენობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი